# საერთო გაზეთი

№38 (305) ● 5 ნოემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

„ბარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

## პატრიოტი — ორი გაზეთი ერთ გაზეთში



## ცვლილებების 2 წელი და დასკვნა: ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც მაღალკვალიფიციური პოლიტიკოსი, შედგა!

## კობა არაბული: პიჩკოკის „ჩიტები“, ბელურების გადაფრენა და შეღებილი ჯორები... ანუ ღია წერილი ამერიკის ელჩს რიჩარდ ნორლანდს — უცხოეთის ყველა ელჩისა და კონსულის გასაგონად!



ბატონო ნორლანდ, ნუ გვასწავლიან იმაზე მეტს, რაც საჭიროა და იმას, რაც უკვე დიდი ხანია ვიცით. ჩვენ არა ვართ პაპუასები, არც კხმერები და ფაშისტები.

## ირაკლი ალასანიას ბატონი ნორლანდი კი ენდობა, მაგრამ ქართველი ხალხი არა!



„როგორ შეიძლება იმ ადამიანებმა და მათმა ჭირისუფლებმა შეიყვარონ ალასანია, ვინც 26 მაისს რუსთაველზე ცემეს, დაარბიეს, დააპატიმრეს, მოკლეს, ალასანიამ კი ისინი უხარისხო ქართველებად ჩამოწერა“

## irakli alasania Tavdacvis ministris Tanamdebobidan gaaTavisufles!

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

## ავთანდილ რცხილაძე:



მაკკეინს, ქორებს, ყვავებს და სხვა მამაძაღლებს, ისეთივე შეშლილებსა და გიჟებს, როგორიც სააკაშვილია, საქართველოში არეულობა აწყობთ...

## პაატა ბიორგაძე:

### წყლის ინდუსტრიის განვითარებით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდება



2015 წლიდან მსოფლიოს სასმელი წყლის დეფიციტი ემუქრება...

## საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის



## ვახტანგ ხარჩილავა

## რედაქტორის სვეტი

15 ნოემბერს „ნაცმოძრაობის“ მიერ დაანონსებული აქცია, დარწმუნებული ვარ, თავისი ფარისევლობით და უტიფრობით, ძალიან ემგვანება 2008 წლის 12 აგვისტოს აქციას, როცა „ნაციონალები“ სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ გამარჯვებას ზეიმობდნენ და ქართველ ხალხს თვალში ნაცარს აყრიდნენ.

„ნაცმოძრაობა“, რომელიც 15 ნოემბერს აფხაზეთის მოსალოდნელი ანექსიის გაპროტესტებას აპირებს, თვითონ არის იმ მიზანმიმართული პროვოკაციის თანაავტორი და თანაინიციატორი, რომლის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული იქნა.

**15 ნოემბრის აქციით „ნაციონალები“ იმ საუკუნის დანაშაულის და სისხლიანი შეთქმულების გადაფარვას ცდილობენ, რომელიც მათ 2008 წელს საქართველოს მოუწყვეს.**

„ნაცმოძრაობას“ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოსაგვარებლად.

პირიქით, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს კონფლიქტი გაღრმავებულიყო, რომ ამით რუსეთთან მუდმივი კონფრონტაციის საბაბი და მოტივი შეენარჩუნებინა, რაც „ნაცმოძრაობას“ პირდაპირ ჰქონდა დავალებული მსოფლიოს გარკვეული პოლიტიკური წრეებისგან.

სწორედ ამის გამო გააუქმა „ნაცმოძრაობამ“ ერგნეთის ბაზრობა, რითაც, ფაქტობრივად, ჩაშალა ქართველი და ოსი ხალხების შერიგების თითქმის ბოლომდე მიყვანილი პროცესი, რაც შემდგომ 2008 წლის აგვისტოს ომით „დაგვირგვინდა“.

„ნაცმოძრაობა“ მიზანმიმართულად უშლიდა ხელს აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთობის დათბობის ყოველგვარ მცდელობას და სწორედ ამ მიზნით დგამდა ტერაქტებს, ინციდენტებს, თხზავდა ჯაშუშურ-დივერსიული შინაარსის კრიმინალურ „საქმეებს“.

სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ბოლომდე მიეყვანა 2008 წლის აგვისტოში მომხდარი დიდი სახელმწიფო ღალატის გამოძიება, რის შედეგადაც „ნაცმოძრაობა“ აპირებს მისი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შედეგებზე პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ აჰკიდოს.

საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, კერძოდ, მისი საპარლამენტო უმრავლესობა, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები და მათი ლიდერები უნდა გათავისუფლდნენ იმ დემაგოგიური კლიშეებისგან, რომელთა მიხედვითაც, თითქოს, „ნაცმოძრაობა“ პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაციაა. სინამდვილეში „ნაცმოძრაობა“ პროვოკატორული, აგენტურული ძალაა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო კვლავ დააჯახოოს რუსეთს, რაც შეიძლება ქართული სახელმწიფოს დაშლით და დაქუცმაცებით დამთავრდეს.

**„ნაცმოძრაობა“ დასავლურ ფარჩა-ატლასში შეფუთული რუსული ბომბია, რომელიც კვალის დაფარვის მიზნით საკუთარი კი არა სხვისი ეზოდან შემოგვიგდეს, რისი დამამტკიცებელი უამრავი მასალა არსებობს.**

**კიდევ ერთხელ მივმართავთ ხელისუფლებას თხოვნით, გამოიძიეთ და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეთ ეს მასალები.**

**ამხილეთ შენიღბული მტერი, სახელად „ნაცმოძრაობა“!**

ნუ აჰყვებით მათ პროვოკაციას, ნუ შეგეშინდებათ მათი დემაგოგიური ბრალდებების და ცილისწამებების, გამოიტანეთ დასკვნები არა მათი ფარისევლური სიტყვების, არამედ მათ მიერ გაკეთებული დანაშაულებრივი საქმეების მიხედვით.

კიდევ ერთი ამბავი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით.

როგორც ცნობილია, ქართულმა სასამართლომ დამნაშავეებად ცნო „ნაცმოძრაობის“ ლიდერები.

ისმის კითხვა: თუ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები დამნაშავეები არიან, როგორაა უდანაშაულო პოლიტიკური ორგანიზაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც უსიტყვოდ ასრულებდა დამნაშავე ლიდერების დანაშაულებრივ ბრძანებებს?

**და აქ მივადექით მთავარს: „ნაცმოძრაობას“, როგორც საქართველოს მოღალატე კრიმინალურ-დანაშაულებრივ ორგანიზაციას, უნდა აეკრძალოს პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის უფლება.**

„ნაცმოძრაობისთვის“ ნიღბის ჩამოხსნა, „ნაცმოძრაობის“ მხილება და მათი ნაავკაცარის ბოლომდე გაშიფვრა — მოცემულ სიტუაციაში სწორედ ეს არის ქართველი ხალხის და საქართველოს ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანა.

თუ ეს ამოცანა ვერ შესრულდება, მუდმივად იარსებებს საფრთხე, რომელმაც შეიძლება ქვეყანა დიდ კატასტროფამდე მიიყვანოს.

საქართველო რომ გადარჩეს, „ნაცმოძრაობა“ უნდა გასამართლდეს!

ეს აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ საქართველოს მშვიდობის, სტაბილურობის, ნორმალური განვითარების პერსპექტივა შეუნარჩუნდეს.

დარწმუნებული ვართ, ქართველი ხალხი დაამტკიცებს, რომ ის თავმოყვარე, ღირსეული ერია, რომელიც თავის შეურაცხმყოფელებს საკადრის პასუხს გასცემს და მთელი სიმკაცრით იტყვის:

**— „ნაციონალურ მოძრაობას“ — არა!**

**— „ნაციონალური მოძრაობა“ — პოლიტიკურ სანაგვეზე!**



12 აგვისტო, 2008 წელი



**რეზო ამაშუკელი:** ხვალ იქნება საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული შეკრება, რადგან ყველა ვხედავთ, რაც უქნეს „ნაციონალებმა“ ჩვენს ქვეყანას, ქართულ იდეას, ეროვნულ ღირებულებებს, როგორ შეურაცხყვეს დედაეკლესია, ჩვენი უწმინდესი, ყოველივე წმინდა და ღირებული, რაც გაგვაჩნდა, ფეხქვეშ გათელეს.

ქართველი ხალხი ამას არასოდეს დაივიწყებს. ამიტომაც უკვე დიდი ხანია ერი ითხოვს სამართალს, რადგან ეს ხალხი, რომლებსაც ქვეყნის წინაშე ჰქონდათ დანაშაულები ჩადენილი, არათუ დაისაჯნენ, არამედ თავიც კი არ დაუხრიათ, ბოდიშიც კი არ მოუხდიათ. ყოველივე ამას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას. ბოლო უნდა მოეღოს „ნაციონალების“ უშნო ყელყელაობას და მუქარას ტელევიზიებით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

ახლა დიდი მზადება აქვთ, რათა მოახდინონ ახალი სამოქალაქო ომი და გააჩაღონ ძმათა შორის სისხლისღვრა. მათი მიზანი დღეს მხოლოდ ეს არის.

საზოგადოებას და ხელისუფლებას ვაფრთხილებთ და ვაძლევთ კიდევ დროს და შანსს, აღკვეთონ „ნაცმოძრაობის“ მუქარები, თორემ რაც მოხდება, პასუხისმგებლობას ვიხსნით, მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გვერდით ვდგავართ და მის მოზომილ პოლიტიკას სრულად ვემხრობით.

ჩვენი შეკრების კარი ღიაა ყველასთვის, ვისაც თავმოყვარეობა კიდევ შერჩა. ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ტანჯული ქვეყანა, ქვეყნის ღირსება, თითოეული ჩვენგანის ღირსება და ნამუსი.

შეკრებაზე ძალიან პრინციპულ და მკვეთრ გადაწყვეტილებებს მივიღებთ, დეკლარაციას შევიმუშავებთ. ჩვენ გვექნება პრინციპული პოზიცია.

### საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ მიმართვა საქართველოს მოსახლეობას!

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ 6 ნოემბერს, 6 საათზე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ დარბაზში ატარებს გაფართოებულ შეკრებას და იწვევს ყველას, ვისთვისაც ძვირფასი და ხელშეუხებელია ქართული ეროვნული ღირებულებები, დედა-ეკლესია; ვინც აღარ მოითმენს „ნაციონალური მოძრაობის“ აღვირახსნილ პარპაშს, იმ გამუდმებულ მუქარებსა და ყელყელაობას, რაც სამოქალაქო ომის გარდაუვალ წინაპირობას ქმნის.**

**დავდგეთ ერთად, რომ საბოლოოდ დავუსვათ წერტილი საქართველოს გამანადგურებელ „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტ განშტოებებს!**

რეზო ამაშუკელი
საზოგადოებრივი მოძრაობა
„ლაზარე“

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# გია ვოლსკი: „სააკაშვილის ინტერესები რატომღაც კიდევ ერთხელ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს“

**„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელს გია ვოლსკს ესაუბრა.**

**— ორიოდე დღის წინათ, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები საკმაოდ დიდი აურზაურით დააკავეს. რამდენად სწორი იყო პოლიტიკურად ამ ხალხის დაკავება, მაშინ, როცა ქვეყანაში წინა ხელისუფლების რამდენიმე ათეული მაღალჩინოსანი თავისუფლად დასეირნობს და ხარჯავს ბიუჯეტიდან მოპარულ ფულს, თანაც თავდაცვის მინისტრი ამ ადამიანების უდანაშაულობაში დარწმუნებულია?!...**

— ბუნებრივია, არასასიამოვნო ფაქტია, როდესაც უწყების ხელმძღვანელი საზღვარგარეთ იმყოფება და მაღალჩინოსნებს მის უწყებაში აკავებენ, მაგრამ მეორე მხარეც აქვს ამას, არსებობს გამოძიება, საგამოძიებო სტრუქტურები, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, ასე რომ, ამას არავითარი პოლიტიკური სარჩული არ უნდა ედოს. საერთოდაც, სახელმწიფო სწორედ ისეთი უნდა იყოს, სადაც გამოძიება და სამართალი არ უკავშირდება პოლიტიკურ კონიექტურას. ეს ერთი, მეორე, პოლიტსაბჭოზე შეხვედრისას ყველა შევთანხმდით (რასაკვირველია, უწყების ხელმძღვანელიც იქ იყო), რომ არსებობს თემები, რომლებიც მკაცრად უნდა გაემიჯნოს პოლიტიკას, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა კორუფციის ბრალდებით მიმდინარე გამოძიებაა. თავად მინისტრიც გამოხატავს ამ საკითხისადმი ღრმა დაინტერესებას და დარწმუნებულია, თავისი თანამშრომლების უდანაშაულობაში.

**გია ვოლსკი: „ეს მშვიდობიანი აქცია, რომ არ არის და არ უკავშირდება ანექსის მცდელობის გაპროტესტებას ცალსახაა. ასე რომ, ეჭვები იმის თაობაზე, რომ ისინი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ საფუძველმოკლებული არ არის“.**

**— თუმცა უსაფუძვლოდ მათი დაკავება არ მოხდებოდა, ალბათ, ეს საჩვენებელი დაკავება არ ყოფილა ...**

— იცით, გამოძიებას თავისი არგუმენტები აქვს, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაში შეიქმნა სასამართლო, არსებობს სასამართლო, ფუნქციონირებს სასამართლო და ვფიქრობ, სწორედ სასამართლოს განაჩენი იქნება აქ მთავარი.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პროცესი იმდენად დიდ ხანს გრძელდებოდა, რომ შეუძლებელია სამართალდამცავ ორგანოებს ექვსი თვის წინათ მაინც არ ცოდნოდათ ამ ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რატომ მოხდა დაკავება მაინცდამაინც ახლა?**

— კარგია რომ ეს კითხვა დამისვით, მეტიც, მადლობელი ვარ. ჩვენ სწორედ ასეთ შეკითხვებს უნდა გავცეთ პასუხი. დიახ, არის ასეთი საუბრები საზოგადოებაში, ავრცელებენ ხმებს, რომ სამართალდამცავებმა კარგა ხანია იცოდნენ, რომ ასეთი რამ მოხდა და რაღაცას ელოდნენ, თუმცა ეს აბსოლუტურად უსაფუძვლოა, იმიტომ, რომ ბევრი დეტალი ამ საკითხთან დაკავშირებით თავად მინისტრმაც არ იცოდა. რასაკვირველია, რაღაც პერიოდი გრძელდება შესწავლა მსგავსი საკითხების, ფინანსური რევიზია და ა.შ. ამ შემთხვევაშიც ასე იყო და როდესაც საკმარისი მასალა დაგროვდა სწორედ მაშინ და ამ პერიოდში მისი უწყების მაღალჩინოსნების დაკავება, მაგრამ არავინ უნდა ეცადოს, რომ ეს დაუკავშიროს პირად საკითხს. ნებისმიერი მტკიცება იმის თაობაზე, რომ უქმნიდა ეს უხერხულობას არის იმაში ეჭვის შეტანა, რომ შეიძლება რაღაც პრეტენზია იყოს ირაკლის ალასანიასთან, არადა ასეთი პრეტენზია არ არსებობს ! ვიმეორებ, არ არსებობს, აი, ეს არის ძახილის ნიშნით სათქმელი.

**— რიჩარდ ნორლანდმა ცოტა ხნის წინათ გააკეთა განცხადება, რომ ალასანიასა და მისი გუნდის თავდაცვის სამინისტროდან წასვლის სურვილი ამერიკაში არ აქვთ, მაინტერესებს, ცოტა ზედმეტად ხომ არ იმართება ჩვენი ქვეყანა გალმიდან?**

— მისი განცხადება არ განაპირობებს გადაწყვეტილებას. აშშ-მ გამოხატა თავისი პოზიცია გამჭირვალედ, მაგრამ მთავარი აქცენტი აქ ის არ არის, რაზეც თქვენ ყურადღებას ამახვილებთ. მთავარი აქცენტი არის ის, რაც, როგორც ნორლანდმა, ასევე შვეიცარიის ელჩმა საკმაოდ ხაზგასმით გამოხატა - ისინი ენდობიან ალასანიას, ისევე, როგორც მე პირადად და დარწმუნებულები არიან, რომ ის არაფერ შუაშია და თავდაცვის საკითხებზე ხომ არ იყო წასული, სახელმწიფოს საკითხებს წარმოადგენდა, ასე რომ, სახელმწიფოს შეექმნა უხერხულობა და ეს უხერხულობა იარსებებდა, მაშინაც კი, რომ არც ყოფილიყო ვიზიტი. რასაკვირველია, თემა ცოტა სენსიტიურია, მინისტრის ყოფნა საზღვარგარეთ მოხდა დაკავებაც, ასე ჩათვალეს საჭიროდ იმისდა მიუხედავად რა პოლიტიკური სიტუაციაა შექმნილი. ეს ერთი, მეორე, რაც თქვენი გაზეთის მეშვეობით აუცილებლად უნდა განვაცხადო, მე პირადად, ნებისმიერი ვიზიტი რომელი მინისტრისაც არ უნდა იყოს ეს, არ უკავშირდება პირადად მას ან პირადად მის უწყებას, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები იგივე ჩემი გუნდის წევრები არიან, მთავრობას წარმოადგენენ და არა კონკრეტულად რომელიმე მინისტრს, ამ შემთხვევაში ალასანიას, ჩემს მეგობარსა და თანამებრძოლს. რასაკვირველია, უხერხულობა შეექმნა მინისტრს, მაგრამ არა მარტო მინისტრს, მთლიანად ხელისუფლებას. ის ვიზიტით თავის პირად სამინისტრო ხარისხიანად ითანამშრომლებს გამოძიებასთან.

**— ალასანია, რომელიც განაწყენებულ პოზიციაში დგას ხომ არ აღმოჩნდება ნაცების მდგომარეობაში ან მათ გვერდით? თქვენ ამას გამორიცხავთ?**

— რასაკვირველია, გამოვრიცხავ. არგუმენტები იმისა, რომ კოალიცია შენარჩუნდება იმდენად ძლიერი და საფუძვლიანია, რომ ამ თემაზე მსჯელობა საერთოდ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.

**— ნაცები ვახსენეთ და რას იტყვით 15 ნოემბერს ნაცების მიერ დანიშნულ აქციაზე?**

— ეს მშვიდობიანი აქცია, რომ არ არის და ნამდვილად, არ უკავშირდება რაღაც ანექსის მცდელობის გაპროტესტებას და საერთოდაც, რუსეთის აგრესიის გაპროტესტებას, ცალსახაა. დიახ, მე ამაში ეჭვი არ მეპარება და ვისაც ეჭვი ეპარება გადახედოს, რას ამბობს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი თავის 2 აგვისტოს განცხადებაში და 24 ოქტომბრის განცხადებაში, ასევე გადახედოს, თუნდაც იმ განცხადებებს, რასაც ნაციონალური მოძრაობის ცალკეული წარმომადგენლები პარლამენტის ტრიბუნიდან აკეთებენ. და ეს მთელი პროცესია, მიმართულებაა, ეს არ არის მხოლოდ განცხადებები, ეს არის დაგეგმილი სტრატეგია იმისა, რომ მოახდინონ სახელმწიფო სტრუქტურების დისკრედიტაცია. სააკაშვილი აცხადებს, ჩვენ ვერ დაველოდებით სანამ ქურდები და კრიმინალები ჩაიგდებენ სახელმწიფოს ხელთო. ის პირდაპირ ამბობს, რომ ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას არ აპირებს, ანუ ჩვენ. და ასეთი განცხადებების ფონზე უცებ მოიფიქრეს, რომ თურმე რაღაც პატრიოტული ნიშნით უნდა გააპროტესტონ აფხაზეთის თემა და აჩვენებენ ყოვლად უზნეო კლიპებს (ანუ უზნეობაა მათ, რომ გააკეთეს კლიპი) თუ როგორ მოხდა ამ ტერიტორიების ოკუპაცია და ვითომდა ამის გასაპროტესტებლად ეძახიან სოციალურად საკმაოდ შეჭირვებულ ადამიანებს, მათ შორის არიან დევნილები, რომელთა მდგომარეობაც მიიყვანეს პიკამდე, უკიდურეს გაჭირვებამდე თავისი მმართველობის პერიოდში. ამ ფონზე, რასაკვირველია, თქვენი ეჭვები იმის თაობაზე, რომ ისინი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ საფუძველმოკლებული არ არის, მაგრამ სხვა თემაა ამის რესურსი რამდენად გააჩნიათ. ვფიქრობ, ადამიანები კარგად აცნობიერებენ იმას, რომ 2008 წლის აგვისტო თავისით არ დამდგარა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე კატეგორიულად იგნორირებული იყო ყველა რჩევა და ხელშეწყობა ჩვენი დასავლელი პარტნიორების. ძალიან საეჭვო ვითარება იყო, ყველა მოვლენა განვითარდა სწორედ ისე, როგორც აწყობდა რუსეთს. დიახ, ყველა მოვლენა და მიმართულება სწორედ ისე განვითარდა, რომ შემდგარიყო 2008 წლის აგვისტოს ომი.



**— ახლა არის საუბრები, რომ ეს აქცია იმართება რუსეთიდან, რუსეთის რეაქციულ ძალებს აწყობთ დესტაბილიზაცია საქართველოშიო...**

— მართვაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ლოგიკური ჯაჭვი მიგვანიშნებს იმაზე, რომ თუ დესტაბილიზაციაზეა საუბარი, რასაკვირველია, რუსეთს მოდუნებული და არასტაბილური ქვეყანა უფრო აწყობს, ვიდრე ძლიერი და ამ შემთხვევაშიც სააკაშვილის ინტერესები რატომღაც კიდევ ერთხელ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს. რაც შეეხება მეორე მხარეს ჩვენს რუსეთთან ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენს საზოგადოებას აწყობს მრავალი მიზეზის გამო. პირველი, სტაბილურობა, მეორე, უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთი ბიზნესმენი ფეხს არ შემოდგამს ჩვენთან თუკი დენთის სუნი ტრიალებს და აი, კიდევ ერთი დამთხვევა ჩვენი არაკეთილისმსურველებისა და მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის სურვილების.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



**იური მეჩითოვი**: მიმაჩნია, რომ იმ პირობებში, როცა ჩვენი პარლამენტი, სამწუხაროდ, არ ეთანხმება საზოგადოებრივ აზრს, უმართავი პროცესებისკენ მივდივართ.

„ლაზარეს“ შეკრება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს უნდა გახდეს საზოგადოებრივი მოძრაობის დასაწყისი, როგორც, მაგალითად, სახალხო ფრონტი. იგი უნდა იქნას მუდმივმოქმედი ორგანო და დაკომპლექტდეს ისეთი ადამიანებით, რომლებსაც საზოგადოებაში ავტორიტეტი აქვთ.

ყველა ვხედავთ, რა სიტუაციაშიც ვართ. ტელევიზიებში საუბრობენ მხოლოდ „ნაციონალები“ და ის ადამიანები, რომლებსაც განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს მომავალზე, მიჩქმალულები და უგულებელყოფილები არიან. გამოდის, რომ საზოგადოებას არ აქვს უფლება პოლიტიკურ ასპარეზზე თავისი აზრი გამოხატოს.

იყოს ის 200 პარტია, მაგრამ ჩვენ გვჭირდება ისეთი მოძრაობა, რომელიც რეალურად შეუწყობს ხელს, მომავალი ხელისუფლება იყოს უფრო ქმედუნარიანი და პრინციპული.

ძნელია იმის მოთმენა, რასაც „ნაციონალები“ სჩადიან. ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს ქვეყანას. ჩვენ თვითონ უნდა გავცეთ პასუხი „ნაციონალებს“. ჩვენს ქვეყანას ჩვენ თუ არ მივხედეთ, სხვა ვინ მიხედავს?!

რაც შემეხება მე, ამ მოძრაობის, ანუ ქართული საზოგადოების გვერდით ვარ.

# ირაკლი ალასანიას ბატონი ნოღლანდი კი ენდობა, მაგრამ ქართველი ხალხი არა!

ალასანიას, შეიძლება, ჰგონია, რომ რადგან ვიღაცები სადღაც ტაშს უკრავენ, ვიღაცამ ნდობის რეიტინგი დაუწერა, ვიღაც კი ამბობს, რომ ენდობა, ხალხიც იმავე აზრზეა. არადა, ვინმემ ხომ უნდა უთხრას, არა, ბატონო მინისტრო, ხალხს არ უყვარხარ და ვერც ვერასოდეს შეგიყვარებს, რადგან ამის მიზეზი თავად მიეცი სხვადასხვა დროსო.

**როგორ შეიძლება** იმ ადამიანებმა და მათმა ჭირისუფლებმა შეიყვარონ ალასანია, ვინც 26 მაისს რუსთაველზე ცემეს, დაარბიეს, დააპატიმრეს, მოკლეს, ალასანიამ კი ისინი უხარისხო ქართველებად ჩამოწერა;

**როგორ შეიძლება** იმ ხალხმა შეიყვაროს, რომელიც შემსწრეა იმისა, რომ სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა პოლიტიკურ ორბიტაზე, ოკუპანტი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ქართველი პოლიტიკოსის ურთიერთობაზე ღიად საუბრობდნენ, რომ ალასანიამ რუსებს ფული მოსთხოვა „რაღაცის“ სანაცვლოდ...

**როგორ შეიძლება** იმ ხალხმა შეიყვაროს, რომელსაც ახსოვს რა გააკეთა ალასანიამ რა გააკეთა 2009 წლის აპრილის გაერთიანებული ოპოზიციის ქუჩის აქციებზე...

**როგორ შეიძლება**, იმ ხალხს შეუყვარდეს, რომელსაც ახსოვს, იმ გაავებული შეხლა-შემოხლის დროს ალასანია გიგა ბოკერიას რომ ხვდებოდა ხან ღიად და ხან ფარულად...

**როგორ შეიძლება** ხალხს მისი ქვეყნის ის თავდაცვის მინისტრი უყვარდეს, რომელიც, ეგონათ, ცივ ზამთარში სამხედრო ბაზებს ათვალიერებდა ავღანეთში და ამ დროს საამოდ თბილ დუბაიში ძებნილ თუ საძებარ „ნაცელიტასთან“ ერთად იმყოფებოდა...

**როგორ შეიძლება** ხალხს ის თავდაცვის მინისტრი უყვარდეს, რომელმაც გახურებულ ცეცხლზე ნავთი დაასხა, სწორედ ხალხის საძულველ პარტიაზე კატეგორიულად განაცხადა, მე არ ვთვლი „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრადო...

**როგორ შეიძლება** ხალხს ის მინისტრი უყვარდეს, რომელსაც პირდაპირ დაადო ხელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ, რომ დათა ახალაია ირაკლი ალასანიამ გადაიყვანა საზღვარზე...

**როგორ შეიძლება** ხალხს ის თავდაცვის მინისტრი უყვრდეს, რომელიც ხან ამბობდეს „ჩვენი ეროვნული ინტერესების უმთავრესი პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაო“ (21.09 2011წ) და ხან რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აშშ-ის საომარი რაკეტების განლაგებას ითხოვდეს საქართველოში...

**როგორ შეიძლება** ხალხს ის თავდაცვის მინისტრი უყვარდეს, რომელსაც მეომარი ემზარ კვიციანი მხოლოდ ერთ კითხვაზე პასუხის გაცემას სთხოვს წლებია უკვე: – მიპასუხოს ალასანიამ, რატომ ჩააბარა კოდორიო?



და ბოლოს, რა დიდად შეიცხადა თვით ალასანიამ (სხვაზე ჯერ არაფერი ვთქვათ) მისი უწყების თანამშრომლების დაკავების ამბავი, მისი თანამშრომლები კი არა, თვით ალასანია არ იყო ბიძინა ივანიშვილმა რომ მთელი მთავრობის გასაგონად უთხრა, შენზე ამბები მომდის, ფინანსურ საკითხებში ცუდად ერევი და არ შემეტლიკინო ახლა, თორემ კანცელარიაში ოთხი კაცია ამოსული, ამოვიყვან და დაგიმტკიცებენო?

რაც შეეხება ბატონი აშშ-ის ელჩის გამოხატულ ნდობას ალასანიასადმი, თქვენ, ბატონებო, ასე ენდობოდით მიხეილ სააკაშვილსაც, ჩვენ – არა; ახლა, ძებნილი სააკაშვილი თქვენ გყავთ შეფარებული და თუ იგივენაირად ენდობით პატივცემულ ალსანიასაც, ახლავე წაგეყვანათ, ჩვენ მაინც არაფერში გვარგია.

ახლა კონკრეტულად ირაკლი ალასანიას თავდაცვის სამინისტროში მომხდარ ე.წ „კაბელებზე“ გადავიდეთ, თუმცა, მანამდე აღვნიშნოთ, რომ ამა წლის 29 აგვისტოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა დააწინაურა კრიმინალი ოფიცრები. თუ რატომ მოვიხსენიებთ მათ ასე, კომენტარიდან შეიტყობთ.

**ტრისტან წითელაშვილი:** – „პრეზიდენტი არაფერ შუაშია, მას დასაწინაურებელ ოფიცერთა სია მიაწოდა თავდაცვის სამინისტრომ, მინისტრს მიაწოდა გენერალურმა შტაბმა. შტაბმა როდესაც მინისტრს წარუდგინა სია, იმ წარდგინებაში ხომ უნდა ყოფილიყო მისი წარსულის შესახებ, რა დროს და რა დამსახურებები აქვთ, თვით მინისტმა ვინლა წარადგინა პრეზიდენტთან? შემთხვევით ასეთი საქმეები არ ხდება, ესაა გამიზნული ქმედება. გვარებს დაგისახელებთ: შალვა ვახტანგის ძე ძიბძიბაძე (მიტინგების დამრბევი), ნიკოლოზ ზურაბის ძე აგლაძე (მიტინგების დამრბევი), გიორგი ტარიელის ძე ბაბუნაშვილი – ეს უკანასკნელი პირწავარდნილი „ნაციონალია“ და დანარჩენების მსგავსად, ისიც მიტინგების დამრბევი იყო; გიორგი გივის ძე კერესელიძე – ამ ადამიანს განსაკუთრებული დანაშაულებები აქვს ჩადენილი. ის ახალაიას დაწინაურებული კადრია, ლოჯისტიკის სარდლად დანიშნა, დღემდე ლოჯისტიკის სარდალია და პრეზიდენტი მარგველაშვილი ანიჭებს პოლკოვნიკის წოდებას.

**– კონკრეტულად რა დანაშაული აქვს ჩადენილი...**

– ახალაიას დროს ჩავიდა ოსიაურის სამხედრო ბაზაზე, გამოარჩია ის ოფიცრები, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ პოლიტიკური აქტივობით, არ იყვნენ პოლიტიზირებულები და არ უჭერდნენ მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“, გააშიშვლა თხუთმეტამდე ოფიცერი, თხრილში ჩაყარა, საწვავი გადასხა და ცოცხლად დაწვის იმიტაცია გაუკეთა...

ამის შემდეგ, გარიანში ლოჯისტიკის ბაზაზე ჩავიდა, დეკემბერი იქნებოდა, გამოიყვანა ის პირადი შემადგენლობა, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა საკუთარი ხალხის დარბევებში, გააშიშვლა 50-მდე ჯარისკაცი და ყინვაში პლაცზე დააყენა 5 საათის განმავლობაში...

იყო ასეთი, პოლკოვნიკი მალხაზ კობერიძე, აფხაზეთში ნაომარი ოფიცერი, ვაჟკაცი კაცი, ჩემ ბატალიონში იბრძოდა და შედეგში გააგრძელა სამხედრო სამსახური. ცხონებული, ზურგშექცეული იყო „ნაცმოძრაობასთან“, არ თვლიდა, რომ სამხედრო პირი პოლიტიკურ პროცესებში უნდა ყოფილიყო ჩარეული. ერთ დღესაც, კერესელიძე რომ მივიდა, მორიგე იყო ბაზაზე და ცემაში მოკლა კერესელიძემ. შემდეგ, რა, ადგნენ, გაათეთრეს ყველაფერი და ოჯახს რამდენიმე საათის შემდეგ შეატყობინეს თითქოს გულმა უმტყუნა. რა გულიო, – ნანა ამბობდა, – ჩემ ქმარს გული არ აწუხებდაო... ექსპერტიზის დასკვნაც გააყალბეს, აბსოლუტურად ყველაფერი... რაც ეცვა, ფორმა, ის ტანსაცმელიც გააქრეს, ფლეშკა ჰქონდა, თან დაატარებდა, ისიც გააქრეს – ეს გააკეთა ყველაფერი კერესელიძემ და დღეს აწინაურებენ!

გრიგოლ ელდარის ძე ჭელიძე – პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა დარბევებში და ქმნიდა ზონდერ-ჯგუფებს; ზურაბ ჟორას ძე თაბუაშვილი – ესეც ბაჩანა ახალაიას კადრი, მისი ყურმოჭრილი მონა; ელგუჯა ავთანდილის ძე მოწონელიძე – ბაჩანა ახალაიას კადრი, მისი კიდევ ერთი ყურმოჭრილი მონა, ნებისმიერი დანაშაულებრივი დავალების შემსრულებელი; ბესიკ ოთარის ძე გოფოძე – ბაჩანა ახალაიას კადრი, დარბევების აქტიური მონაწილე და თავდაცვის სამინისტროში ოფიცრების ცემის მონაწილე და ამასთანავე, ამ ოფიცრების ოჯახებზე ზეწოლაში; რა ხდება, თავდაცვის სამინისტრო კრიმინალს ახალისებს?! ამათ დღეს პოლკოვნიკის წოდება კი არ უნდა მიანიჭო, პროკურატურაში უნდა იყვნენ და ჩვენებებს იძლეოდნენ ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებით, მაგრამ...

თავდაცვის სამინისტროში ალასანიამ, როგორც იტყვიან, ძალიან ცუდი როლი ითამაშა, თავიდან ბოლომდე შეინარჩუნა ახალაიას დამნაშავე კადრები და დღეს სახზე გვაქვს უკვე ჩადენილი დანაშაული – კაიშაურია ახალი, თორემ დანარჩენები ძველები არიან და გასაკვირია ჩვეული საქმიანობა რომ გაეგრძელებინათ?

**– მარტივი შეკითხვა მაქვს და თქვენც მარტივად მიპასუხეთ: შესაძლებელია თუ არა, რომ თავდაცვის სამინისტროში ისე ჩატარდეს მსგავსი ფულადი ოპერაციები, რომ საქმის კურსში არ იყოს მინისტრი თუ არა, მინისტრის მოადგილე მაინც?**

– გამორიხულია! მსგავსი ოპერაციები, დაწყებული შესყიდვებიდან დამთავრებული ტენდერებით, რაც დაკავშირებულია თანხების მიმოქცევასთან, რაც აღემატება გარკვეულ რაოდენობას, ხაზგასმით



ტრისტან წითელაშვილი

ვამბობ, თავდაცვის მინისტრის გარეშე არ ხდება!

თქვენ არ მიგიქცევიათ ყურადღება იმისთვის, რომ ზუგდიდში წაგების გარდა, ავღანეთიდან ალასანიამ ხმების 84% ჩამოუტანა „ნაციონალებს“? რატომ არავინ კითხულობს, რატომ მოიგეს ავღანეთში „ნაციონალებმა“?

თავდაცვის სამინისტროში არის ჭაობი და იქნება მანამ, სანამ იქიდან არ განთავისუფლდებიან „ნაციონალების“ ზონდერკადრები!

**დავით ქავთარია**



**ნანა დევდარიანი:** ალმაშფოთებელია „ნაციონალების“ უტიფრობა. აშკარა დემაგოგიას მიმართავენ და საზოგადოების ნაწილი შეცდომაში შეჰყავთ. ირმა ნადირაშვილი ხმას როგორ უნდა იღებდეს, როცა თავის ქმართან ერთად ერთ წელიწადში 600 000 ლარი წაიღო ბიუჯეტიდან, სხვადასხვა სამსახურში ერთდროულად რომ იყო გაფორმებული, ახლა ნეპოტიზმზე გველაპარაკება. ესაა დანაშაული.

როგორი კარგი ხელისუფლებაც არ უნდა გვყავდეს, ის ხალხის მოყვანილია და ხალხმა თავისი თავი თუ დროდადრო არ შეახსენა, ის კომფორტულად იგრძნობს თავს. ხელისუფლებამ ხალხის ხმა უნდა მოისმინოს. ხანდახან ისიც, რაც ძალიან არ მოეწონებათ. ჩვენი ხმა უნდა გავაგებინოთ ხელისუფლებას. უნდა გავაფრთხილოთ, რომ „ნაციონალებისგან“ დიდი საფრთხე არის მოსალოდნელი.

## 15–ში არის მათი აქცია, ვინც დაგვღუპა და ვინც დაგვაქცია!



## მსოფლიო პრესის მიხედვით

# აფხაზეთს რუსეთთან ურთიერთობაში კორექტივები შეაქვს

## მოსკოვსა და სოხუმს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმებას საქართველოს აბრალებენ

**აფხაზეთში დასრულდა რუსეთთან მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულების პროექტის განხილვა, რომელიც რუსეთის მხარემ მოამზადა. უახლოეს დღეებში სოხუმი მოსკოვს წარუდგენს თავის ვარიანტს, რომელიც შეთავაზებულისგან განსხვავდება, კერძოდ, მასში არ იქნება პუნქტი, რომელიც რუსეთელებისთვის აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შეღავათიან მინიჭებას ეხება. არაოფიციალური ინფორმაციით, აფხაზური ვარიანტი უკვე გაგზავნილია მოსკოვში.**



ცნობილი სოხუმელი პოლიტოლოგი ინალ ხაშიგის ცნობით, აფხაზური ვარიანტი ჯერჯერობით ბოლომდე მომზადებული არ არის: „მის შედგენაზე სულ ცოტა ორი ინსტიტუტი მუშაობდა — პრეზიდენტის ადმინისტრაცია და პარლამენტი. ვიდრე ხელშეკრულების პროექტი მოსკოვში გაიგზავნება, აუცილებელია საერთო პოზიციის შემუშავება. დოკუმენტი ახლა შეჯერების პროცესშია“.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში შემუშავებული ხელშეკრულების პროექტი აფხაზეთში საკმაოდ ემოციურად განიხილებოდა. იმდენად ემოციურად, რომ პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა იძულებული გახდა განმარტებები გაეკეთებინა. რესპუბლიკის ლიდერმა სთხოვა საზოგადოებრიობას, თავი შეეკავებინათ ნაჩქარევი დასკვნებისგან და ხელშეკრულების პროექტი არ მიეღოთ როგორც რუსეთისგან წარმოდგენილი ანგარიში ან როგორც ულტიმატუმი.

„რუსეთს სურს გულღია მეგობრული დიალოგი და ამასვე ელის ჩვენგან. ახალი ხელშეკრულება 2008 წელს დადებულ საბაზო დოკუმენტს კი არ ჩაანაცვლებს, არამედ შეავსებს მას. თავდაცვის საერთო კონტურის ჩამოყალიბება, საქართველოსთან საზღვრის დაცვის გაძლიერება, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე ხალხისა და ტვირთის თავისუფალი გადაადგილება, საბაჟო პროცედურების გამარტივება — აი, რას გვთავაზობს რუსეთის მხარე და ეს ყველაფერი ჩვენს ინტერესებს შეესაბამება. ამ იდეების უარყოფა შეაფერხებს ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და ჩვენი ხალხის წინაშე არსებული ბევრი პრობლემის მოგვარებას. რაც მთავარია, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს რუსულ-აფხაზურ ურთიერთობას“, — განაცხადა ხაჯიმბამ.

პრეზიდენტი არწმუნებს თანამემამულეებს, რომ ახალი ხელშეკრულება საფრთხეს არ უქმნის მათს სუვერენიტეტს. და თუ არის ისეთი რამ, რაც შესაძლოა საშიშროება იყო აფხაზებისთვის, დოკუმენტის საბოლოო რედაქციაში აღარ იქნება. „რუსეთთან ხელშეკრულების საკითხმა საზოგადოება კი არ უნდა გაყოს, არამედ გააერთიანოს“, — ასე ფიქრობს აფხაზეთის ლიდერი.

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ აფხაზეთის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: „საქართველო უფრო მშვიდობისმოყვარე რომ ყოფილიყო, ჩვენ შესაძლოა არც დაგვჭირვებოდა ეს ხელშეკრულება. მოსკოვსა და სოხუმს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს აგრესიულმა პოლიტიკამ განაპირობა.

მისივე თქმით, აფხაზეთისა და რუსეთისთვის სამხრეთის ფლანგის უსაფრთხოება უაღრესად მნიშვნელოვანია და ამას ორივე მხარე აღიარებს. „ერთად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან საქართველო ნატო-ში შესვლას აპირებს და ამერიკის შეერთებული შტატები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მის შესვლას ლობირებს. ნატო-ს მაღალი დონის წარმომადგენლობა სტუმრობს თბილისს, მოლაპარაკებებს მართავს. ჩვენთვის უცნობია, რის შესახებ მსჯელობენ ისინი, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: საქართველო ნატო-ს წევრობისთვის ემზადება, რაც აფხაზეთსა და რუსეთს პირდაპირ საფრთხეს უქმნის. მდგომარეობას ართულებს უკრაინაში, სირიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ერაყში არსებული სირთულეები. ამ გამოწვევებს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ“, — აცხადებს ჩირიკბა.

აფხაზური მხარის უკმაყოფილება გამოიწვია პროექტის იმ პუნქტებმა, რომლებიც სუვერენიტეტის ნაწილობრივ დელეგირებას გულისხმობს. ასეთებია: „შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა“, „თავდაცვის საერთო სივრცე“, გაერთიანებული თავდაცვითი ინფრასტრუქტურა“, „საზღვრების ერთობლივი კონტროლი“... უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულებების უმრავლესობა სინამდვილეში მოქმედებს და „შეღავათიან რედაქციაში“ უკმაყოფილება აღარ მოჰყვება. ყველაზე მეტად მათ აწუხებთ ხელშეკრულების პროექტის ის პუნქტები, რომლებიც რუსებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების წესებს ამარტივებს. აფხაზეთის მცირერიცხოვანი მოსახლეობა ყოველთვის უფრთხის ეთნიკური ხასიათის ცვლილებებს, რაც შემდგომში ზეგავლენას მოახდენს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე.

აფხაზეთის გარშემო შექმნილი გარემოებების გამო საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭო მოიწვია და დასვლელ პარტნიორებს მიმართა თხოვნით, ზეგავლენა მოახდინონ რუსეთზე, რადგან „ახალი ეგრეთ წოდებული ხელშეკრულება ქართული ავტონომიის ანექსიაა“. ევროპის ქვეყნებში ვიზიტებით მყოფმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ საფრანგეთისა და ბელგიისგან მიიღო მხარდაჭერის დაპირება. ახლა ჯერი გერმანიაზეა.

საქართველოს ყოფილი ხელისუფლება აცხადებს, რომ უკიდურესად შეშფოთებულია აფხაზეთის ბედით და ახლანდელი ხელისუფლების უმოქმედობით. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წამოიწყო წაუგებელი თამაში — 15 ნოემბერს აფხაზეთის ანექსიის გამო საპროტესტო აქციას მართავს და ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს. ხელისუფლების მცდელობას, ხელი შეუშალოს საერთოეროვნულ მანიფესტაციას, საზოგადოება არაერთგვაროვნად გაიგებს. არადა, მთელი საქართველოსთვის აფხაზეთის პრობლემა მტკივნეულია და მასთან დაკავშირებული ინიციატივის ოპონენტებისთვის დათმობაც ხელს არ აძლევს ახლანდელ ხელისუფლებას, მით უმეტეს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ამასწინანდელი განცხადების შემდეგ: მომავალ არჩევნებამდე კიდევ ორი წელია დარჩენილი, მაგრამ დრო არ ითმენს, ახლანდელ რეჟიმს, რომელსაც ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავს, დღესვე უნდა შევებრძოლოთო. საქართველოს პროკურატურამ სააკაშვილის ეს განცხადება სისხლის სამართლის იმ საქმეს დაურთო, რომლითაც ყოფილ პრეზიდენტს ბრალად ედება ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების ბედზე ეს, რა თქმა უნდა, არ აისახება. თბილისს პრაქტიკულად არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, ვითარება შეცვალოს.

# ბერლინის კედელი: როგორ მოჩანს იგი ამერიკის, რუსეთის, ევროპისა და ჩინეთის სამრეკლოებიდან

**მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ბერლინის კედლის დანგრევისა და „ცივი ომის“ დასრულების შესახებ.**

ბერლინის კედლის აჩრდილი კვლავ თან სდევს მსოფლიოს. ბეტონის ფილები და ეკლიანი მავთულხლართები, რომლებიც ქვეყანასაც და კონტინენტსაც ყოფდა, თითქმის აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, ბერლინის კედელი კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. მსოფლიოს არ გააჩნია ერთიანი შეფასება, რატომ დაინგრა იგი, ხოლო თუ უფრო ფართო კონტექსტით განვიხილავთ — რატომ დამარცხდა ევროპული კომუნიზმი და დამთავრდა „ცივი ომი“. არსებობს ოთხი გაბატონებული მოსაზრება და თითოეული ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ეს მხოლოდ მეცნიერული კამათი როდია. როგორ აფასებს პოლიტიკური ელიტა წარსულს, ხომ არ არის საერთო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტი ახლანდელი საერთაშორისო ურთიერთობის არასტაბილურობის მიზეზი? — აი, შეკითხვები, რომლებზეც საპირისპირო დასკვნები არსებობს.

ამერიკელებს „ცივი ომის“ დამთავრება ისტორიის ტრიუმფად მიაჩნიათ. „ღვთის შეწევნით, ამერიკამ გაიმარჯვა“, — განაცხადა უფროსმა ჯორჯ ბუშმა. შეკავების პოლიტიკის ათწლეულების შემდეგ რონალდ რეიგანმა გასცა ბრძანება — „დაანგრიეთ ეს კედელი“, ხოლო კრემლმა აღიარა მეტისმეტად ძვირადღირებული და გამალებული შეაიარაღების უაზრობა და ისიც დაიჩრდილა.

საბჭოთა კავშირის კაპიტულაცია გახდა სიმბოლო არა მარტო ამერიკის მსოფლიო ბატონობისა, არამედ ამერიკული ფასეულობებისაც. ამერიკელები მეტისმეტად დამაჯერებლად ხსნიდნენ „ცივი ომის“ დამთავრების მიზეზებს: მართალია ის, ვის მხარეზეც ძალაა. ჩვენ კი ყოველთვის მართალი ვიყავით.

ხშირად გაბატონებული მოსაზრებები ისტორიული მოვლენების შესახებ იმდენად პოპულარული ხდება, რომ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ, ვიდრე სიზუსტეს. „XX საუკუნის ომებმა თუკი რამ გვასწავლა, არის ის, რომ შეგვიძლია მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს, დავიცვათ ჩვენი ფასეულობები და თავისუფლების ძალა უპირატესი გავხადოთ“, — განმარტა ბილ კლინტონმა. „მოდით, გავიხსენოთ ჩვენი ისტორია და აღვასრულოთ ჩვენი დანიშნულება — კიდევ ერთხელ შევცვალოთ მსოფლიო“, — ქადაგებდა ბარაკ ობამა.

ევროპელები არ ეთანხმებიან ამერიკელებს. კომუნიზმის კრახი არ გამოუწვევია ძალას. სწორედ ძალის უქონლობამ განაპირობა ხავერდოვანი რევოლუციები აღმოსავლეთ ევროპაში. ევროპელების აზრით, კონტინენტზე მშვიდობიანობა შემთხვევითი არ ყოფილა. პირველ მსოფლიო ომში ევროპამ თითქმის თავი მოიკლა. იგივე მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროსაც და ყველა მიხვდა, რომ ბირთვული იარაღის ეპოქაში მესამედ ამის გადატანას ველარ შეძლებდნენ. ამიტომაც გადაწყვიტეს ერთიანი სივრცის შექმნა, განსხვავებული ეკონომიკის, რელიგიის, კულტურისა და ხალხების გაერთიანება, ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც ძალის გამოყენების საფრთხე არ იარსებებდა. ევროპამ დაამარცხა ომი! — სიამაყით



რაც საფუძვლად უდევს ამ დასკვნას, უფრო აღმატებულია, ვიდრე ამერიკელთა რწმენა — მსოფლიოს ყველა ხალხი ცდილობს, მათ მიჰბაძოს. თუმცაღა ეს ვერსია განმარტავს არა მარტო ევროპის წარმატებას, არამედ კომუნიზმის კრახსაც.

გორბაჩოვის იმედი ევროპასთან ინტეგრაციის შესახებ მალევე გაქრა. ნატო ფართოვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის ლიდერები ირწმუნებოდნენ, მისი საზღვრები გაერთიანებული გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარს არ გასცდებაო. პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები და უნგრელები უკანმოუხედავად მიტრიალდნენ ევროპისკენ. პოსტსაბჭოთა ეკონომიკა ჩამოიშალა. რუსები თვალყურს ადევნებდნენ ამერიკელთა სამხედრო ძალის დემონსტრირებას ბალკანეთში, ავღანეთში, ახლო აღმოსავლეთში, ჩეჩნეთსა და საქართველოში რუსეთის შეჭრამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ხალხი, რომელიც შიშის ზარს სცემდა დასავლეთს, იძულებული გახდა, საყვედურები მოესმინა მათგან, ვისაც სამეზობლოში მშვიდობის დამყარება სურდა, მაგრამ იმავდროულად მზად იყო, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უმცირესი პროვოკაციის გამო თავისი ჯარები გაეგზავნა.

პუტინს ამ მოვლენებმა ჭკუა ასწავლა: არ შეიძლება ენდო დასავლეთს. რუსეთს პატივს სცემენ მაშინ, როცა მისი ეშინიათ. ამერიკას სამხედრო სფეროში კი არ დაუპირისპირდა, ისეთ ქვეყნებთან გამონახა საერთო ენა, რომლებსაც ამერიკის ამბიციური ჰეგემონობა დიდად არ მოსწონდა. ამასთან გამოიყენა თავისი უპირატესობანი: ენერგორესურსების, კიბერტექნოლოგიების განვითარების მაღალი დონე და გაერო-ს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება თავისი ნაციონალისტური ინტერსების სარეალიზაციოდ. დაე, ევროპელებმა ილაპარაკონ, ამერიკელებმა იბაქიბუქონ, ჩვენ კი ვიმოქმედოთ, — ფიქრობდა პუტინი.

ჩინელებისთვის 1989 წლის მთავარი მოვლენა ბერლინის კედლის დანგრევა კი არ იყო, არამედ ტიანანმენის მოედნის ჯანყი. „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის მოვლენებმა ჩინეთის საშინაო განვითარებაზე გავლენა არ მოახდინოს“, — ასეთი იყო ჩინეთის კომპარტიის ლიდერთა მთავარი ამოცანა 1989 წლის მარტში. ორ-სამ თვეში მოედანზე შეკრებილი ხალხის წინააღმდეგ ტანკები და ტყვიამფრქვევები გამოიყენეს, რითაც ძალაუფლება შეინარჩუნეს. „მიიყვანეთ დაწყებული საქმე ბოლომდე. დასავლეთი მალე ყველაფერს დაივიწყებს“, — აცხადებდა იმ დროის ყველაზე სასტიკი ლიდერი. ხელისუფლებამ ხალხთან დადო ფარული შეთანხმება: პოლიტიკური სკლეროზი ეკონომიკური ზრდის სანაცვლოდ. და ვაი, მას, ვინც ამ შეთანხმების პირობას დაარღვევს.

1989 წლის შემდეგ აღმოცენებული „ახალი მშვიდობა“ იმედისმომცემად ჩანდა. ბერლინის კედლის დანგრევა წარსულისგან გამოფხიზლება ეგონათ. როცა ამ მოვლენის მიზეზებსა და შედეგებზე სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული ვერსიები აქვს, წარსულს ეძლევა შანსი, ბოლოს გაიცინოს.



## დემურ გიორხელიძე:
# ნაციონალების მიერ აფხაზეთის თემასთან დაკავშირებით აქციის გამართვა ცინიზმია...

გვესაუბრება ანალიტიკოსი **დემურ გიორხელიძე**:

**— ბატონო დემურ, თავდაცვის სამინისტროში მომხდარ ფაქტზე განსხვავებული კომენტარები კეთდება. ჩინოვნიკების დაჭერა უცნაურად დაემთხვა დროში „თავისუფალი დემოკრატების“ მოახლოებულ ყრილობას და 15 ნოემბერს დაგეგმილ „ნაციონალების“ აქციას. როგორ ფიქრობთ, რა პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება ყოველივე?**

— ეს ნიშნავს, რომ უკვე მეოთხეჯერ იგივე წრეზე მივდივართ, იმავე ჭაობში ვართ, ისევ, იმ მენტალიტეტით, იმავე პოლიტიკური ძალებით, დაპირისპირებაც ჩვეულ რეჟიმში გრძელდება. ამ დროს, ყოფილი სახელისუფლებო ძალის ლიდერი — სააკაშვილი ქვეყნის, ხელისუფლების დამხობაზე ტელეეკრანებიდან გვესაუბრება. პროვოკაციული ძალა, რომელმაც ლამის დააჩოქა საქართველო, ახალი ხელისუფლების წყალობით, დღეს, იმაზე მეტად ძალამოკრებილი, ორგანიზებული და მატერიალურად უზრუნველყოფილია, ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნისას იყო. ეს ძალა კარგად გათვლილი ტექნოლოგიების საფუძველზე მოქმედებს. რაც შეეხება 15 ნოემბერს „ნაცმოძრაობის“ მიერ დაანონსებულ აქციას, ეს აბსოლუტური ცინიზმია. რუსეთმა, ქართული მიწები, სწორედ ამ ხელისუფლების დროს დაიპყრო და ქვეყანა უმძიმეს ჩიხში შეიყვანა, რაც წინა ხელისუფლების და სააკაშვილის დანაშაულია. დღეს, რუსეთში, რა სცენარითაც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, საქართველოსთვის რისკები, ყველა შემთხვევაში, იზრდება, რაც შეიძლება უმძიმესი შედეგით დასრულდეს. ქართულ პოლიტიკაში კი არაფერი იცვლება — ისევ იდეა-ფიქსების დეკლარირება გრძელდება. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, თუ რუსეთი ამ დაპირისპირებაში მხოლოდ ომის შემთხვევაში დამარცხდება, ეს საქართველოში რუსეთის პოლიტიკის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ეს პროვოკაციული პოლიტიკაა, რაც სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისგან შორსაა. ეს იგივე კალაპოტში დარჩენაა, რამაც ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა. რაც შეეხება ალასანიას გარშემო განვითარებულ მოვლენებს, ცხადია, ვერცერთი პოლიტიკური ლიდერი, აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობაზე ყოფნით, დაცული ვერ იქნება, რომ მის სისტემაში რაიმე დარღვევა, კორუფცია არ მოხდება. ესაა უკონტროლო სისტემა. არსებობდა კონტროლის პალატა, რომელიც მოშალეს. მის ნაცვლად, სასაცილო ორგანო შექმნეს ე.წ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელსაც სათავეში წინა ხელისუფლების ერთ-ერთი სახე უდგას. თუ რას აკეთებს ეს ორგანო, მგონი, კარგად თანამშრომლებმაც არ იციან. ამიტომ, სახელმწიფო ფულთან დაკავშირებით, როგორც წინა ხელისუფლების დროს იყო განუკითხავი ხარჯვა, იგივე გრძელდება. აქვე ტენდერებსაც მინდა შევეხო, სასაცილოა იმაზე საუბარიც კი, რომ ობიექტურად ტარდება და ღირსეულები იმარჯვებენ. როგორც ადრე, ახლაც, ტენდერი დახურული სისტემაა. დიახ, ტენდერებს, ძირითადად, ახლაც სააკაშვილის ხელდასმული ფირმები იგებენ.

**— ამ მოვლენებმა ხომ არ შეიძლება ბიძგი მისცეს კოალიციის დაშლას ან თუნდაც „თავისუფალი დემოკრატების“ და სხვათა ცალკე სუბიექტად გამოყოფას?**

— ვფიქრობ, ეს კარგად გათვლილი ქმედებებია. არ მესმის, რატომ არის ალასანიას თემა წინ წამოწეული. ამაში, ერთადერთ მიზანს ვხედავ: პოლიტიკური ცხოვრების კულუარებში ძალიან კარგად ვერკვევი, შესანიშნავად ვიცი, რას ნიშნავს ყოველივე, თუნდაც, ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტის 15 ნოემბრის აქციის წინა პერიოდზე დამთხვევა. ეს ხელისუფლების მორყევის მცდელობაა, ასევე, ბიძგი ისედაც უსიცოცხლო კოალიციის დაშლისკენ და იმ კონტურების მოხაზვა, რომელიც 2 წლის წინაც კი ცნობილი იყო. ამიტომაცაა, „რესპუბლიკელების“ პოზიცია ხელისუფლებისგან განსხვავებული. არადა, ისინი თავიდან ბოლომდე ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით არიან იქ სადაც არიან და არა ხალხის სურვილით. „რესპუბლიკელები“ ჯერ სააკაშვილმა გააცოცხლა, შემდეგ ივანიშვილმა უზარმაზარი ფინანსური ინექცია გაუკეთა, ფეხზე დააყენა და ფაქტობრივად, ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი შტო ჩააბარა. ასე, რომ ისინი ახლაც ისე მოიქცევიან, როგორც იქცევიან ბოლო 26 წელია. არაფერი გასაკვირი ამაში არაა. ამ პარტიას თავის შეხედულებები აქვს, მაგრამ მუდამ სხვისი წყალობით აღწევდა რაღაცას. მათ კარგად იციან დესტრუქციული მოქმედებები როგორ განახორციელონ. რაც შეეხება აბსურდულ წინააღმდეგობას ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით, ცივილიზებულ სამყაროში ცხადია, არა ერთმმართველის უფლებით, მაგრამ გასაღები ყოველთვის შსს-ში უნდა იყოს, რაც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია. თუ შსს არ მოგვწონს, მაშინ კანონები დავხვეწოთ და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი იმ ნორმებში ჩავაყენოთ, რაც აუცილებელია. ამ ინსტიტუტის მონგრევა, დაუშვებელია. თურმე, გასაღებები უცხოურ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ, ანუ უცხოური კაპიტალით შექმნილ ქართულ კავშირგაბმულობებს. ევროპაში, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები, ჩვენზე იცინიან, როგორც ჩანს, ამათ ჭკუა არ აქვთო. ეს პოლიტიკური პროვოკაციის მიზნით შემოგდებული კანონია, რომელიც ისახავს მიზანს შსს დაასუსტოს. ეს მიხეილ სააკაშვილის 2001-03 წლების მოქმედებების ზუსტი გამეორებაა. ესაა სცენარი, როცა ჯერ შსს-ს შეუტიეს, შემდეგ სხვა ძირითად ინსტიტუტებს და შევარდნაძე, რომელიც ამ რევოლუციის სულისჩამდგმელი იყო და ამას ყველანაირად მხარს უჭერდა, გალოკილი დატოვეს. თუ ეს ხელისუფლებაც შევარდნაძის გზას გაიმეორებს, იმავე ფინალს მიიღებს.




**— ბატონო დემურ, რას უნდა ველოდოთ ქვეყანაში კოალიციის დაშლის ან სუბიექტების გამოყოფის შემთხვევაში?**

— ვფიქრობ, არჩევნებამდე საკმაო დროა იმისათვის, რომ სიტუაცია გადალაგდეს. დარწმუნებული ვარ, იგივე კონფიგურაციით, კოალიცია არჩევნებზე ვერ მივა. რაც შეეხება, „ნაცმოძრაობას“, ხელისუფლების ხელშეწყობით, იგი, დღეს, კარგად ორგანიზებული ძალაა. ვფიქრობ, დგება პერიოდი, როდესაც რეალობაში სულ სხვა ორგანიზაციული სტრუქტურები გაჩნდება. იმიტომ, რომ სატელიტი პარტიების იმედი, საქართველოში, აღარავის აქვს. ისეთმა პარტიებმა პოლიტიკური მომავალი თავად გაინადგურეს.ბბოლო, თვითმმართველობის არჩევნებზე 70%-მდე ამომრჩეველი არჩევნებზე არ მივიდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საზოგადოებაში სხვა ძალის დიდი მოლოდინია. ეს როგორ მოხდება, ძნელი სათქმელია იმიტომ, რომ ორწლიანი პერიოდის პროგნოზირება, საქართველოში, არავის შეუძლია, სიტუაციები მომენტალურად შეიძლება შეიცვალოს. ამ კუთხით, სერიოზული მოძრაობაა დაწყებული. ადამიანები, რომელთაც თავიანთი შვილების მომავალი აწუხებთ, აუცილებლად მოძებნიან ერთმანეთთან გზას ენ-ჯე-ოებისა თუ პარტიული სტრუქტურების გარეშეც. აქ, თავისუფალი, ძალიან მამაცი, გონიერი ადამიანების ერთობამ უნდა იმუშაოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესენი გადალაგდებიან და იგივე ძალას მივიღებთ.

ამით არაფერი შეიცვლება. შესაკრებთა გადანაწილებით ჯამს ვერ შეცვლი.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ უშვებს ხალხი ერთიდაიგივე შეცდომას: მათ ვინც 87%-ით გამსახურდია აირჩია, მერე 95%-მა შევარდნაძეს დაუჭირა მხარი, იგივე ხალხმა მისცა ხმა სააკაშვილსაც. რა ხდება?**

— საქმე ისაა, რომ ჩვენი ხალხი მეოთხე წრეზე იგივე შეცდომას უშვებს. ეს მიმდობი, მიამიტი ადამიანის საქციელია, რომელიც ისევ მარჩენალის, ბელადის, პატრონის იმედზეა. ერთიდაიგივე ხალხი დღეს ერთს ირჩევს, ხვალ მეორეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენთან პოლიტიკური მეხსიერება არ მუშაობს, ადამიანები რეალურად არ აკვირდებიან ხალხს, ვისაც ენდობიან და ხელისუფლებაში მოჰყავთ, მათ შედეგებს არ თხოვენ. ბოლო თხოვნა იყო ცვლილებები, რაც არ განხორციელებულა. თუმცა ჩვენი მოქალაქეები მაინც იცვლებიან, კრიტიკულნი ხდებიან. დროა საჭირო, რომ ბოლოს და ბოლოს ქართული საზოგადოების სეგმენტაცია მოხდეს, რათა მათ გარკვეული მსოფლმხედველობის მიხედვით აირჩიონ პოლიტიკური პარტიები და დასრულდეს ქართველი ხალხის გამაოგნებელი შეცდომა, როცა ხან ერთს აძლევს ყველა ხმას და ხან მეორეს. ეს ნიშნავს რომ დემოკრატიული არჩევნები და მიზნები ჩვენი ხალხისათვის გაუგებარია.

**— 15 ნოემბრის აქციის მთავარ თემაზე აფხაზეთზეც ვისაუბროთ. ამ კუთხით, სწორი პოლიტიკის წარმოება, ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო.**

— ახალ ხელისუფლებასაც სიღრმისეულად არ აქვს წარმოდგენილი, რა მოხდა ქართველ-აფხაზთა შორის დაპირისპირებაში. ვერ გაუგიათ, რომ ეს ეროვნული შუღლი იყო, რომელსაც ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. აფხაზები ყოველთვის დაჩაგრულად გრძნობდნენ თავს, რამაც ქართველებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოაყალიბა. შედეგად, აფხაზებმა მიაგნეს „მტრის ხატს“ — ეს ქართველები არიან. ეროვნულ შუღლს სხვანაირად უნდა მიდგომა და არა ავტონომიების შეთავაზება, რაც სრული აბსურდია. დილეტანტური შეხედულებები მიანიშნებს, რომ ქართული საზოგადოება და ხელისუფლება მზად არაა კონფლიქტი მოაგვაროს. ამ ტრაგედიიდან 21 წელი გავიდა და არაფერი შეცვლილა. გავიძახით აფხაზები ქართველები არ არიან, საიდანღაც არიან ჩამოსულებიო, რაც პოლიტიკური კრეტინიზმი, უდიდესი შეცდომაა. აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, ჩვენი თანამოძმენი, დამოუკიდებელი



**თემო გოცაძე**: ქვეყანა საბოტაჟის რეჟიმშია. ყველა დონეზე მიმდინარეობს უკომპრომისო საბოტაჟი. არ შეიძლება რაიმე მოხდეს ქვეყანაში, რომ ეს არასამთავრობოები არ აყაყანდნენ. გამოდის, რომ ხელისუფლებას რაღაცნაირად ეშინია მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის, რადგან მაშინვე ტყდება აჟიოტაჟი ხან არასამთავრობოების მხრიდან, ხან „ნაციონალების“ გუნდიდან. ეს არის რეალური საბოტაჟი. მეხუთე კოლონა სხვა არაფერი არაა. ესაა მეხუთე კოლონის მავნებლური ქმედებები, რაც ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებს.

ახლა იგონებენ რაღაცებს და ამბობენ, ვინც რუსული ორიენტაციისაა, ისინი არიან მეხუთე კოლონაო. თვითონ ესენი ვინ არიან? ესენი გახლავან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მტრული ძალების მომხრეები.

ახლა რომ გაჰყვირიან, ადამიანების უფლებები ირღვევაო, ცოცხებით და რკინებით რომ აუპატიურებდნენ ხალხს, მაშინ სად იყო რომელიმე მათგანი?!

„ნაციონალების“ ხელში არის ძალიან დიდძალი ფული და ამ ფულს იყენებენ საქართველოს წინააღმდეგ.

15 ნოემბერს აპირებენ მიტინგის მოწყობას. დაურიგებენ, ალბათ, 30-50 ლარს ხალხს და ჩამოიყვანენ რეგიონებიდან.

გაათახსირეს ერი ამ უბედურებმა. გაამათხოვრეს ხალხი და არავის არ აწუხებს ის, რომ ამდენი ხალხი ფულის გულისთვის ჩამოვა თბილისში და არა იდეის გულისთვის.

ყოველივე ეს ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს.

ჩემი აზრით, მოქმედების დროა. ჩვენ, ხალხმა, საზოგადოებამ უნდა ვიაქტიუროთ. „ლაზარეს“ შეკრება მნიშვნელოვანი პროცესების დასაწყისი უნდა გახდეს.

ეთნოსია. აზროვნებაში სიბნელეა, რამაც ამ ტრაგედიამდე მიგვიყვანა. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირება, რუსეთს, აგრესიული პოლიტიკისკენ უბიძგებს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ „ნაციონალების" მხრიდან ამ თემაზე აქციის გამართვა, ცინიზმია. რა შეიძლება მოჰყვეს ამას?**

— ეს დაცინვაა, რადგან სწორედ წინა ხელისუფლებამ „უზრუნველყო" რუსეთისთვის ამ ტერიტორიების გადაცემა. დღეს, იმაზე საუბარი, რომ ეს პოლიტიკური ძალა პროტესტს აცხადებს ანექსიაზე, თავისთავად დამამცირებელია. დიახ, იმ პოლიტიკის ფარგლებში რასაც დღეს ვხედავთ, იმ აგრესიული დაპირისპირების ფონზე, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის არის, კიდევ უფრო აგრესიულ მოქმედებებს უნდა ველოდოთ. „ნაცმოძრაობის" აქციას ერთადერთი მიზანი აქვს — ესაა აქცია ტესტი, რომელმაც ხელისუფლების ზრდასრულობა უნდა შეამოწმოს. 15 ნოემბერს არაფერი მოხდება, არც გადატრიალება, არც გადმოტრიალება, მაგრამ მოისინჯება რამდენად გონივრულად იმოქმედებს ხელისუფლება, რათა შემდეგმის მიმართ კიდევ უფრო მძლავრი რყევები განახორციელონ. ბოლოს და ბოლოს „ნაცმოძრაობა" პროვოკაციებში კარგად გამოცდილი პოლიტიკური ძალაა. თუ ხელისუფლება აზრზე ვერ მოვა, დარტყმების განხორციელებას გააგრძელებენ უკვე მორყეული ხელისუფლების მიმართ. ახლა, ამ ე.წ. ენ-ჯი-ოების, ასევე, „დამხმარე ინტელექტუალური ელიტის" მეშვეობით ამ რყევების განხორციელება მიდის, რასაც ტელევიზიები ხელს უწყობენ. ხელისუფლება ამას ვერ გრძნობს. ვიმეორებ, 15 ნოემბერს არაფერი არ მოხდება, მაგრამ თუ ხელისუფლება 15 ნოემბერს შეცდომას დაუშვებს, მეორე, მესამე აქცია განმეორდება, ხელისუფლება მაგრად მოირყევა, მისი ძალოვანი ინსტიტუტები შეშინებული და გვერდზე ჩაწეული იქნება, როგორც 2003 წელს მოხდა, რაც ე.წ. „ვარდების რევოლუციით" დაგვირგვინდა. იგივე სცენარი ვითარდება, თავად ვარ პროცესების

ბული კოალიცია „ქართული ოცნება" მივიღეთ.

**— „ნაცმოძრაობას" ალბათ, გათვლილი ექნება ისიც, რომ აფხაზეთი ჩვენი ტკივილია და ამიტომ აქციაზე, შეიძლება, საკმაოდ ბევრმა ადამიანმა მოიყაროს თავი. ნაცები ამ ხალხს ხომ საკუთარ მხარდამჭერებად შერაცხავენ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. მათ ბრწყინვალედ იციან პოლიტიკური ტექნოლოგიები და ის თუ როგორ გაათამაშონ ესა თუ ის თემა. თუ ადამიანს ეუბნები რუსეთის ანექსიის წინააღმდეგ ვმართავ აქციასო, წესით, მოქალაქე იქ უნდა გახვიდე. მაგრამ, როცა იცი, რომ ამას პროვოკატორი პოლიტიკური ძალა სრულიად სხვა მიზნით აკეთებს, აფხაზეთი მას სულ ფეხზე ჰკიდია, მაშინ თავი უნდა შეიკავო. დარწმუნებული ვარ, მიამიტი ადამიანების გარკვეული ნაწილი ამ ანკესზე წამოეგება. ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ საკუთარი მხარდამჭერებითაც რომ მივიდნენ — 4-5 ათასი კაცი მიიყვანონ, ეს სოლიდური აქციაა. ამიტომ, მთავარია, ხელისუფლებამ შეცდომა არ დაუშვას. ცხადია, ყველა შეცდომა სათანადოდ გაპიარდება, მიზანიც ესაა.

**— როგორ ფიქრობთ, რა ძალებს აწყობთ დღეს ქვეყანაში არეულობის მოწყობა?**

პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დაუშვა შეცდომა, როცა რიგგარეშე ვადამდელი არჩევნები არ დანიშნა, რითაც პარლამენტში თანაფარდობას შეცვლიდა. იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობას" მხარს არავინ დაუჭერდა. პოლიტიკაში შეცდომა ძვირი ჯდება. შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ მდგომარეობა ხელოვნურად გაირთულა. თუ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება, მაშინ ეს ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს, წინაარმდეგ შემთხვევაში ამაზე საუბარი უაზრობაა. რაც შეეხება არეულობას, არამგონია ამერიკელებს ან ევროპას საქართველოში დესტაბილიზაცია აწყობდეს იმიტომ, რომ ეს ისედაც რთული რეგიონია. რთული მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში. საქართველოში სიტუაციის არევა დამატებით პრობლემებს შექმნის. შემიძლია გითხრათ, აქ რომ დიდი მასშტაბის დაპირისპირება მოხდეს, ანუ ვთქვათ, სამოქალაქო ომი,

**ნაციონალები დუბაიში**



მონაწილე, ვიცი როგორ ხდება კულუარებში ამის დამუშავება და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ეს ასეა.

**— ანუ ქვეყანაში „ვარდების რევოლუციის" სამზადისია? ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ ეს დამნაშავე, ფაშისტური რეჟიმია. რეჟიმის შეფასება არ მოხდა, ამან ხო მარ მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე?**

— დიახ. ახალ ხელისუფლებას ქართველი ხალხის წინაშე უზარმაზარი ცოდვა აქვს ჩადენილი — მან საძულველი რეჟიმი, ორი წლის თავზე, გააძლიერა, ფეხზე დააყენა, რასაც საკუთარი სახელი, ნდობა შესწირა. რეჟიმის გასამართლების ნაცვლად ფეხზე დაყენებული „ნაცმოძრაობა" და დაკნინე-

ცალსახად ამის გაკონტროლება ერთ პოლიტიკურ ძალას არ შეეძლება, ყველა თავის მაქსიმალურ მოგებაზე ითამაშებს, მაგრამ აქედან რა გამოვა, ძნელი სათქმელია. ცხადია, რუსები, თავის ძალიან ძლიერ თამაშს ითამაშებენ. ისინი, ახლაც სერიოზულად გეგმავენ საქართველოს გადაფორმატირებას იმიტომ, რომ ჩვენ არ ვეშვებით იმას, რასაც რუსეთი არასდროს დასთანხმდება. საფრთხეები საქართველოს რუსეთისგან ელის, იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის უგონო, პროვოკაციულ პოლიტიკას თავს არ დაანებებს. ეს საფრთხე მომაკვდინებელი იქნება.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# ყველა ის „ენჯეო", რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ „ნაციონალებმა" დააარსეს, შეიარაღებული ბანდაა და ეს ბანდები მზად არიან 15 ნოემბერს სისხლი დაღვარონ...

**შსს-ისა და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები, პროკურორები, არაფრისმაქნისი მაგრამ ჩამოწერილი ძალისმიერი შესაძლებლობების მქონე პირები, „ნაციონალებთან" დაახლოები ადამიანები, რომელთაც ბრალი წაყენებული აქვთ, მაგრამ გირაოთი არიან განთავისუფლებულები, არასამთავრობო ორგანიზაციებში ერთიანდებიან და აქტიურად ემზადებიან 15 ნოემბრის აქციისთვის.**

**ელემენტარულად, ხომ საინტერესოა, ვინ არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა დაცვის ლიგა"?**

**დამფუძნებლები: ლევან გვაზავა (შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს), ირაკლი ქადაგიძე (თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი), ზაზა ჭაია (თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის მოადგილე), ირაკლი ფირცხალავა (დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი).**






**კომენტარისთვის მივმართეთ ყოფილ პოლიტპატიმარს, „თავისუფალი თაობის" ერთ-ერთ აქტიურ წევრს.**

**— თქვენ „ბანდად" მოიხსენიეთ ე.წ „ენჯეოები", ალბათ, ყველას არ გულისხმობთ...**

— ყველა ის „ენჯეო", რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ გამოიჩეკა „ნაციონალებისგან", ბანდაა და თან შეიარაღებული. ისინი თავიანთ ბანდაში აერთიანებენ ყოფილ მინისტრებს, მინისტრის მოადგილეებს, უბნის აქტიურ კოორდინატორებს, პოლიციის უფროსებს, პოლიციის რიგით თანამშრომლებს, თავდაცვის სამინისტროს ყოფილ თანამშრომლებს, დეპარტამენტის დირექტორებს, გამგებლებს და ა. შ — ყველას რა ჩამოთვლის. ამ ადამიანების მითითებებით, რომლებიც როდესაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა უწყებებს, ხდებოდა როგორც ადამიანების წამება, ისე მათთვის ქონების ჩამორთმევები, დევნები, გატაცებები — ესენი იყვნენ სააკაშვილის ხელისუფლების შეუზღუდავი უფლებების კრიმინალები, რომლებმაც უცბად გადმოინაცვლეს არასამთავრობო ორგანიზაციებში. მათ აქვთ ერთადერთი დანიშნულება, ქვეყანაში მოაწყონ არეულობა, შექმნან კრიმინალური ფონი, მშვიდობიანი მოქალაქეები ამოაგდონ ცხოვრების მშვიდი რიტმიდან, გაზარდონ უკმაყოფილება მოსახლეობაში, შეიმუშაონ საბოტაჟის მოწყობის გზები.

თქვენ როგორ გგონიათ, რა საერთო მიზნით იქნებიან გაერთიანებული კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციაში იგივე, შოთა უტიაშვილი, გიგი კალანდაძე, ლევან მხეიძე (ყოფილი გამგებელი), ზაზა ბაქრაძე (თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი), გიორგი ონიანი, გურამ დონაძე, სერგი კაპანაძე (საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონული თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე), დავით იაშვილი (ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს ყოფილი უდროსი, რომლიც ფიგურირებდა ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში), ალექსანდრე გვაზავა (დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომელი, ფიგურირებდა ბუტა რობაქიძის საქმეში), გიორგი ღვინიშვილი, ოთარ კახიძე და ა.შ პოლიციის ყოფილი და მოქმედი თანამშრომლები, რომელთაგან ზოგმა „თავისუფალ ზონაში" გადაინაცვლა. აქედან გამომდინარე, თავისთავად, **„სამართალდამცავთა ლიგასთან"** მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს **„პიკასოს კლუბს"** და **„თავისუფალ ზონას"**.

ე.წ ოცმეთაურებად არიან დანიშნულები, ვთქვათ, დავით გოგოხია, სოდ-ის ყოფილი თანამშრომელი; ირაკლი ჩხვირკია — სოდ-ის ყოფილი თანამშრომელი; ავთანდილ კემულარია — ციხის ყოფილი ჯალათი ახალაიას დროს და ა.შ

კრიმინალს ვინ ააქტიურებს, ვინ ხელმძღვანელობს, იცით? ესენი არიან ე.წ ბრიგადირები, რომლებიც სააკაშვილის დროს ბრიგადირობდნენ ციხეებში და წახალისებულები იყვნენ, მშვენიერი ცხოვრება ჰქონდათ ციხეში. ისინი გამოვიდნენ ციხიდან, გათავისუფლდნენ ამნისტიის წყალობით და ახლა ამ კუთხით მიიღეს დავალება სააკაშვილისგან. რა გარანტიას აძლევენ, იცით? თქვენ იმოქმედეთ, ჩაიდინეთ დანაშაული. მერე, რა, დაგიჭირონ, თქვენი ოჯახები იქნება უზრუნველყოფილი, ამასობაში ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში და გამოგიყვანთ ციხიდან. მათაც რა ენაღვლებათ, „ნასედკა-კრიმინალია," ციხეში ყოფნა არაფერია მისთვის, იმ ცხოვრებით გააგრძელებს ცხოვრებას რა ცხოვრებითაც ცხოვრობდა. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა გამორიცხულია, მაგრამ ამ ბრიყვებს სჯერათ, თან არც არაფერი აქვთ დასაკარგი და როგორც მანამდე, ახლაც ასრულებინებენ „შავ სამუშაოს". თვითონ ეს კრიმინალები კი თავის დროზე შექმნეს იმ პოლიციელებმა, სოდ-ის და კუდ-ის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ახლა შირმად „ენჯეოები" აიფარეს.

ცალკე ჯგუფები ჰყავთ, რომლებიც საზოგადოებაში უკმაყოფილების გაღვივების კუთხით მუშაობენ, ე.წ „საბოტაჟინიკების" ჯგუფები ჰყავთ შექმნილი აბსოლუტურად ყველა უწყებაში, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში. ერთხანს რომ ხმა გავარდა, კომუნალურ გადასახადებზე ფასებმა უნდა აიწიოსო და ხალხი გადაირია, რა იყო ეს? — მაია ნადირაძე უზით იქ და გააგდებინეს ხმა.

15 ნოემბრის მოსაწყობად ფული უკვე შემოსულია!

**— გასაგებია, რომ ფინანსდებიან, მაგრამ ასე ადვილია „ქეშის" ფულის შემოტანა?**

— „ჩეპე" მოხდა, თორემ ვერ შემოჰქონდათ ნადირაშვილსა და ჯაფარიძეს აზერბაიჯანიდან? სად ჩანს, როგორ და ვის შემოაქვს „ქეში" ფული, ვინ აყვირდება, როცა თავიანთი ხალხი ჰყავთ ყველგან! ბაქოში ბრაიზამ იხსნა, აქ — თავიანთი ხალხი ჰყავთ, თუმცა აქაც რომ გაუწყდეთ რომელიმე რგოლი, აქაც გამოუჩნდებიან უცხო ქვეყნის მეგობარი მფარველები და ვართ ასე, ნერვების წყვეტაში...

რეგიონებში შექმნილია სამობილიზაციო შტაბები და უკვე რიგდება ფული. ცალკე არის ზონდერჯგუფები, რომელთა ხელმძღვანელიც გოგა ონიანია და თავიანთი მოკლე ჭკუითა და შურისძიებით სავსე გულით ხელისუფლების მითვისება აქვთ გამიზნული. იგივე ტექნოლოგიებით აპირებენ იმის გამეორებას, რაც გააკეთეს, მაგრამ მაშინ პატარა რაღაც მაინც აკავებდათ გარედან, ამჯერად სისხლზე ულაპარაკოდ წამსვლელები არიან — ბრიყვები არიან!

მათი გათვლით, 50 000 ადამიანის შეკრებას შეძლებენ. ექნებათ შეიარაღება, მოაწყობენ არეულობას და აშენდებიან — ეს უტვინოები, ესენი!

**დავით ქავთარია**

# ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებული მორიგი სიცრუე, განსხვავებული აქცენტით




„რუსთავი-2“-ის მიერ ფრიად დამაინტრიგებლად დაანონსებულმა გადაცემა „განსხვავებულმა აქცენტებმა“, რომელიც ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებას ეხებოდა, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ექსკლუზიური და სენსაციური ინფორმაციების მომლოდინე მაყურებელს „იმედები“ გაუცრუვდა, რადგან ახალი და „განსხვავებული“ ვერაფერი მოვისმინეთ. თავად გადაცემის წამყვანს ეკა კვესიტაძეს, ტელევიზიის ხელმძღვანელობას და ნაციონალებს რისი თქმა სურდათ საზოგადოებისთვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტობრივად დაადასტურეს, რომ ზურაბ ჟვანიას მართლაც ჰქონდა თავის არეში ფიზიკური დაზიანებები. ჟვანიას მეგობარმა, ექსპარლამენტარმა ხათუნა ხოფერიამ, ხსენებული გადაცემა ექსპრემიერის ოჯახისა და პროკურატურის დაშანტაჟების მორიგ მცდელობად აღიქვა, რომელიც ექსპერტ, ამჟამად პატიმრობაში მყოფ ლევან ჩაჩუას მხარდაჭერას და მისი გადარჩენისთვის ბრძოლის დემონსტრირებასაც ემსახურებოდა. საფუძველს მოკლებული არ არის ჩვენი კოლეგების მიერ გაჟღერებული ვერსიაც, რომ ეს ყველაფერი ნაციონალებმა თავის დაზღვევის მიზნით გააკეთეს. გარდაცვლილი ექსპრემიერის ძმა, პარლამენტარი გიორგი ჟვანია საგაზეთო ინტერვიუებში აცხადებდა, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გამოძიების საქმეში მიმდინარე წლის მიწურულს მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდებოდა. ეტყობა საქმის გამოძიება მართლაც დასკვნით ეტაპზეა და მალე



ძალზე მნიშვნელოვან და სკანდალურ ინფორმაციებს შევიტყობთ. მოგეხსენებათ, თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა და ნაციონალებმაც საქმეში „მძიმე არტილერია“, ანუ „რუსთავი-2“ ჩართეს თავისი „განსხვავებული აქცენტებით“, თუმცა რამდენად გამოუვიდათ ჩანაფიქრი, ეს სხვა საკითხია. ამ მოსაზრებებს ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ გადაცემის ინიციატორთა მთავარი სამიზნე მაინც ახალი მთავრობა, კერძოდ ირაკლი ღარიბაშვილი იყო.

1 ნოემბრის „აქცენტების“ დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე საგულისხმო გარემოებაზე შევჩერდებით. მიმდინარე წლის მარტში ინტერნეტსივრცეში ვინმე ჰაკიმ ფაშას სახელით ატვირთულმა ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრების ამსახველი ფოტოების კოლაჟმა მართლაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ფოტოების ატვირთვასთან კავშირი უარყო და აღნიშნა, რომ ამ მასალების გასაჯაროება გამოძიება ხელს უშლის. გადაცემის წამყვანის თქმით, პროკურატურას იქვე უღიარებია, რომ 2012 წლის არჩევნების შემდგომ ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ფოტო და ვიდეო მასალა ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სამუშაო კაბინეტის სეიფში აღმოაჩინეს. ექსპროკურორი ზოდელავა თავის სატელევიზიო კომენტარში აცხადებს, რომ მან სეიფში დატოვა ზურაბ ჟვანიას საქმის მნიშვნელოვანი მასალა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ფირი და სხვა საგამოძიებო პროცედურების ელექტრონული ვერსიები, ორივე ცხედრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები და ა.შ. ყველა საგამოძიებო პროცედურას პროკურორები, შესაბამისი უფლებამოსილი პირები, მათ შორის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ჟვანიას საქმის მასალები, რომელიც იყო მნიშვნელოვანი და იმიტომაც ინახებოდა ჩემს სეიფში, ყველაზე დაცულ სივრცეში და ის იუთუბზე არ უნდა მოხვედრილიყოო. კვესიტაძე წუხს, თუ ამ მასალის ინტერნეტში განთავსება გამოძიების პროცესს ხელს უშლის, რატომ არ გამოიძიეს ვინ არის ჰაკიმ ფაშა და როგორ აღმოჩნდა მის ხელში საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ფოტო მასალა, რომელიც პროკურატურის განცხადებით, ავთენტურიაო. აქვეა ზოდელავას კომენტარიც, „ადასტურებენ იმას, რომ სს-ის მასალებში არსებული მტკიცებულებები ვიღაცამ აიღო, ვიღაცამ რა, პროკურატურას მიუწვდება ხომ ხელი. თუ ავთენტურია, ე.ი. პროკურატურამ აიღო, ვიღაც უფლებამოსილმა პირმა, წაიღო და იუთუბზე განათავსა. სს-ის მასალები არის მხოლოდ სს-ის საქმეში, მისი გახმაურება, გასაჯაროება არის დანაშაული“. სრულად ვეთანხმები ბატონ ზოდელავას იმ ნაწილში, რომ ძიების მიმდინარეობისას მასალების გასაჯაროება დანაშაულია, მაგრამ საქმე ისაა, ვინ გაახმაურა, ისევ ნაციონალებმა, ან მათთან დაახლოებულმა პირებმა ხომ არა? მთელი საქართველო იმას ლაპარაკობდა, რომ ნაციონალებმა მათ მიერ მოპოვებული ფოტო და ვიდეო მასალის მხოლოდ ნაწილი და ისიც ასლები დატოვეს, დანარჩენი კი საგულდაგულოდ გადამალეს და საჭიროებისამებრ მავანთა კომპრომეტირებისთვის გამოიყენებდნენ. თუ მართლაც პროკურატურიდან ან სხვა სამართალდამცავი სტრუქტურიდან გავიდა ეს მასალა, მაშინ მართალი ყოფილა ის ხმები, რომ თუნდაც ეს უწყებები ნაციონალებითა და მათი მხარდამჭერებით არის გაძეძგილი, ალბათ დადგა დრო, რომ ხელისუფლება ამაზე სერიოზულად დაფიქრდეს და მასობრივი „წმენდა“ ჩაატაროს ყველა უწყებაში. „ჩანერგილები“ ნელი მოქმედების ნაღმია, რომელიც როდის აფეთქდება არავინ იცის. ისე ზოდელავამ ბოლომდე მაინც არ თქვა, იყო თუ არა გავრცელებული ფოტოები იმ მასალებიდან, რომლებსაც საგულდაგულოდ ინახავდა სეიფში, სამაგიეროდ ეს „მისია“ გადაცემის წამყვანმა იტვირთა.

ყველაფერთან ერთად ეკა კვესიტაძემ სიცრუეშიც „ამხილა“ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ჰაკიმ ფაშას მიერ ინტერნეტით გავრცელებულმა ფოტოებმა როგორ შეძრა ღარიბაშვილი, როცა ზოდელავას სეიფში აღმოჩენილი ვიდეომასალის დათვალიერება და ჟვანიას თავის ქალაზე აღმოჩენილი დაზიანებების ფოტოსურათების სახით ამოღება შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამმართველოს შესაბამის სამსახურში მოხდა, იმ დროს კი შს მინისტრი ღარიბაშვილი იყო. საქმის რეზონანსულობიდან გამომდინარე, გამორიცხულია მინისტრი ამ საქმით არ დაინტერესებულიყოო.

ქალბატონი კვესიტაძე უფრო შორს წავიდა და პრემიერ-მინისტრს უფრო „სერიოზულ“ საქმეშიც „ამხილა“, თურმე პრემიერ-მინისტრის „შოკი“ რომ გაემართლებინა, პროკურატურას მისი განცხადებიდან ორ დღეში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსი ლევან ჩაჩუა დაუკავებია. მას ბრალად დასდეს, ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ჟვანიასა და უსუპოვის ცხედრების გამოკვლევისას გულგრილობა გამოიჩინა და სრულყოფილად არ აღწერა გვამებზე არსებული სიცოცხლის დროინდელი დაზიანებები, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩაჩუას დაკავებას მხოლოდ ღარიბაშვილის განცხადება ედო საფუძვლად, რომლის მიხედვითაც თითქოს გავრცელებულ ფოტოებში შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება იმის დანახვა, რომ ჟვანიას თავის ქალაზე სიცოცხლის დროინდელი დაზიანებები აღენიშნებაო. ამ დროს იქვეა პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ზურაბ ჟვანიას თავის არეში აღენიშნება შეუიარაღებელი თვალისთვისაც ცხადი სერიოზული დაზიანებები და როგორც ინფორმაცია მომაწოდეს, ეს სიცოცხლისდროინდელი დაზიანებებიაო. რის საფუძველზე გააკეთა ღარიბაშვილმა ეს დასკვნა დღემდე პასუხგაუცემელია, არ არსებობს არცერთი ალტერნატიული ექსპერტული დასკვნა, რომელიც ექსპერტ ჩაჩუას გულგრილობას ან დასკვნის სიყალბეს დაამტკიცებდაო, ბრძანებს ქალბატონი კვესიტაძე. სად არის აქ პრემიერის დასკვნა? გასაგებია, რომ უდანაშაულო ადამიანი, მით უმეტეს მძიმე ავადმყოფი ციხეში არ უნდა იჯდეს. სასამართლო განხილვის დასრულებამდე ვინმეს დამნაშავეობასა და უდანაშაულობაზე საუბრის უფლებას თავს ნამდვილად ვერ მივცემ და არც იმის მოყოლით შევაწყენთ თავს, რაზეც ექსპერტიზებთან დაკავშირებით საუბრობდა გადაცემის წამყვანი, ისიც გასაგებია, რომ ფოტოების მიხედვით კატეგორიული დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. თუკი იმაზე ვთანხმდებით, რომ ინტერნეტში გავრცელებული ფოტოები და ზოდელავას სეიფიდან ამოღებული ვიდეომასალიდან გაკეთებული ფოტოები იდენტურია, ე.ი. ექსპრემიერის ცხედარს მართლაც აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებების კვალი, რაც ექსპერტიზის დასკვნაში ასახული არ ყოფილა. იმას ხომ ვერავინ იტყვის, სამედიცინო ექსპერტიზის შემდეგ მიაყენეს ცხედარს დაზიანებაო. გამოძიების დასრულებამდე რომ სრულ სიმართლეს ვერ შევიტყობთ, ცალსახაა, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის დეტალებზე ვერავინ ისაუბრებს, ამიტომაც არ არის გასაკვირი სამედიცინო ექსპერტების ხარძეიშვილისა და ერისთავის განცხადება, რომ გამოძიების დასრულებამდე კომენტარს არ გააკეთებენ.

ლევან ჩაჩუას საქმის სასამართლო განხილვაზე მთავარმა პროკურატურამ მოსამართლეს ჰაკიმ ფაშას მიერ გავრცელებული ვიდეომასალის მტკიცებულებად დაშვება სთხოვა, რაზეც მოსამართლემ თანხმობა განაცხადა, თუმცა ამავე დროს არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნა საქმეზე მტკიცებულებად არ მიიღოო. ქალბატონო კვესიტაძევ, როდემდე უნდა აყაროთ ხალხს თვალში ნაცარი, რა შუაშია ჰაკიმ ფაშას ფოტოები, აკი თვითონვე დაგვიმტკიცეთ თქვენს მიერვე პარტიზანულად მოპოვებული ოფიციალური დოკუმენტისა და ექსპერტის მეშვეობით, ორივე ვიდეომასალა და ფოტოები იდენტური იყო. პროკურატურამ სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალი დასდო ჟვანიას დაცვის წევრებს კობა ხარშილაძესა და მიხეილ ძაძამიას, ისინიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. ხარშილაძის ადვოკატის განცხადებით, მათი მოთხოვნაა საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს, რომელიც იმის გარანტია იქნება, რომ საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს, რომელიც საკმაოდ მძიმე მოსასმენიც კი შეიძლება აღმოჩნდესო. თურმე სიმართლე, რომლის გამჟღავნებასაც ადვოკატები აპირებენ გფბ-ის დასკვნის ის ნაწილია, რომელზეც წინა ხელისუფლება შეგნებულად არ საუბრობდა და რომელსაც ახალი ხელისუფლებაც ასაიდუმლოებს. კვესიტაძემ მოწმედ პრეზიდენტყოფილიც მოიყვანა, რომლის განცხადებითაც თურმე ჟვანიას ოჯახი ამ დასკვნას იცნობს. „ჩვენ ეს დასკვნა გასაგები მიზეზების გამო არ გამოვაქვეყნეთ, იმიტომ, რომ საქმე ეხება ადამიანის ბევრ ძალიან ღრმა და ისეთ დეტალს და ნამდვილად ჩემთვის ზურაბის სახელი არის წმინდათა წმინდა. თუ ვინმესთვის ეს არ არის ხელშეუხებელი, მათ შორის ვინმე ოჯახის წევრისთვის, ეს მათ სინდისზე იყოს“, ჩვეული აბდაუბდათი დაგვამუნათა სააკაშვილმა. ხსენებული დასკვნა ქალბატონ კვესიტაძესაც მოუპოვებია, მაგრამ დელიკატურობიდან გამომდინარე არ გავასაჯაროებთო. თუ მათ მიერვე დადგმული ბინძური სცენის მიხედვით ჩაატარებინეს ამერიკელ ექსპერტებს კვლევა ნაციონალებმა, მაშინ გასაგებია მათი მუქარა დასკვნის გასაჯაროების შესახებ.



ამ გადაცემის ნახვის შემდეგ ლეგიტიმური კითხვები მეც გამიჩნდა, სად იყვნენ „ნაციონალები“ ცხრა წლის განმავლობაში, რატომ არ გამოიძიეს ეს საქმე ბოლომდე. თუ გამოძიებულია და დასკვნაც მიღებული, რომ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლნენ, რატომ არ იყო ეს საქმე დახურული. პროფესიონალი იურისტების განცხადებით, საქმე იმიტომ არ დახურეს, რომ ის შემდგომ არქივს უნდა გადასცემოდა და ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისი გაცნობა, რაც ნაცრეჟიმს არ აწყობდა. საღად მოაზროვნე ადამიანი მაშინვე შენიშნავდა მასში არსებულ ხარვეზებს. „საერთო გაზეთში“ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით რამდენჯერმე დაიბეჭდა სტატია, რომელიც პროფესიონალი სამართალდამცავების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე მომზადდა. როდესაც ჟვანიას გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი, მათ მაშინვე იცოდნენ, რომ პრემიერ-მინისტრი პოლიტიკაში მის მიერვე მოყვანილმა ხალხმა იმსხვერპლა. სანდო და კომპეტენტურმა წყაროს განცხადებით, შსს-ში მაშინვე ჰქონდათ ინფორმაცია, რომ „შავნაბადის“ რეზიდენციაში მოხდა კონფლიქტი ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მძიმე საფერფლე ესროლა პრემიერს, რომელიც მას თავში მოხვდა და მოკლა. სხვათა შორის,აამ ტრაგიკულ შემთხვევამდეც ყოფილა მათ შორის ე.წ. რაზბორკები. სააკაშვილის დაჭერას ვინ გაბედავდა, არც სიმართლის გამომზეურება უნდოდათ, ამიტომაც დადგეს ეს სპექტაკლი და პრემიერის მკვლელობა უბედურ შემთხვევად „შემოგვასაღეს“.

**მანანა სუხიშვილი**

**599 51 28 24**

MK

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№38, ნოემბერი, 2014 წ.




# ცვლილებების 2 წელი და დასკვნა: ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც მაღალკვალიფიციური პოლიტიკოსი, შედგა!

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი გადაცემა „რეაქციაში“ და განწბილებული ინგა გრიგოლია

*— სად არის ხალხი? — იკითხა გადაცემა „რეაქციაში“ სტუმრად მიწვეულმა პრემიერ-მინისტრმა.*

*ინგა გრიგოლიამ, რომელმაც ირაკლი ღარიბაშვილს ცარიელი აუდიტორია დაახვედრა, თავი იმართლა — რემონტი გვაქვს, ბატონო ირაკლი... ახლა გვაპატიეთ და მომავალში სულ ხალხით გადაჭედილ დარბაზს დაგახვედრებთო.*

საქართველოს მრავლისმნახველ და მრავალ უბედურებაგამოვლილი მოქალაქეების დიდ უმრავლესობას სწორედ ის ეამაყება, რომ 32 წლის ისეთი პრემიერი ჰყავს, რომელსაც ენდობა და რომლისაც სჯერა; ახალგაზრდა კაცი, რომელიც, ფაქტობრივად, გაავებული აფთრებივით ბალანაშლილი ადამიანების ალყაშია მოხვედრილი და მაინც არ ეპუება, პირიქით, წინ მიიწევს იმ ერთადერთი მიზნის შესასრულებლად, რაც დაისახა — საქართველოსა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოება და ღირსეულად ყოფნა.

შეიძლება ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა ვიღაცებს, რომ ე.წ „პრეზიდენტის ვეტოს“ და ე.წ „მოსმენების გასაღებს“ გამოჰკიდებოდა პრემიერი, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, მოკლედ და კონკრეტულად მოჭრა — „მიმაჩნია, რომ ძალიან გადაჭარბებული იყო ის ხმაური და აჟიოტაჟი რაც მოჰყვა ე.წ „მოსმენების თაობაზე კანონს.“ ლამაზად მიანიშნა გადაცემის წამყვანს სათქმელი, მაგრამ ვინ მოეშვა? ჰოდა, პრემიერმაც აღარ დააყოვნა: — „მე ვარ პირდაპირი ადამიანი. ყოველთვის მირჩევნია ვთქვა ჩემი სათქმელი, თუნდაც ის იყოს ზედმეტი, გადაჭარბებული, გაზვიადებული, მცდარი (არ მაქვს პრეტენზია რომ შეუმცდარი ვარ) — მე ასე ჩავთვალე, რომ ეს იყო ხელოვნურად მართული პროცესი. ამას მოჰყვა ლოგიკური შედეგი, ვგულისხმობ იმას, რომ „რუსთავი-2-ის“ ეთერში გამოაქვეყნეს აბსოლუტურად გაუგებარი ჩანაწერები, რაც ძალიან ჰგავდა ხელოვნურს. მე ძალიან არ მიყვარს ხელოვნურობა და ძალიან დიდი პროტესტი მიჩნდება როცა ვხედავ რომ უსამართლობა და ხელოვნურობაა. მე, შეიძლება, ვცდები, მაგრამ მოსახლეობას აქვს იმის უნარი, რომ მიხვდეს, ვინ არის მტყუანი, ვინ — მართალი“.

ბუნებრივია „ვეტოს“ ე.წ „მოსმენების თემა“ მიება იმ კონტექსტში, რომ თითქოს ღარიბაშვილს (მის მთავრობასა და ხელისუფლებას) არ სურს რაღაც, არადა, სწორედ ღარიბაშვილი იყო ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, ვინც აბსოლუტურად გაასაჯაროა ფარული ჩანაწერების პროცესი და აჩვენა მოსახლეობას რასთან ჰქონდა საქმე ცხრა წლის მანძილზე; იგივე ღარიბაშვილი იყო მთავარი ინიციატორი, რომელმაც გაანადგურა სხვათა პირადი ცხოვრების ამსახველი ათასობით უკანონოდ მოპოვებული ვიდეო და აუდიო ფაილი და ხელისუფლების სახელით თქვა, რომ ამით ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა ამგვარი უკანონობა.

ცხრა წლის განმავლობაში რა კატასტროფასაც ტაშს უკრავდნენ და ვინც უკრავდა, დღეს ამეტყველდა დიდი დემოკრატის სახელით და უარეს კატასტროფას ითხოვს, თან ისე, თითქოს ვერ ხვდებოდეს რას ითხოვს, ჰგონია ხალხს თვალში ნაცარს აყრის. შეაყრიდნენ კიდეც, მაგრამ პრემიერ ღარიბაშვილს, რომელიც მაქსიმალურად საღად აზროვნებს და მათ ქვებუდნობას ერთი თვალის შევლებით ნათლად ხედავს, რა მოუხერხონ? ელემენტარული კითხვაა, თუ ეს ყველაფერი ასე რომ უნდა მომხდარიყო წინდაწინ გამიზნული არ იყო, ამდენხანს რატომ ვერ შეძლეს ამ საკითხზე მომუშავე ე.წ მუშა ჯგუფებმა რეგულაციების მოფიქრება, თითოეულ მათგანს ხომ ზემაღალი ამბიციები აქვს ყველა საქმეში კომპეტენტურობაზე?

კითხვა დაისვა, რის იმედზე უნდა ვიყოთ, კეთილსინდისიერი შსს-ს იმედზეო? იგივე კითხვა აქვს პრემიერსაც და პასუხსაც იძლევა: — „რატომ უნდა ვენდოთ? დღეს, შეიძლება კეთილსინდისიერი არის ხელისუფლება, მთავრობა, მაგრამ არ ვიცით რა მოხდება ხვალ და ზეგ. იმ ხვალ და ზეგ თუ მოვა სააკაშვილის მსგავსი (თეორიულად ვამბობ, თუ ქართველი ხალხი დაუშვებს და მოიყვანს 10-20 წლის შემდეგ), რა თქმა უნდა, ის კვლავ ჩაიდენს გადაცდომას. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მაქსიმალური სისტემა, რომელიც დაიცავს მოქალაქეებს, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ არ უნდა შევქმნათ ისეთი სისტემა, რომელიც დაარღვევს მოქალაქეების უფლებას და უსაფრთხოებას, ყველაზე მთავარ ორგანოს.

... მე პირდაპირ გეტყვით — სამი კომპანია, რომელიც არის ძირითადი მობილური ოპერატორი, ამბობენ, რომ მათ არ უნდათ აღნიშნული „გასაღების“ ფლობა; მეორე — მე არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ვინაიდან ვიცი საფრთხეები და ვიცი სპეცსამსახურების მუშაობის ზოგადი სპეციფიკა, რომ ავუხსნათ მოქალაქეებს, არსებობს მარტივი საშუალებები, რომ მოხდეს შემოღწევა ამ კომპანიებშიც. თუ მათ ექნებათ ეს „გასაღები“ და კონტროლი ექნებათ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე და კომუნიკაციებზე, რა თქმა უნდა, რისკის შემცველია. ვერც ერთ სახელმწიფს ვერ დამისახელებთ, სადაც უცხოური კომპანიები ფლობენ ამ „გასაღებს“. თუ სახელმწიფო უცხო ქვეყნების უცხოურ კომპანიებს ამ საშუალებას კონტროლის გარეშე გადასცემს და ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, ეს არის პირდაპირი დანაშაული, სახელმწიფო ჩაიდენს დანაშაულს, სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნება, რომელიც არის პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაული, უდიდესი დანაშაულია — მინდა ამაზე ყველა კარგად დაფიქრდეს! არ შეიძლება, რომ სახელმწიფო საიდუმლოებასთან პირდაპირი წვდომის საშუალება გადასცე უცხო ქვეყნებს!

გრიგოლია ჩაეძია: ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რატომ მიხვედი პრეზიდენტთან და პრეზიდენტის იმ სასახლეში, რომელიც არ გიყვართო?

„შენობა მეც მომწონს, მაგრამ მომწონს თუ არ მომწონს, ჩემს მოწონებაზე არ არის საქმე, ბუნებრივია, ან მიყვარს თუ არ მიყვარს — რატომ უნდა მიყვარდეს? ეს ის სასახლეა, რომელიც სააკაშვილმა ააშენა ხალხის ფულით, ნახევარ მილიარდზე მეტი გადაიხადა. რა თქმა უნდა, მქონდა და მაქვს პროტესტი ამ შენობის მიმართ, რადგან მიმაჩნია, რომ არ არის შესაბამისობაში ჩვენს რეალობასთან — ეს ჩემი მოქალაქეობრივი პოზიციაა.

რაც შეეხება ჩემს მისვლას პრეზიდენტთან — კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ მე მზად ვარ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ფორმატში, ნებისმიერ ადგილზე მივიდე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ნებისმიერ ადგილას, როცა საქმე ეხება ჩემი ქვეყნის უსაფრთხოებას, ჩემი ქვეყნის სუვერენიტეტს და ა.შ — არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა, ჩვენ სხვანაირად მოქცევის უფლება არც გვაქვს.

10 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

9 gv.

მე პირადული არაფერი მაქვს პრეზიდენტ მარგველაშვილის მიმართ, არც არასდროს მქონია და არც მექნება — პირადულზე არასდროს არ უნდა დავიყვანოთ ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ საუბარი გვაქვს ჩვენი ქვეყნის მართვაზე, მის განვითარებაზე და წინსვლაზე, ჩვენი მოქლაქეების დაცვაზე, მათ წინსვლასა და უსაფრთხოებაზე, ამდენად, როცა საუბარია მსგავსი ტიპის ფორმატებზე, რა თქმა უნდა, მზად ვარ ყოველთვის მივიღო მონაწილეობა. ასევე უნდა იყოს მზად პრეზიდენტი მარგველაშვილი, კონსულტაციებს გადიოდეს მთავრობასთან, პარლამენტთან. მაგალითად, რაც იყო („გასაღებთან" დაკავშირებით — „ს.გ"), მე ასე არ მოვიქცეოდი — ძალიან მარტივი იყო თუნდაც შეთავაზება პარლამენტისთვის, ხომ არ სჯობს, დეკემბრისთვის გადავწიოთ ვადაო. დარწმუნებული ვარ, პარლამენტი ამას გაიზიარებდა, თუ არ გაიზიარებდა, მაშინ, დაუსაბუთებდა, მითუმეტეს, რომ პრეზიდენტს ჰქონდა პირდაპირი კომუნიკაცია საპარლამენტო წარმომადგენლობასთან. ეს მისი გადასაწყვეტია იყო და მე არასდროს ჩავერევი ამაში!" — სათქმელი დაუფარავად თქვა პრემიერმა.

გრიგოლიამ სიტყვა შეაპარა პრემიერს, ხალხი უკმაყოფილოა, მთავრობა დაპირებებს არ ასრულებსო.

**ირაკლი ღარიბაშვილი**: — „დამისახელეთ ერთი დანაპირები, რომელიც ჩვენ არ შევასრულეთ. ჩვენ ძალიან მძიმე 2 წელი გავიარეთ. ჩვენს მიერ გაკეთებული თითოეული საქმე, რეფორმა თუ ჩვენს მიერ დახარჯული თითოეული ლარი, მიმართული იყო იქითკენ, რომ სახელმწიფოს საფუძველი გაძლიერდეს.

მე მინდა ხალხს განმუმარტო — ერთია, რა ჩანს, რა რეალობაა წარმოჩენილი ტელევიზიებში და მეორეა რეალობა, რა ხდება რეალურად. პირველი წელი იყო ძალიან რთული წელი, ე.წ კოჰაბიტაციის პერიოდი, ასე ვთქვათ, ავადსახსენებელი პერიოდი. ყველაფრის კეთება გვიწევდა პარალელურ რეჟიმში, იქნებოდა ეს: განვითარება, პროექტები თუ რეფორმები, მაშინ, როდესაც ყოფილი პრეზიდენტი და მისი გუნდი ყოველდღიურ რეჟიმში საბოტაჟს ეწეოდა, ფაქტობრივად, პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის წინააღმდეგ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენი მიღწევები არის შთამბეჭდავი. მე დეტალური ანგარიში ჩავაბარე ხალხს, მოვუტანე კონკრეტული ციფრები და ფაქტები — გამოვიდეს ნებისმიერი ოპონენტი და მითხრას რომელში არ მეთანხმება. მე მზად ვარ შეკითხვები მივიღო საზოგადოებისგან, მივიღო ჟურნალისტებისგან, თუ ეს კითხვა მათგან მომდინარეობს და არა, ჩვენი, ასე ვთქვათ, დემაგოგი და სიცრუის მატარებელი ოპოზიციისგან. მე აღარ მსურს ამ ადამიანებს რამე ვუპასუხო, ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას", რომელიც 24 საათის განმავლობაში მოსახლეობას არწმუნებს, რომ ყველაფერი, რაც დღეს კეთდება, არ კეთდება, ან არის ცუდი და ა.შ. ხოლო რაც კეთდებოდა მათ დროს, იყო სასწაული. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ეს არის მიზანმიმართული პროპაგანდა, რომ რაც გაკეთდა, მოსახლეობამდე არ მიდის — ამაზე არავინ არ საუბრობს.

# ცვლილებების 2 წელი და დასკვნა: ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც მაღალკვალიფიციური პოლიტიკოსი, შედგა!



2 781 000 ადამიანი დავაზღვიეთ — დღეს მოქალაქეს აღარ ეშინია თუ მისი ოჯახის წევრი გახდება ცუდად, ის წავა და სახელმწიფო უპატრონებს მას — 1 მლრდ ლარით გავზარდეთ ჯანდაცვის ბიუჯეტი;

ამ წლის ბოლომდე 180 ახალი სასწრაფო დახმარების მანქანა დაურიგდება ყველა რეგიონს, ყველა რაიონს;

150 ლარამდე გავზარდეთ პენსიები (148 ლარი არის საარსებო მინიმუმ და არა 155 ლარი, არასწორი ინფორმაცია გაქვთ) და გავაორმაგეთ სოციალური დახმარება;

იქ, სადაც დაბალია შობადობა, მთაში — ბავშვშვზე დავუნიშნეთ 200 ლარი თვეში, ბარში — 150 ლარი;

1065 სკოლის 43 000 მოსწავლეს ვემსახურებით უფასო სასკოლო ტრანსპორტით;

1000-მდე სკოლას ჩავუტარეთ რეაბილიტაცია-რემონტი;

21 ფაკულტეტი გავხადეთ უფასო, ვაფინანსებთ 12 000 სტუდენტს; ჩემი ინიციატივით საზღვარგარეთ, საუკეთესო უნივერსიტეტებში დავიწყეთ საუკეთესო სტუდენტების გაშვება;

ვინ წარმოიდგენდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს პატიმრების მკურნალობას, 1000 პატიმარს ვუმკურნალეთ „ც" ჰეპატიტზე, ტუბერკულიოზსა და ა.შ ჩვენ ვხარჯავთ ყოველწლიურად 6 მლნ ლარს. რომელ მკურნალობაზე იყო საუბარი, როდესაც პატიმრებს კლავდნენ წამებით, გაუპატიურებით და ათასი საშინელებით;

დევნილებს 14 მლნ-ით გავუწიეთ დახმარება, 10 500 დევნილს მივეცით საცხოვრებელი, 1 ლარად დავუკანონეთ 4000 ოჯახს საცხოვრებელი ფართობი და პირად საკუთრებაში გადავეცით;

ჩვენ 24-საათიანი სიყალბითა და პიარით რომ არ ვართ დაკავებული, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვმუშაობთ. ჩვენი ოპონენტები და სამწუხაროდ და საუბედუროდ, მედია-საშუალებებიც, მოსახლეობაში თესავენ და ანვითარებენ ამ მცდარ აზრს ყოველდღიურად და სიტყვები აქვთ შერჩეული — „უსუსურად". მართლაც ვისზე აქვთ სალაპარაკო იმ ადამიანებს, რომელთა ხელისუფლების მაღალჩინოსნები, მინისტრები, არიან კრიმინალები პირდაპირი მნიშვნელობით და ადამიანი, რომელიც ცხრა წელი იყო პრეზიდენტი, გაურბის შეკითხვებს. როგორ შეიძლება, ის ადამიანები ოპონენტებად აღვიქვა და ოპონენტები ვუწოდო, რომლებიც 24 საათი ცდილობენ მათი კრიმინალური საქმეები, რომლებზეც კულაშვილის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, ამტკიცებენ, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა ან მოტივირებული საქმეები."

თუ ვინმეს ის არ უკვირს, რატომ მოხდა, რომ ორი წლის განმავლობაში ახალი ხელისუფლების მიერ გაკეთებული ამდენი საქმე მოსახლეობამდე ვერ მივიდა, ის რატომღა უნდა უკვირდეს, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ევროსაბჭოში რეზოლუციის ტექსტის მიღება ვერ შეძლო? ვითომ მტკივნეულ ადგილზე ჩაუნისკარტა ჟურნალისტმა პრემიერს.

**ირაკლი ღარიბაშვილი**: — „ზოგადად, ამ რეზოლუციით სპეკულირება, მანიპულირება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა არასწორია. ეს რეზოლუცია არის — ავტორები ვინც არიან, მომხსენებლები საქართველოს შესახებ, ისინი ამბობენ, რომ არ ეთანხმებიან რეზოლუციას. მათ თქვეს, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის" პარტიზანული მოძრაობის" რეზოლუცია. „ნაციონალური მოძრაობა" არის ჩვეულებრივი მავნებლური ორგანიზაცია, მათ უკვე აღარანაირი სახელი აღარ აქვთ ქვეყნის შიგნით და რასაც ახერხებენ ჯერ კიდევ, (ამასაც მალე დაასრულებენ — იმედი მაქვს) ეს არის მავნებლობა საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ანუ რეალურად, აგრძელებენ იმ საქმეს, რასაც აკეთებდნენ წლების განმავლობაში."

მართალია პრემიერი, როცა მოუწოდებს ყველას, ჟურნალისტი იქნება, პოლიტიკოსი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი თუ სხვა, არ უნდა შევიყვანოთ შეცდომაში და არ უნდა გავუჩინოთ ცრუ მოლოდინები ადამიანებს, რადგან ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის ფარგლებში და ჩვენი ეკონომიკის ქვეყანა, 2 მილიონ ადამიანს ვერ გაამდიდრებს ვერც ორ წელიწადში და ვერც ორჯერ ორ წელიწადში, ეს არის მიუღწეველი და აბსურდი, მაგრამ დეზინფორმაციის მანქანა მუშაობს და მიზანმიმართულად ავითარებენ მოსახლეობაში ნიჰილიზმის მთესველ მაზინჯ ინფორმაციებს.

— სად არის ივანიშვილის დაანონსებული 60 საწარმო? — იკითხა გრიგოლიამ.

**ირაკლი ღარიბაშვილი**: — სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, 89 ახალი საწარმო შეიქმნა ორი წლის განმავლობაში ჩვენი თანადაფინანსებით. მე მივმართავ მედია-საშუალებებს, ოპონენტებს, ჩვენს წინააღმდეგ კრიტიკულად განწყობილებს, ყველას, წავიდნენ და ნახონ."

**ინგა გრიგოლია**: — შესაძლებელია თუ არა, კოალიცია დაიშალოს?

**ირაკლი ღარიბაშვილი**: — „კოალიცია შედგება 6 პარტიისგან. ჩვენ გვაქვს შეთანხმება, რომ 2016 წლამდე კოალიცია იქნებოდა შეკრული და ერთად მივიყვანდით დაწყებულ პროცესს. მე საერთოდ არ ვუყურებ ასე, კოალიცია დაიშლება თუ არ დაიშლება, მე ვუყურებ და ვფიქრობ იმ გამოწვევებზე, რაც არის ქვეყანაში, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა. ცოლ-ქმარი შეიძლება გაიყაროს, წლების შეჩვეული და კოალიციის წევრებს შორის თუ გაუგებრობა მოხდა, ოდესღაც კოალიციის წევრმა დატოვა კოალიცია, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ."

პრემიერმა ბოლოს 15 ნოემბერს „ნაციონალების" დაანონსებულ აქციაზეც ილაპარაკა:

„მე მინდა შევახსენო ყველას, არ წამოეგონ სააკაშვილის მიერ დაგეგმილ ბინძურ პროვოკაციას სახელმწიფოსა და ჩვენი მოსახლეობის წინააღმდეგ, რადგან სახელმწიფო იქნება დაუნდობელი ასეთი ბოროტი განზრახვის წინააღმდეგ."







* * *

ძნელი სათქმელია, პრემიერისთვის ცარიელი დარბაზის დახვედრება ინგა გრიგოლიას ჟურნალისტური ფანდი იყო თუ „რეაქციის" დარბაზში მართლა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა (სამი დღის შემდეგ რეაქციის დარბაზი ისევ ხალხით იყო სავსე...), თუმცა, ასე იყო თუ ისე, ფაქტი ერთია, წამყვანმა სტუმარი „ხალხის გარეშე" დატოვა და ერთი-ერთზე სცადა სტუმრის „გაწურვა", თუმცა თავისი ომახიანობით და „ჩამჭრელი კითხვებით" განთქმულ გრიგოლიას ამჯერად არაფერი გამოუვიდა — სტუმარი იმდენად მომზადებული და კომპეტენტური აღმოჩნდა ყველა საკითხში და ყველა კითხვაზე იმდენად სრულყოფილ და ამომწურავ პასუხებს იძლეოდა, რომ გადაცემის ბოლოს წამყვანი აშკარად დაბნეული და ცოტათი დათრგუნული ჩანდა.

შეიძლება ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს ეს შეფასება, მაგრამ „რეაქციის" ამ გადაცემით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, ამ ორი წლის განმავლობაში, როგორც მაღალი კვალიფიკაციის პოლიტიკოსი, ნამდვილად შედგა!

**„საერთო გაზეთი"**

# ჰიჩკოკის „ჩიტები“, ბეღურების გადაფრენა და შეღებილი ჯორები... ანუ ღია წერილი ამერიკის ელჩს რიჩარდ ნორლანდს — უცხოეთის ყველა ელჩისა და კონსულის გასაგონად!



**პატივცემულო ბატონო ელჩო, მისტერ ნორლანდ!**

რაკი თქვენი ქვეყანა (ამერიკის შეერთებული შტატები) წარმართავს დღეს მსოფლიო პოლიტიკას და საქართველოს ბედის გადაწყვეტაშიც დიდ როლს თამაშობს, ამიტომ თქვენ მოგმართავთ ამ წერილით; რატომღაც მიგვაჩნია და გვეჩვენება, რომ თქვენ შეგიძლიათ მოსმენა და იმის გაგება, რაც მავანთათვის ხშირად გაუგებარი რჩება... ამდენად, ვფიქრობთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ჩვენი მხარდაჭერაც და მოვლენათა შეცვლაც...

თავიდანვე (წინასწარვე) მინდა ასეთი რამ ვთქვა სამარცხვინო სინანულით: საქართველოს პრეზიდენტად წოდებული ნაცების ბელადი სააკაშვილი მიცვალებულებს უმალავდა საკუთარი ოჯახის წევრებს: მშობლებს, შვილებს, და-ძმებს, მეუღლეებს... როდესაც ისინი მიჰყავდა სადღაც სასაკლაოზე და იქვე ტოვებდა ქუჩაში და ორღობეებში დაყრილთ ღორების სასჭმელად, თავად კი თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა... მან მაშინ საკუთარი მიცვალებულების გვამებზე კონცერტი გამართა და მოილხინა: ასე მხოლოდ მონღოლები მოიქცნენ რუსეთის დაპყრობისას...

* * *

**პატივცემულო მისტერ ნორლანდ!**

თქვენ გეხსომებათ ხიჩკოკის გენიალური ფილმი „ჩიტები“, სადაც ბოროტი, „ბარბაროსი“ ფრინველები პირდაპირ ანადგურებენ ადამიანთა მოდგმას, მათ ცივილიზაციას. „ჩიტების“ ეს მისტიკური იერიში საშინელი კატასტროფით თავდება — ჯოჯოხეთად აქცევენ ქვეყანას...

ნაცების ხროვა სწორედ ხიჩკოკის ჩიტებივით დაესხნენ ჩვენი ერის საარსებო სივრცეს (სულიერს და მატერიალურს განურჩევლად) და გამოხრეს...

ერთ უცნაურ მაგალითსაც მოვიყვან: როდესაც ჩინეთს ბეღურებმა გადაუფრინეს და მოსავალი გაუნადგურეს, მილიონი ჩინელი გამოვიდა დაფდაფებით: ეს იყო საოცარი აჯანყება ბეღურების წინააღმდეგ, ბეღურებმა ჩამოსაჯდომი ადგილი ვერ ნახეს და გულგახეთქილი დაცვივდნენ მიწაზე!

ჩინელებმა მშვიდად აკრიბეს ბეღურები და გემრიელი კერძები მოამზადეს!..

ახლა ჩვენ როგორ მოვიქცეთ, **მისტერ ნორლანდ,** როდესაც ჩვენი სიმცირის გამო არც ძალა გვყოფნის და არც რაოდენობა, გნებავთ, „ხიჩკოკის ჩიტების“ და თუნდაც „ბეღურების“ მოსაგერიებლად...

და მით უფრო, ჩვენდა სამწუხაროდ, სააკაშვილი და მისი ხროვა არც „ჩიტები“ აღმოჩნდნენ და არც ბეღურები. ისინი კაციჭამია ვირთხებად და ფოლკნერის შეღებილ ჯორებად იქცნენ და როდესაც ჩვენ მათი მოგერიება ვცადეთ, საკუთარი მფარველების კალთას (ქოლგებს) შეაფარეს თავი. ანუ ევროპა და ამერიკა გამოდგა ამ გამოყვანილი (კლონირებული) ტირანი ჰიბრიდების პატრონი, საკუთარი ხალხის განადგურება რომ შეუძლიათ!

* * *

ბოდიშის მოხდით გეტყვით **მისტერ ნორლანდ,** ჩვენ არა ვართ ის ველური ტომი, საკუთარ მიცვალებულებს ხეებზე რომ კიდებენ „ყვავების“ საჯიჯგნად, ანდა საკუთარი მკვდრების საფლავებზე როკავენ. სააკაშვილი სწორედ ასე მოიქცა: მან მიატოვა მისივე პროვოცირებულ „ომებში“ ჩახოცილი მეომრები და ღორების საჯიჯგნად გაწირა — თქვენ გინახავთ ბრძოლის ველიდან გაქცეული „სარდალი“, ჯერ მიწას რომ თხრის ცხვირით, მერე კი საკუთარ მიცვალებულთა გვამებზე კონცერტებს მართავს და რუსეთთან თითქოსდა მოგებული ომის სპექტაკლს (იმიტაციას) დირიჟორობს?! ჩვენ ვნახეთ ეს მწარე, სამარცხვინო სპექტაკლი, რომელიც სააკაშვილმა დადგა. იგი და მისი ხროვა შეეცადა შიმშილში და ციხეებში ჩაეხშო ერის სული და გაუგონარი ძალადობით, საფლავებაკიდებული გაედევნა საკუთარი სამშობლოდან — მან ეს ნაწილობრივ შეძლო კიდეც! — პირველად 5000-წლოვანი ისტორიის მანძილზე, აბორიგენი ერი (რომელსაც ფეხი არ მოუცვლია საკუთარი მიწიდან) ლტოლვოლად და მოხეტიალე ტომად იქცა... 2 მილიონი ქართველი აყრილია საკუთარი სამშობლოდან...

გვეჩვენება, რომ ეს ურთულესი მოვლენა, რომელიც ბედისწერულია ჩვენი ერისთვის, რატომღაც თქვენი ყურადღების მიღმა რჩება!..

* * *

მიგვაჩნია, რომ სრულიად დაუცველია ჩვენი ერი და მისი კულტურა: რომელმაც უძველესი დამწერლობა (ანბანი) შექმნა; ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე (III ს.ძვ.წ.), ფარნავაზის დროს ჰქონდა განვითარებული მწიგნობრული სახელმწიფო, ხოლო ადრე შუასაუკუნეთა რენესანსი გენიალური „ვეფხისტყაოსნით“ (დედამიწის ზურგზე უბადლო წიგნით) გაასრულა... (დააგვირგვინა).

აქვე ვიტყვით: შეურაცხმყოფელია (უსამართლოა) ქვეყნისთვის და ყველა ჩვენგანისთვის, როდესაც ევროპიდან და ამერიკიდან დემოკრატიის არქონას, ან ტოლერანტობის ნაკლებობას გვიკიჟინებენ!

**მისტერ ნორლანდ,** თქვენ გყავდათ შესანიშნავი მოღვაწენი (ვაშინგტონი, ლინკოლნი, ჯეფერსონი, რეიგანი და სხვანი და სხვანი), რომელთაც ამერიკის დემოკრატია და დემოკრატიული სახელმწიფო შექმნეს. ჯეფერსონმა დაგიწერათ ბრწყინვალე კონსტიტუცია XIX საუკუნეში.

ჩვენმა მეფემ და დედოფალმა თამარმა XII საუკუნეში შექმნა პირველი საპარლამენტო დემოკრატიული, ეგალიტარული სახელმწიფო მსოფლიოში!

მანვე გააუქმა ქვეყანაში სიკვდილით დასჯა...

კიდევ ქართველთა რამდენიმე ზნეობრივ ქცევაზე უნდა გავამახვილო ყურადღება:

— როდესაც ქართველი ქალი მანდილს აგდებს მოსისხლე-მოშუღართა შორის, ომი მთავრდება — ხომ არის ეს ქალის თაყვანისცემის (გენდერული თანასწორობის) გამოხატულება...

— როდესაც ქართველ მეფეს ასე მიმართავს ქვეშევრდომი (გლეხი, მეომარი): „მეფეო, სამს რომ შენ იტყვი, ერთი ჩემიც გაიგონეო!“ — ხომ არის ეს პიროვნების თავისუფლების ზეიმი...

— როდესაც ფხოველი მოხუცი მეომარი თემურ ლენგს ისარს ესვრის (ჟინვალთან) და ეუბნება: ვიცოდი, რომ ვერ მოგკლავდი, რადგანაც მოხუცი და ავადმყოფი ვარ, მაგრამ გაგაფრთხილე, რომ არ დაგნებდებით, ჩვენ სამშობლოს ვიცავთ... მოვა სხვა მეომარი და იმისი ისარი არ აგცდება“! (თემურ ლენგს ეს მოხუცი გაუთავისუფლებია) — ხომ არის ეს სამშობლოს დაცვის (მამულის მოვლის) მისტერია?!.



მაშ, რატომ გვასწავლიან და გვიკითხავენ დემოკრატიის, გენდერული თანასწორობის, ტოლერანტობის ლექციებს ევრო-ამერიკელი სნობები?!

ნუ გვასწავლიან იმაზე მეტს, რაც საჭიროა და იმას, რაც უკვე დიდი ხანია ვიცით. ჩვენ არა ვართ პაპუასები, არც კხმერები და ფაშისტები, ჩვენს ქვეყანაში არასოდეს უდევნიათ ეთნიკური უმცირესობანი. სწორედ ახლა ებრაელები ქართველებთან 3000-წლოვანი ურთიერთობის იუბილეს (დღესასწაულს) იხდიან — ეს ყველასთვის სანიმუშო მაგალითი უნდა იყოს!

* * *

**ბატონო ნორლანდ,** წეღან ჩინელები და ბეღურები ვახსენეთ, აგრეთვე ფოლკნერის შეღებილი ჯორები...

ჩვენ, ქართველები, ჩინელებისგან იმით განვსხვავდებით, რომ არ მივირთმევთ ქვეწარმავლების და მორიელის ხორცს, არც ბეღურას ვკლავთ! მაგრამ ვართ ძალიან ცოტანი — უმცირესნი ჩინელებთან შედარებით! მაგრამ ვიცით ასეთი სიბრძნე: ამოარჩიე ბევრში ცოტა, ცოტაში — ბევრი; (დიდში მცირე, მცირეში — დიდი). ანუ ჩვენი ერი ფიზიკურ სიმცირეს გადაფარავდა სულიერი ენერგიით და ზნეობრივი სიმკაცრით და ქმნიდა მეომართა ხელოვანების და ტაძართა შენების უნიკალურ ჰარმონიას! გენიალურ პოეზიას და მუსიკას: „ჩაკრულოს“ ახლა კოსმოსში უშვებენ ღმერთების მოსასმენად...

რაც შეეხება „ფოლკნერის შეღებილ ჯორს“, მისნაირად გამოიყურება ახლა ექსორიაში მყოფი სააკაშვილი, რომელმაც თავი შეაფარა ფოლკნერისავე ქვეყანას.

* * *

სამწუხაროდ, **მისტერ ნორლანდ,** ახლა თქვენი ამერიკა და ევროპა აღშფოთებული და შეშფოთებული ბრძანდებით იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება სამართლის აღდგენას და სააკაშვილის ტიპის დამნაშავეთა დასჯას ცდილობს!

ქართველი ხალხი კი აღშფოთებული იყო თქვენი დუმილით მაშინ, როდესაც საქართველოს XXI საუკუნის „ჰიქსოსების“ ბანდა არბევდა, აწამებდა და აუპატიურებდა, მიტინგებს სისხლში ახშობდა, ტელეკომპანიებს სპეცრაზმებით არბევდა.

თქვენ აღშფოთება არ გამოგითქვამთ არც მაშინ, როდესაც სააკაშვილი საკუთარი მიცვალებულების გვამებზე ცეკვავდა და ნულოვანი ტოლერანტობის ბრძანებებს გასცემდა პირდაპირ ტელევიზიიდან ხალხის ქუჩებში დასახვრეტად!

როდესაც სააკაშვილმა რუსეთთან ომის პროვოცირება შეძლო, დაკარგა ტერიტორიების 2/3 და ქვეყანა რუსეთის საოკუპაციო ჯარების ალყაში მოაქცია; პირწმინდად ჩააბარა ყველა თქვენს მიერ ნაბოძები ტექნიკა და იარაღი, არც მაშინ გამოგიხატავთ დიდი აღშფოთება არც თქვენ და არც იმ „სატელიტ“ ტელევიზიებს და არასამთავრობოებს,



13 gv.

# ილიას თანამოაზრე


იაკობ მანსვეტაშვილი

იყო ილია ჭავჭავაძის თანამედროვე და თანამოაზრე, მხარში ედგა იმ დროს წამოწყებულ ყველა ქართულ საქმეს. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად იმ წლებში მუშაობდა, როცა მას ილია თავმჯდომარეობდა. „ივერიის“ თანამშრომელი, „ჯეჯილთან“ და „მოამბესთანაც“ თანამშრომლობდა, ბეჭდავდა პატარ-პატარა მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს, ფელეტონებს. XIX საუკუნის 70-90-იანი წლების მნიშვნელოვანი მოვლენები – ისტორიულ-სოციალური და კულტურულ-ლიტერატურული – და იმ დროის საზოგადო მოღვაწეებთან ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდები გადმოცემული აქვს თავის „მოგონებანში“, რომელიც მის სიცოცხლეშივე გამოიცა.

იაკობ მანსვეტაშვილის ცხოვრების გზას ძირითადად მისივე მოგონებებით ვეცნობით. ნორიოელი მღვდლის შვილმა თბილისის სასულიერო სემინარია რომ დაამთავრა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან იქ „ბოროტი **განზრახვის წყალობით გამეფებული იყო ეგრედწოდებული „კლასიციზმი“, ე.ი. ლათინური და ბერძნული ენები და საეკლესიო სკოლები, ე.ი. სწავლა, დამყარებული ჟამნ-დავითნზე და ეკლესიურ გალობაზე. მეტადრე გააფთრებული სისასტიკით მძვინვარებდა კლასიციზმი. თავებს გვახოცინებდნენ, სულს გვიხუთავდნენ, ტვინს გვიფიტავდნენ ლათინური „სუპინებით“, „აბლატივი აბსოლუტებით“ და ბერძნული „აორისტებით“... თუთიყუშებივით გვაზეპირებინებდნენ... დაჟინებით გვაკითხებდენ ჰომიროსის განთქმულ „ილიადას“ და „ოდისეას“. მთელი ნაწყვეტები ზეპირად უნდა გვცოდნოდა. ჩვენც ღამეებს ვტეხდით, თვალებს ვიწყალებდით და ნელის ხმით, ცოტა მესტვირული კილოთი, ვიზეპირებდით ილიადას ფერადოვან ბერძნულ ლექსებს. მახსოვს ჩემი ბეჯითობის სურათი. მოვუჯდებოდი მაგიდას, ნიდაყვებით დავეყრდნობოდი, ხან, ხელებს თავში მაგრად წავივლებდი, ვირყეოდი, ხმას ხან ავუმაღლებდი, ხან დავუმდაბლებდი, მერე თვალებს დავხუჭავდი, და ღამის სიჩუმეში გაისმოდა ჩემი ბუბუნი: „ანდრა მოი, ენნეპე, მუზა პოლიტროპონ“. ამ დროს რომ უცხო ვისმე დავენახე, იტყოდა: ეს სწორედ მეშაბათე ებრაელია, თავის ტალმუდსა კითხულობსო“.**

სწავლის გაგრძელება პეტერბურგში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გადაწყვიტა. იმპერიის დედაქალაქი იმიტომ აირჩია, რომ იქ „ახალი მოძრაობის დედაბუდე“ იყო და კიდევ იმიტომაც, რომ „პეტერბურგის უნივერსიტეტი განთქმული იყო თავისი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტით, სადაც საუკეთესო პროფესორებს მოეყარათ თავი“.

**„მამაჩემს მამა ანტონის მონასტერში მივყევარ სალოცველად, – გზაში მფარველობას გაგიწევსო. ეს მონასტერი ჩვენი სოფლის თავზეა. დაარსებულია მამა ანტონის მიერ... ეს ანტონი ითვლება ჩვენი სოფლის მფარველად და, მაშასადამე, ჩვენი ოჯახისაც. მამაჩემს, მღვდელს, ეს წმინდად სწამს. მე თუმცა მამის რწმენას არ ვიზიარებ, მაგრამ მაინც არ ვეურჩები, არ მინდა ვაწყენინო...“**

თვალცრემლიანი დედა ბარგს უმზადებდა და არიგდება, ავად არ გახდე, თორემ ვინ მოგხედავოს. ისე აცილებდა, თითქოს ომში მიდიოდა და სასიკვდილოდ იყო განწირული.

პეტერბურგისკენ მგზავრობა საქართველოს სამხედრო გზით დაიწყო – მაშინ ბაქოს რკინიგზა ჯერ კიდევ არ არსებობდა. „მშვიდობით, **სამშობლო ქალაქო! დიდ ხანს? როდის დავბრუნდები უკან? თუ მწარე ბევრი მასვი, შენგან სიტკბოც ბევრი მომაგონდება. გული მწყდება, რომ მშობელ ქალაქს ვშორდები. მაგრამ შორს შავო ფიქრებო!“** – ასე გამოემშვიდობა დედაქალაქს და ხანგრძლივ გზას დაადგა, რომელიც მისთვის უჩვეულო მოგზაურობა იყო. ვიდრე ომნიბუსით მგზავრობდა, ანუ კავკავამდე (ახლანდელ ვლადიკავკაზამდე) გზად „ფერადებით ნახატი სურათები“ უხარებდა გულს, ხოლო რკინიგზით მგზავრობამ და „თვალუწვდენელი მინდვრების ერთგვარობამ, ერთფერობამ“ დაღალა. როსტოვიდან დაწყებული ვიდრე მოსკოვამდე, ყველა ბაქანზე „ცის ქვეშ ჭერეხივით ხალხი ეყარა უპატრონოდ“, რომლებიც თავიანთი წინაპრების ადგილებიდან აყრილიყვნენ, ახალ ადგილებზე დასაბინავებლად და სამუშაოს საძებნელად მიდიოდნენ, მათთვის საგანგებო მატარებლის გამოყოფას კი აჭიანურებდნენ. იაკობს უკვირს: **„კარგი პატრონი პირუტყვს, საქონელსაც არ მიატოვებს ესე ღვთისანაბრობაზე, და ესენი ხომ კაცნი არიან, ადამიანნი, ქვეყნის მკვებავნი, მისი დედა-ბოძი. არ მენახა და არ გამეგონა ჩვენში ასეთი რამ, მერე უცხო ქვეყნებშიც ბევრი მივლია, ბევრი მინახავს, მაგრამ ამისთანა რამ იქ არაფერი შემხვედრია. უცხოელებისათვის რომ ეს მეამბნა, იმათ უთუოდ ზღაპრად ეჩვენებოდათ და სიცილს მომაყრიდნენ“.**

პეტერბურგმა მოხიბლა თავისი დიდებულებით. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მენდელეევის პირველმა ლექციამაც. მონდომებით შეუდგა სწავლას, რომ კარგი სპეციალისტი დამდგარიყო და თავისი ადგილი ეპოვა. თუმცა იმასაც ხედავდა, რომ უნივერსიტეტში მდიდრული ეტლებით პროფესორები კი არ მოდიოდნენ, არამედ იურიდიული ფაკულტეტის მდიდარი სტუდენტები – მათ მხოლოდ დიპლომი სჭირდებოდათ, რომ მათთვის გამზადებულ თბილ ადგილებზე მოკალათებულიყვნენ.

სტუდენტობა რთულ პერიოდს დაემთხვა: ბატონყმობის შემდეგ გატარებულმა რეფორმებმა ხალხს ყოფა ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქა, უკმაყოფილოთა რაოდენობა მატულობდა, რევოლუციური განწყობილებები მძაფრდებოდა და ეს ვითარება სრუდენტობაზე დიდ გავლენას ახდენდა...

პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტები ძირითადად ვასო მაჩაბლის ბინაში იკრიბებოდნენ და საქართველოს მომავალზე მსჯელობდნენ. მათ ხშირად სტუმრობდნენ ნიკო ნიკოლაძე, უკვე მხცოვანი დავით ჩუბინაშვილი... ყველაფერში ახალგაზრდულ მაქსიმალიზმს ავლენდნენ და ამიტომაც იყო, რომ ვერ გაუგეს მათთან სტუმრად მყოფ დიმიტრი ყიფიანს, რომელმაც სტუდენტებს მათი კამათის მოსმენის შემდეგ ასეთი რამ უთხრა: **„ჩვენი ქვეყანა პატარაა, მომუშავე ძალები ცოტა გვყავს, სიფრთხილით უნდა მოიქცეთ. დიდ საქმეს ნუ ჰკიდებთ ერთბაშად ხელს, რომ არ დაიძალნეთ და ჩვენს სამშობლოს არ მოაკლდეთ“.**

საქართველოში დაბრუნებული საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება. ეს ის პერიოდია, როცა მეფის რუსეთი აქ, საქართველოში თავის წესებს ამკვიდრებს და ყოველივე ეროვნულს, ქართულს ებრძვის. იმდროინდელმა მოღვაწეებმა განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებით დაიწყეს. პირველი თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი იყო, ხოლო როცა საზოგადოებას სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა, 1885-1907 წლებში, იაკობ მანსვეტაშვილი საზოგადოების მდივნად მუშაობდა.

ვაჟა ფშაველასთან პირველი შეხვედრაც ამავე პერიოდს უკავშირდება. 1887 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტმა სოფელ თონეთიდან წერილი მიიღო, სოფლის სკოლის მასწავლებელი ლუკა რაზიკაშვილი ცუდად იქცევა, მუშტიკრით გვიმასპინძლდება და ხანჯლითაც გვემუქრებაო. საქმის შესასწავლად იაკობ მანსვეტაშვილი გაგზავნეს. სინამდვილეში ასეთი რამ მომხდარა: მანგლისში მყოფ რუს ოფიცრებს დუქანში ქართველებზე აუგი უთქვამთ, რაც ვაჟას უპასუხოდ არ დაუტოვებია და ხელით შეხებიან ერთმანეთს. ვაჟა კარგად ნაცემი ყოფილა, მაგრამ ოფიცრებსაც უგემიათ მისი მუშტის ძალა. იაკობს საქმე მოურიგებია, სკოლა შეუმოწმებია, რომლის შემდეგაც უთქვამს: **„სასიამოვნო სანახავი იყო ღია, მხიარული, ცოცხალი სახე ყმაწვილებისა, მასწავლებელს თამამად ეპყრობიან, ამასთანავე დისციპლინაც დაცულია, ეტყობა მასწავლებელს შიშით კი არა სიყვარულით მოუნადირებია თავისკენ. ყმაწვილები ფიქრობენ და პასუხს ისე აძლევენ და არა თუთიყუშებივით დაუზეპირებიათ“.** შინაც სწვევია პოეტს. იაკობმა იქ წაიკითხა „შვლის ნუკრის ნაამბობი“ პირველად, მანვე მიუტანა ილია ჭავჭავაძეს წასაკითხად და პირველი წერილი-რეცენზიაც თვითონვე დაწერა. **„არა, ჩვენ, ძველებმა, კალამი უნდა დავდოთ და ახლებს უნდა დავუთმოთ გზა“, –** ასეთი იყო ილიას თავდაპირველი შეფასება. შემდგომში ილიამ ვაჟაზე განაცხადა, **„რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვყოლიაო“.**

განუზომელია მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნებული საადგილმამულო ბანკისა, რომლის ფილიალი ბაქოშიც


ილია ჭავჭავაძე

არსებობდა და მას გამოჩენილი მოღვაწეები ედგნენ სათავეში, მათ შორის — იაკობ მანსვეტაშვილიც. ბაქოში მეუღლესთან ნინო გვარამაძესთან ერთად ცხოვრობდა. იქ ყოფნისას შეიძინეს მამული, სადაც ნავთობის საბადო აღმოჩნდა და რამაც დიდი შემოსავალი მოუტანა. იაკობ მანსვეტაშვილისთვის მეცენატობა არც მაშინ იყო უცხო, როცა საქართველოში ცხოვრობდა და რიგითი ლიტერატორის შემოსავალი ჰქონდა: თავისი სახსრებით გახსნა ქართული წიგნების პირველი მაღაზია და ქართული წიგნების გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი სტამბა დაუთმო. აკაკის ორტომეულის გამოცემის ხარჯებიც თვითონ გაიღო და განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის თბილისში ჩამოსვენების თანხაც. დიდი კაპიტალის მქონემ ბაქოშიც გააგრძელა მეცენატობა: იაკობ მანსვეტაშვილის ინიციატივით ამ ქალაქში აიგო ქართული სკოლა, დახმარებას უწევდა კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს, რომელსაც ყოველთვიურად 25 მანეთ სტიპენდიას აძლევდა პირადი ანგარიშიდან, ხოლო მისი-



ძველი თელავი, ბატონყმობის გადავარდნის გამოცხადება, 1864 წლის 19 თებერვალი

ვე რეკომენდაციითა და თხოვნით ბაქოს ნავთობმრეწველთა გამგეობამ კომპოზიტორს ერთჯერადად 2 ათასი მანეთი გადასცა.

ეს სიმდიდრე გახდა მათი ოჯახის „ლოდი დაბრკოლებისა“, ბედისწერა და, გარკვეულწილად, პირადი უბედურების მომტანიც.

...ერთხელ, იაკობ მანსვეტაშვილი, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სკოლაში ლიტერატურულ საღამოზე მიიწვიეს. უკვე ჭაღარაშერეულმა იაკობმა აქ გაიცნო მომავალი მეუღლე ნინო გვენეტაძე, რომელიც ამავე სასწავლებელში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ნინო იმ დროს 35 წლისა იყო, იაკობზე ოცი წლით უმცროსი, მაგრამ ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ერთმანეთს გაუგეს და მალევე შექმნეს ოჯახი. თანაცხოვრების პირველი წლები ბაქოში გაატარეს, შემდეგ კი სად არ უწევდათ ცხოვრება. შვილი — ბორისი პეტერბურგში დაიბადა. იაკობი საქმეების გამო ბევრს მოგზაურობდა, ხან გერმანიაში მიდიოდა, ხან საფრანგეთში, ხშირად ჩადიოდა პეტერბურგში, რომელსაც მსოფლიო ომის გამოცხადების შემდეგ უკვე პეტროგრადი ერქვა. ნინო გამუდმებით თან დაჰყვებოდა მეუღლეს და საქმიანობაში ეხმარებოდა. ბავშვის გამო არ დარდობდა, რადგან პეტერბურგშივე შერჩეული ძიძა პატარა ბორისს საკუთარი შვილივით უვლიდა.

იაკობი უკვე ნავთობმრეწველი და ძალიან შეძლებული იყო. ოჯახს საქართველოს გარდა უძრავი ქონება ჰქონდა აზერბაიჯანში, რუსეთში, ევროპაში, მათ შორის რუსეთის არისტოკრატიის საყვარელ კურორტ ნიცაშიც. ერთხანს სწორედ ამ ქალაქში დამკვიდრდნენ. ამასობაში რუსეთში 1917 წლის რევოლუციამ იფეთქა. მიუხედავად დიდი რისკისა, იაკობმა და ნინომ პეტროგრადში წასვლა მაინც გარისკეს, რადგან ქონებრივი საკითხების მოგვარება სურდათ. შვილი ძიძას დაუტოვეს იმის ვარაუდით, რომ მალევე დაბრუნდებოდნენ. საქმეების მოგვარება იოლად ვერ მოხერხდა და კარგა ხანს დარჩნენ ქალაქში. როცა მიხვდნენ, რომ ასეთი არეულობის დროს მოსაგვარებელ პრობლემებს თავს ვერ გაართმევდნენ, ნიცაში დაბრუნება გადაწყვიტეს. ამაოდ — ქალაქიდან გასასვლელი გზები ჩაიკეტა, ვერც ემიგრანტებს დაემგზავრნენ, აქედან თავის დაღწევის ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ისლა მოახერხეს, რომ ნიცაში მყოფ ძიძას მინდობილობით თავიანთი კაპიტალის გამოყენების საშუალება მისცეს. მშობლების თანხმობით ბორისი ძიძის გვარზე გადავიდა — ფიქრობდნენ, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ მდიდარი ნავთობმრეწველის შვილის ამბავი საბჭოთა კავშირში არ ეცოდინებოდათ. უკვე წამოზრდილი ბორის ვადიმოვი მშობლებს ჰპირდებოდა, თქვენთან ჩამოვალო. იაკობსა და ნინოს შეეშინდათ, ევროპიდან აქ ჩამოსულს კარგი დღე არ დაადგებაო და უკვე წერილებსაც აღარ პასუხობდნენ, ელოდნენ ხელსაყრელ დროს, რომ საფრანგეთში გამგზავრებულიყვნენ. მანამდე კი პეტროგრადიდან თბილისში დაბრუნება გადაწყვიტეს. როცა გამოემგზავრნენ, ქალაქს უკვე ლენინგრადი ერქვა.

ნიციდან გამომგზავრების შემდეგ უკვე თერთმეტი წელი იყო გასული...

ნინომ თავის ძველ სკოლაში გააგრძელა მასწავლებლობა. იაკობი კი ლიტერატურაში ახალფეხშემოდგმულ ახალგაზრდებს გზას ულოცავდა, რჩევებს აძლევდა — მათი ნაწერების პირველი წამკითხველიც ის იყო და რეცენზიების ავტორიც. ამბობენ, რომ მას განსაკუთრებით გოგლა ლეონიძე მოსწონდა.

თავს გადახდენილი ამბები აღწერა წიგნში „მოგონებანი, ნახული და გაონილი“, რომელიც პირველად 1936 წელს დაიბეჭდა წიგნად (ათეული წლების შემდეგ მისი მეორედაც გამოიცა).

1944 წელს გარდაიცვალა. დამკრძალავ კომისიას გოგლა ლეონიძე ხელმძღვანელობდა. უამრავმა ხალხმა პატივით გააცილა იმ ქვეყნად კაცი, რომელმაც შემთხვევითობის წყალობით დიდი სიმდიდრე მოიხვეჭა და ბედნიერებას ეზიარა; იმავე შემთხვევითობის გამო დაკარგა ის, რისთვისაც ცოცხლობდა — შვილი. მეუღლემ დიდხანს იცოცხლა, 96 წლისა გარდაიცვალა. მეუღლის გვერდით ვერ დაკრძალეს: ომის პერიოდში კუკიის სასაფლაოზე ასვლა დიდ ხიფათს უკავშირდებოდა, ამბობდნენ, რომ იქ საეჭვო ხალხი იკრიბებოდა და ვინ იცის, რა ხიფათს გადაეყრებოდნენ. როცა ასვლა შეძლეს, სასაფლაო ისე გაზრდილიყო, რომ იაკობის საფლავს ველარ მიაგნეს.

„გათავდა ჩემი ტანჯვა-ვაების ხანა“ — ასე გამოემშვიდობა ჭაბუკი იაკობ მანსვეტაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიას. ასე ზუსტად, ალბათ, სხვას ვერც ვერაფერს იტყოდა მაშინ, როცა 89 წლისას სიცოცხლესთან განშორების დღე დაუდგა...

**ელზა ნაბახტეველი**

# ჰიჩკოკის „ჩიტები“, ბელურების გადაფრენა და შეღებილი ჯორები... ანუ ღია წერილი ამერიკის ელჩს რიჩარდ ნორლანდს — უცხოეთის ყველა ელჩისა და კონსულის გასაგონად!

11 gv.

რომლებიც შიგნიდან ანგრევენ სახელმწიფოს და ჭილყვავებივით შეესივნენ ქვეყანას...

* * *

ახლა ჩვენი ერი ბიძინა ივანიშვილისა და ხალხის თავგანწირული პროტესტის მეოხებით რამდენადმე გათავისუფლდა ამ რეჟიმისგან, მაგრამ ქვეყანა ლამის მათ მიერ დანატოვარი უმძიმესი მემკვიდრეობის მძევლად იქცა. არაფერია თავის ადგილზე, ქვა ქვაზე არაა დატოვებული მათ მიერ, საკუთრებაჩამორთმეული, ერი აყრილი და განდევნილია საკუთარი სახლ-კარიდან; დაუძლეველია ადამიანთა ფსიქოლოგიური და მორალური სტრესის სიმძიმე — არც ნერონს, არც კალიგულას, არც ჰიტლერს მსგავსი ბარბაროსობა არ ჩაუდენია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ...

ახლა ეს ბოროტმოქმედნი დაუსჯელი დაპარპაშებენ ხელშეუხებლობისა და თქვენს მიერ თავსმოხვეული „კოაბიტაციური“ რეჟიმის მეოხებით...

* * *

ხშირად გამოხატავთ ხოლმე აღშფოთებას ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ არასდროს აღშფოთებულხართ „ნაცების“ ტირაჟირებულ ჭირს, მათი ტელევიზიების პროპაგანდას, პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივ კომპანიას, რომლებიც გადატრიალებისკენ მოუწოდებენ ნეგატიურ ძალებს და იმ მრავალ ათეულ არასამთავრობოებს, რომლებიც სახელმწიფოში „სახელმწიფოდ“ იქცნენ...

**პატივცემულო ელჩო,** თქვენი სამართალი თქვენს სამშობლოში დაუშვებს ასეთ დაუსჯელობას და უსამართლობას, „კოაბიტაციის“ მსგავს გამოვლენას? არ დაუშვებთ თქვენ ამას! მაშ, რა ექსპერიმენტს გვიტარებთ ჩვენ, როგორც საცდელი კურდღლების ქვეყანას. გარწმუნებთ, რომ არ გამოგადგებით ჩვენ ასეთი ექსპერიმენტისთვის!

* * *

და მაინც, **პატივცემულო ელჩო,** ყველაზე სახიფათო ის არის, რომ: საქართველო სააკაშვილმა პირდაპირ „დინოზავრების“ ბრძოლის პოლიგონზე შეაგდო — ეს მეტად საბედისწერო თამაშია ჩვენი ქვეყნისთვის... ასეთი პოლიტიკით XXI საუკუნეში შესაძლოა, ისევე გაქრეს კულტურული რასა, როგორც ოდესღაც **გენიალური** შუმერები...

სამწუხაროდ, საქართველო აღმოჩნდა საცდელი ხარის როლში, რომელსაც „წითელ ნაჭერს“ უფრიალებენ, რომ „ტორეადორის“ მახვილის მსხვერპლი გახდეს. ამ მზაკვრულ როლს ისევ და ისევ ნაცები ასრულებენ, რომ შემდეგ ყველაფერი ივანიშვილს ან ახვა ვინმეს გადააბრალონ! ჩვენ გვეჩვენება, რომ ეს გარემოებაც თქვენი ყურადღების მიღმა რჩება, ან არ თვლით არსებითად და თქვენთვის ბევრი რამ სულ ერთია?! (ანუ) მაშ, რა განაპირობებს ამ კაციჭამია ვირთხების მხარდაჭერას (რომლებიც არც დემოკრატები არიან და არც „ჰუმანოიდები“) ცივილიზებული ამერიკის და ევროპის მხრიდან?

დაბოლოს, არ გვინდა ჩამოგვიყალიბდეს „გონივრული ეჭვი“, რომ სააკაშვილი თქვენი „უძღები შვილია“ და ცდილობთ მის გადარჩენას ქართველი ერის საზიანოდ. ნუ გვიწყენთ, მისტერ ნორლანდ, თუ გსაყვედურობთ ზოგ რამეს და გამოვთქვამთ ეჭვს: ამას ჩვენი სამშობლოს ბედისწერა და მისი გადარჩენის ინსტინქტი გვკარნახობს!

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია, ეს არის ჩვენი „აღთქმული ქვეყანა“ ნაბოძები უფლის მიერ, აქა ვართ დასაბამიდან დღემდე: აქ ვკვდებით და ვიბადებით და აქ ვაპირებთ ყოფნას ჟამთა მოქცევამდე — ჩვენ წინაპართაგან დამკვიდრებულ კულტურულ-ისტორიულ სივრცეში — „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“ — ჩვენი ეს საკრალური დევიზი ყველამ უნდა გააცნობიეროს...

მეჩვენება, რომ თქვენ შიგადაშიგ აქებთ და ამით აქეზებთ ალასანიას, რომელიც მეტად სახიფათო მაპროვოცირებელ განცხადებებს აკეთებს — საქართველოში ნატოს სამხედრო თუ საწვრთნელი ბაზების და სისტემების განლაგებაზე... შეძლებთ თქვენ, მისტერ ნორლანდ, საქართველოზე (და კავკასიაზე) რუსეთის იერიშების მოგერიებას?

თქვენ ერთხელ ეს ხომ ვერ შეძელით?!..

***P.S.* მისტერ ნორლანდ, ეს წერილი მოკლეც არის და გრძელიც. გრძელი იმიტომ, რომ ელჩს (შეკუმშული დროის გათვალისწინებით) ათგვერდიანი ქაღალდი არ უნდა მისწერო (10 ფურცელზე შეიძლება ვრცელი რომანი დაეტიოს), მოკლე იმიტომ, რომ მაინც ვერ ვთქვით მთავარი („ბევრში ცოტა ვერ ჩავტიეთ!“).**

***თუმცა ჩვენი მთავარი სურვილი და სათქმელი თქვენს მიმართ ის გახლავთ, რომ ნუ გაახვევთ ჩვენს ქვეყანას XXI საუკუნის აპოკალიფსური ომების ბურუსში — არც რუსეთის, არც ნატოს და სხვა რომელიმე ქვეყნის ბაზები ჩვენ არ გვჭირდება. გვირჩევნია დავრჩეთ სრულიად უირაღო — სიყვარულით შემოსილი ჩვენი ტაძრების გარემოცვაში...***



**კობა არაბული,**
მწერალი,
ეთნოკულტურათა მკვლევარი
595 57 99 43

**P.S.** წერილის ინგლისური თარგმანი გადაეგზავნება ბატონ რიჩარდ ნორლანდს და საქართველოში აკრედიტირებულ ყველა საელჩოს.



# წყლის ინდუსტრიის განვითარებით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდება

## 2015 წლიდან მსოფლიოს სასმელი წყლის დეფიციტი ემუქრება, რომლის აღმოფხვრა მხოლოდ საქართველოს შეუძლია

ვესაუბრებით სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების ცენტრის" **ხელმძღვანელს ბატონ პაატა გიორგაძეს.**

**— ბატონო პაატა, როდის გადაწყდა, რომ შექმნილიყო ქართული სასმელი წყლის ინდუსტრია ან რამ განაპირობა ეს ყოველივე?**

— დღეს ქვეყანა რომ გამოვიდეს ეკონომიკური კრიზისიდან, ის უნდა გახდეს რაიმე პროდუქციის მწარმოებელი, რომლის საფუძველზე გაიზრდება შიდაპროდუქტი. აქვე დავამატებ, რომ მაკროეკონომიკური კვლევები ამ მიმართულებით გაგრძელდა შემდგომ 2011 წლამდე და ვმუშაობდით იმ პერიოდში „ქართული ოცნების" მიერ შექმნილ თემატურ ჯგუფში. **მიწისქვეშა გრუნტის წყალი — როგორც პროდუქტი შემდგომში, გამოვავლინეთ როგორც კონკურენტუნარიანი უპირატესობის ერთადერთი რესურსი. შეგახსენებთ, 450 ბუნებრივი საბადოა საქართველოში, მაგრამ დანარჩენი ყველა ამოწურვადია, რომლის ბალანსის შევსებას შემდეგომ წლები სჭირდება, რაც ამ შემთხვევაში არ ემუქრება გრუნტის წყალს — ის ამოუწურვადი, განახლებადი პროდუქტია.** დღეისათვის შევიმუშავეთ მოდელი თანამედროვე მიდგომებით, რომელიც მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენებით ვაქციეთ მატერიალურ დოვლათად. ამ მოდელით მოვახდინეთ საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ჩვენი, როგორც ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო პროდუქტის მატერიალიზება — რაც ასე მნიშვნელოვანია დღევანდელი მსოფლიოსთვის. აქ ჩვენ კაპიტალიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიები გამოვიყენეთ. ეს გახლავთ უნიკალური მოდელი, ხოლო პროდუქტი სრულიად ინოვაციური მსოფლიო ბაზარზე.

**— მიწისქვეშა გრუნტის წყლის რა მარაგი გააჩნია დღეს საქართველოს?**

— ცხადია, ეს საკითხი შესწავლილი და გარკვეულია, გეტყვით ციფრსაც, **ეს არის 301 მეტრკუბი წამში!** საქართველოს ჰიდროლოგიური კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია ეს რაოდენობა. **ეს გახლავთ საექსპლუატაციო დასაშვები რაოდენობა,** რომლის გამოყენება არავითარ ეკოლოგიურ ცვლილებას არ მოახდენს საქართველოს ლანდშაფტზე. ეს კვლევა თავის დროზე ჩატარებულია დიდი მეცნიერის, **აკადემიკოს იოსებ ბუაჩიძის მიერ.**

ახლა ვთქვათ, რას ნიშნავს **მარაგი 301 მეტრკუბი წამში,** რა რაოდენობის წყალია ეს? **ეს რაოდენობა დღე-ღამეში წარმოადგენს 26 მილიარდ ლიტრ წყალს** ანუ სამრეწველო მნიშვნელობით შეგვიძლია მივიპოვოთ 26 მილიარდი ლიტრი წყალი — იგულისხმება მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რა რაოდენობის წყალია საჭირო ადამიანისთვის ფიზიოლოგიური ნორმით დღე-ღამეში 2,5 ლიტრი — ეს გახლავთ ბიოლოგიური ნორმა. აქვე უნდა ითქვას, თუ რა რაოდენობის წყალი სჭირდება მთელ პლანეტას? მოსახლეობა დღეისთვის არის დაახლოებით 7,5 მილიარდი, აქედან გამომდინარე, მთელი პლანეტა დღე-ღამეში საჭიროებს 17,5 მილიარდ ლიტრ სასმელ წყალს ნორმალური არსებობისთვის. **დასკვნა ასეთია, თუ მსოფლიოს მოსახლეობა საჭიროებს დღე-ღამეში 17,5 მილიარდ ლიტრ სასმელ წყალს და ჩვენ გვაქვს 26 მილიარდი ლიტრი, ფაქტობრივად, შეგვიძლია მოვამარაგოთ მთელი მსოფლიო ისე, რომ გვრჩება წყლის ჭარბი რაოდენობა 8,5 მილიარდი ლიტრი. ყოველივე ამის საშუალებას გვაძლევს ის 26 ათას 60 მდინარე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა.** მინდა აღვნიშნო, რომ ამ ზედაპირულ წყლებს არ ვეხებით, ანუ მდინარეებს. დათვლილი გვაქვს მხოლოდ მიწისქვეშა გრუნტის წყალი. ჩვენ ვართ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა ჰიდრორესურსებით, ანუ წყლის მარაგით.

თუ გვინდა მდგრადი ეკონომიკური განვითარება, უნდა განვავითაროთ ეროვნული ეკონომიკა. ამ შემთხვევაში **ქართული წყალი უნიკალურია, რომელიც 4 და 5-სართულიან შრეებს გაივლის და ბუნებრივად იღებს ვულკანურ შრეებში ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტებს და ნივთიერებებს და** ამოედინება გაფილტრული მიწის ზედაპირზე.

დღევანდელმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობის ერთადერთი რესურსი **მიწისქვეშა გრუნტის წყლების მარაგი,** რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ეკონომიკის აღმავლობისთვის. მსოფლიოში არსებობს სასმელი წყლის გლობალური კრიზისი, **2015 წლიდან უკვე 5 მილიარდი ადამიანი დარჩება წყლის გარეშე, რომლებიც ცხოვრობენ წყლის დეფიციტის ზონებში. ასე რომ, ეს პრობლემა კარს მომდგარია უკვე!** გაეროს მიერ დადგენილი იყო, რომ ეს დრო დადგებოდა 2025 წელს, სამწუხაროდ, ბოლო კვლევებით ამ პრობლემამ 10 წლით ადრე



გადმოიწია, რაც სამწუხაროა ერთი მხრივ, ამავე დროს საქართველოს უჩნდება შანსი, რომ პრობლემიდან გამომდინარე, რაც შეიძლება მალე გახდეს ჩვენი ქვეყანა **სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქსიის მსოფლიო ბაზარზე გამტან ქვეყნად.** თუ მოვახერხებთ და ყველა მუნიციპალურ ერთეულში თითო საწარმოს **ავაშენებთ, უმდიდრესი ქვეყანა გავხდებით. ეს რეალურია!** ქვეყნის ფულადი შემოსავლები მარტო ამ წარმოებით გაიზრდება 12 მილიარდი დოლარით, ბიუჯეტი შეივსება ერთი წლის განმავლობაში 3 მილიარდი დოლარით, დასაქმდება მოსახლეობიდ უდიდესი ნაწილი, რომელთა ხელფასი ჩვენი გაანგარიშებით იქნება 1500 დოლარის შესაბამისი ლარში. ამ ყველაფერს მაკროეკონომიკური კვლევები გვიჩვენებს.

ბიძინა ივანიშვილს ამ პროექტის შესახებ 2011 წელსვე მოვახსენეთ და მოიწონა და შეგვპირდა, რომ ყველაფერს გავაკეთებ მისი დროული განხორციელებისთვისო. ამის შემდეგ კი შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლიც თავმჯდომარეც ბატონი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გახლავთ. ასევე სადღეისოდ შექმნილია სააქციო საზოგადოება ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისგან — „საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების ცენტრი".

**— დღეს რა ეტაპზეა ეს საქმე?**

— სადღეისოდ გადავდივართ უკვე პრაქტიკულ საქმიანობაზე, ჩამოვყალიბდით როგორც ოფიციალური ფიზიკური პირი და ვიწყებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.

**— როდის შეძლებთ უკვე წყლის ჩამოსხმას და რეალიზაციას?**

— აპრილ-მაისიდან უკვე გვინდა პროდუქცია შევქმნათ, ჩამოვასხათ წყალი, არსებობს უკვე შერჩეული ადგილები ჭაბურღილებისთვის იმერეთის ტერიტორიაზე. ცხადია, საქმეს ეყოლება ინვესტორი, მაგრამ ჩვენი მკაცრი მოთხოვნით, საქართველოს დარჩება საკონტროლო პაკეტი და მართვის უფლება — ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ამ საქმეში.



**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**



## ავთანდილ რცხილაძე:

# მაკკეინს, ქორებს, ყვავებს და სხვა მამაძაღლებს, ისეთივე შეშლილებსა და გიჟებს, როგორიც სააკაშვილია, საქართველოში არეულობა აწყობთ...

**„საერთო გაზეთი“ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ერთ-ერთი ცნობილ სახეს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატს ავთანდილ რცხილაძეს ესაუბრა.**

**– 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება, პუტჩი, როგორც დაიწყო, თქვენ კარგად გახსოვთ... გვაქვს თუ არა დღეს სახეზე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ნიშნები?**

– მე თუ მკითხავთ, დღეს სულ სხვა სიტუაციაა... პუტჩი დაგეგმილი იყო, უშუალოდ რუსეთის მიერ მოწყობილი გადატრიალება იყო, თუმც ამერიკის მიერ დაანონსებული, მაგრამ ხაზს ვუსვამ, განხორციელებული რუსეთის მიერ. დიახ, ასე იყო, აბა, თქვენ რა გგონიათ, კიტოვანმა და სიგუამ მოგვიგეს ? ნუ გამაცინებთ. 26 დეკემბერს ისინი გარბოდნენ, რუსებმა მოატრიალეს. რუსებს ეუბნებოდნენ, აღარაფერი გვაქვს, ყველაფერი, ბრონეტექნიკა, ქობალიას გვარდიამ დაგვიწვაო. საღამომდე ყველაფერი გექნებათ, ადგილზე დაბრუნდითო, უთხრეს, რუსებმა და კვლავ თბილისის ზღვაზე აყარეს. ასეც მოხდა. საღამოს, ტანკები, ბეტეერები და რუსული ეკიპაჟებიც კი იქ იყვნენ. აი, მათ დაგვამხეს ჩვენ. დღეს კი, როგორც გითხარით, სულ სხვა მდგომარეობაა, ახლა გეტყვით რა ვითარებაცაა. საშიშროება, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნაცმოძრაობას ძალა არ გააჩნია. ჯერ ერთი, სახელმწიფო გადატრიალებას ხალხის მხარდაჭერა სჭირდება, რაც არ აქვთ. საერთოდაც, იმდენი არ ქნან, რომ ესენი ხალხმა მართლა დაგლიჯოს და ხეებზე ფეხით დაკიდოს, მე უბრალოდ, ვაფრთხილებ მათ. დიახ, ნუ, ითხრიან სამარეს, პოლიტიკური სამარე ხომ უკვე გაითხარეს და ახლა ფიზიკურ სამარეს ნუ გაითხრიან. და მაინც, დარწმუნებული ვარ, არეულობის მოწყობას, შეეცდებიან. გავიხსენოთ, სააკაშვილი ჯერ კიდევ მაიდნიდან იმუქრებოდა, შემდეგ თათბირები ჩაატარა სარფთან, ახლა ბაქოში ჩაუტარებია, ინსტრუქციებს იძლევა, დიდი მხარდაჭერა აქვს დასავლეთისგან, საიდანაც დიდი ზეწოლაა საქართველოს ხელისუფლებაზე. დღეს ამბობენ, სააკაშვილი რუსეთიდან იმართებაო, აბა, როგორ შეიძლება სააკაშვილი იყოს ახლა, ამჯერად, რუსეთის აგენტი და დასავლეთი უჭერდეს მხარს? რა კონფრონტაციაა ამ ორ სახელმწიფოს შორის, ვიცით და რაღა, მაინცდამაინც, სააკაშვილის საკითხში მონახეს საერთო ენა? მე ეჭვი მეპარება. სააკაშვილს დასავლეთიდან აქვს დიდი მხარდაჭერა, იგივე მაკეინის მხრიდან. აი, ის არის ყველაზე დიდი მხარდამჭერი და წამქეზებელი სააკაშვილის, ფულით მომმარაგებელიც, ფული არ აკლია ნაცმოძრაობას, ოცნებაზე მეტიც აქვს. მოკლედ, საქართველოში არეულობის მოსაწყობად მათ საკმარისი თანხა აქვთ. სხვათა შორის, მათ ძალიან კარგად იციან, რომ რაც არ უნდა არეულობა მოაწყონ, ოცნებას ვერაფერს უზამენ, ანუ ვერ დაამხობენ, მაგრამ შეეცდებიან ოცნების დისკრედიტაციას. ანუ მოაწყობენ პროვოკაციებს, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სულმა წასძლიოს, ხელი წაუცდეს და ძალა გამოიყენოს მათ წინააღმდეგ, არაპროპორციულ ძალას ვგულისხმობ, ამით მოახდენენ ოცნების დისკრედიტაციას დასავლეთის თვალში, ასეთია მათი ჩანაფიქრი. ამიტომ ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. ღარიბაშვილი ნიჭიერი, პატრიოტი და პატიოსანი კაცია, თუმცა ახალგაზრდაა და შეიძლება ემოციებმა დაძლიოს და ჭიკაიძემაც გასცეს მათი დარბევის ბრძანება, რის შემდეგაც დაიწყება საუბრები, აი, ხედავთ დიქტატურაა, ძალადობრივი ხელისუფლებაა და ა.შ. გარდა ამისა, მეორე საკითხია, აწყობს თუ არა რუსეთს დღეს ამ სახის არეულობა საქართველოში ? რა თქმა უნდა, აწყობს. იმიტომ კი არ აწყობს, რომ სააკაშვილი რუსეთის აგენტია, არამედ იმიტომ, რომ თქვას, აი, დასავლეთი თავისი აგენტურით რას აკეთებს საქართველოში, ქართველობო, ახლა მაინც მოდით გონს, რა დროს ნატოა?



> **„მოაწყობენ პროვოკაციებს, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სულმა წაძლიოს, ხელი წაუცდეს და ძალა გამოიყენოს მათ წინააღმდეგ“.**

**– შესაძლოა ვიღაც სერიოზულად არ უყურებს შექმნილ ვითარებას, რადგან ნაციონალებს ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ (ეს თქვენც აღნიშნეთ), თუმცა გამსახურდიას ხელისუფლება, რომ დაამხეს იყო ეს საზოგადოებისგან მხარდაჭერილი?**

– სწორი კითხვაა. რა თქმა უნდა, საზოგადოებისგან მხარდაჭერილი არ იყო. ვიმეორებ, საშიშროება არის, არაფერია გამორიცხული, ნაციონალები ყველა მეთოდს მიმართავენ. პირველი აქცია იქნება მოთელვა, ძალებს მოსინჯავენ, ნახავენ ხალხს როგორი რეაქცია ექნება. ჩვენ ამდენი უბედურება გვაქვს გადატანილი და ვფიქრობ, აღარ წამოვეგებით ამას. გავმეორდები, დიდი სიფრთხილეა საჭირო. ხელისუფლებამ პრევენცია უნდა მოახდინოს. მხილება, ნაცმოძრაობის მხილება, ესაა საუკეთესო პრევენცია. სხვათა შორის, ნაცების, მარგველაშვილისა და რესპუბლიკელების იდეოლოგია არის ერთი და იგივე. დიახ, პრეზიდენტის, პარლამენტის თავჯდომარისა და ნაცების იდეოლოგია არის ერთი და იგივე. ისინი ერთი ცენტრიდან იმართებიან, რომლის სახელიც არის სოროსი, ლიბერმანი, მაკეინი და ვულფოვიტსი. ეს უკანასკნელი პრეზიდენტ ბუში უმცროსის დროს აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. ერთხელ მან განაცხადა შემდეგი: ქვეყნებში, რომლებიც ნებაყოფლობით არ მიიღებენ ამერიკულ დემოკრატიასა და ცხოვრების წესს, ამას ზარბაზნებით დავამკვიდრებთო.

**– ანუ ფიქრობთ, სააკაშვილს რუსეთი არ უმაგრებს ზურგს, თუმცა ჩრდილოელ მეზობელს საქართველოში არეულობა აწყობს...**

– 2008 წელს მოხდა ის, რაც მოხდა. ახლა საკითხავია, რატომ იყო სააკაშვილი ასე დაქოქილი. შეიძლება ის მართლაც რუსეთის დავალებას ასრულებდა, რომ შემდეგ რუსეთს იოლად მოეხდინა ის, რაც 2008 წლის შემდეგ მოახდინა - აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის ცნობა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ 2008 წლამდე და შემდეგაც საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ხელში აღმოჩნდა, როგორ რუსეთი ოკუპანტია და ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი რატომ გადადის მის ხელში ?! მეორე, დასავლეთი ყოველთვის არის კონფრონტაციაში რუსეთთან, მაგრამ არის საკითხები, სადაც ისინი თანამშრომლობენ. პრაგმატიზმი მეფობს პოლიტიკაში. ახლა დასავლეთში არიან ნორმალური მიმდინარეობის პოლიტიკური ძალები, მაგრამ არიან საშინელი ქორები, ომის პარტია - პრეზიდენტი ბუში, დიკჩეინი, მადლენოლბრაიტი, კლინტონი, მისი მეუღლე ჰილარი კლინტონი (მომავალი პრეზიდენტია მგონი), ლიბერმანი და მაკეინი, ეს ნახევრად გიჟი ადამიანი, შეურაცხადი სააკაშვილივით, არანორმალური. ვიმეორებ, აი, ამ ძალამ შექმნა სააკაშვილისგან პოლიტიკური ავანტურისტ ჭიკარტი, რომელიც უნდა ყოფილიყო შერჭობილი ყოველთვის პუტინისა და მისი ადმინისტრაციის საჯდომზე, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში, რომ ჰყოლოდა რუსეთი, რომ წამოეგო პროვოკაციაზე, მსოფლიოს თვალში გამოჩენილიყო მონსტრ ძალად. სააკაშვილი ბრწყინვალედ ასრულებდა ყველაფერ ამას. უყურეთ, ერთის მხრივ, აშშ-ს ადმინისტრაცია ეუბნება სააკაშვილს, ფრთხილად იყავიო, მეორეს მხრივ, მაკეინი და ეს პოლიტიკურ-სატანისტური ბანდა უბიძგებს რუსეთთან კონფრონტაციისკენ და მივიღეთ 2008 წელს ის, რაც მივიღეთ. ფაქტია, სააკაშვილმა 8 აგვისტოსთვის ორი ტრიბუნა და ასობით დროშა მოამზადებინა, იმედი ჰქონდა, რომ შევიდოდა ცხინვალში და გამართავდა მიტინგს. რატომ ორი ტრიბუნა? ერთი თავისთვის, მეორე, ჩემთვის ყოვლად გაუგებარი სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის დირექტორ სანაკოევისთვის. აი, ეს პოსტი ნიშნავდა იმას, რომ სააკაშვილი აღიარებდა სამხრეთ ოსეთის, ფაქტობრივ არსებობას. ახლა ჩააბარა თუ არა რუსეთს ეს ტერიტორიები რამის სანაცვლოდ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაფერი რუსეთის სასარგებლოდ დამთავრდა.



**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

# მოვიაროთ საქართველო!

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში**

## ანანური — მჟავე წყლები — გერგეტის სამება — ხევის სიონი — ლარსი

ანანურისკენ მიმავლებმა კიდევ არაერთხელ აღვნიშნეთ გულისტკივილით საქართველოს ისტორიის რაოდენ მნიშვნელოვანი ეპოქაა ჩაძირული ჟინვალის წყალსაცავის ფსკერზე და ამასობაში ფასანაურის მიმდებარედ ავტომობილების ე.წ სასაფლაოს (ზოგი მუზეუმს უწოდებს) მივადექით, რომელიც შემცირებული გვეჩვენა. როგორც გავიგეთ, „მუზეუმის შემგროვებელს“ რამდენიმე ექსპონატი გაუყიდავს. დაჟანგული ყველგანმავალი („ვეზდეხოდი“) ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის საკუთრება ყოფილა ოდესღაც, მაგრამ მას რა უჭირს, ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა და ჩამოიწერა, თვით სადგურის შენობა არის საკითხავი, თუ ითვლება, რომ ის ფუნქციონირებს. ვუტრიალეთ გარშემო პატარა, ერთსართულიან შენობას, რომელიც სულების სამყოფელს ჰგავდა საშინელებათა ფილმიდან, მაგრამ ვერც შევედით, ვერც ძე-ხორციელის არსებობა შევნიშნეთ — უეცარი საშინელი ელდის გამო რომ ადამიანები გაქრებიან, მაგრამ მათი აურა იგრძნობა, სწორედ ამგვარი შენობა იყო. ფოტოზე არ აღიქმება მისი რეალური სახე, თორემ ადამიანს შიში შეგიპყრობს, ამათ პროგნოზს ჩემი მტერი ენდოსო და ამ დროს, სტიქიურ უბედურებათა 80% ჰიდრომეტეოროლოგიური ხასიათისაა. ის „ვეზდეხოდი“ ამ ე.წ ჰიდრომეტ-დაწესებულებასთან უნდა იდგეს ერთმანეთი კარგად რომ შეავსონ და დაუფასებლად მიგდებული დარგისადმი სახელმწიფოს მიდგომა შეიცვალოს...



ანანური

### ანანური

ანანური ქართული ხუროთმოძღვრების ის ძეგლია, რომელსაც მუდმივად ჰყავს დამთვალიერებელი. ყველა ჩვენგანიც ნამყოფი იყო, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლიდით, სანთელი უნდა აგვენთო. ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ვერც ჩვენ ვნახავდით იმას, რას ანანურის ძალიან ბევრ სტუმარს არასდროს უნახავს და მიზეზთა გამო კარგახანს ვერც ნახავს. ანანურის კომპლექსის აღწერა ჩვენი კლუბის წევრების პრეროგატივა არ არის, მაგრამ რაც ანანურშია და ყველას არ უნახავს, ან ყურადღება არ მიუქცევია, მნიშვნელოვანი თუ არა, ზოგი რამ ყურადსაღებია, ზოგი — საინტერესო.

უპირველესად აღვნიშნოთ, რომ ჟინვალის წყალსაცავის გამო ანანურის კომპლექსისთვის წლების შემდეგ რაიმე პრობლემის შექმნის შესაძლებლობას გამორიცხავს იმ რანგის გეოგრაფი, როგორიცაა პროფესორი გიორგი დვალიშვილი, ვინაიდან მხოლოდ ანანურის მიმდებარე ტერიტორია და ისიც წელიწადში მხოლოდ თვენახევარით ივსება წყალსაცავის წყლით.

(ფოტო, რომელმაც მოიარა ინტერნეტსივრცე რისი დასტურია, მკითხველმა განსაჯოს — ანანურში სტუმრად მისულ საქართველოს პრეზიდენტს სასულიერო პირებმა გათბობის პრობლემის მოგვარება სთხოვეს. პრეზიდენტმა „გულთან ახლოს მიიტანა“ მათი თხოვნა, საკუთარი ფონდიდან 48 000 ლარი გამოყო და ანანურის ეკლესიის მე-17 საუკუნის რკინის კარი გამათბობელ „კარმას“ გამწოვების თავგასაყოფად გამოჭრეს! პრეზიდენტი გულისხმიერი აღმოჩნდა, სასულიერო პირები — გათბნენ, ისტორიული კარი — ჯართად იქცა...)

ანანურის ციხე-სიმაგრე ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული ხუროთმოძღვრული კომპლექსია რომელიც ფეოდალური პერიოდის საქართველოდან შემოგვრჩა. არაგვის ერისთავებმა იმ დროისათვის სწორად შეაფასეს ანანურის სტრატეგიული მნიშვნელობა, ჩადგეს პირველი ოცმეტრიანი საყარაულო კოშკი რომელიც ამჟამად ციტადელის ცენტრშია მოქცეული და წარმოადგენდა ჩრდილოეთიდან მომავალი გზის ჩამკეტს. მომდევნო საუკუნეებში, როდესაც არაგვის ერისთავებმა რეზიდენცია ანანურში გადმოიტანეს (დუშეთიდან), დაიწყო ანანურის აყვავების ხანა. XVII საუკუნეში დასრულდა დედა-ციხე და ამავე ხანებშია აგებული მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია რომელსაც ადგილობრივები „მკურნალს“ უწოდებენ (წმ. პანტელეიმონის სახელობის). ამავე საუკუნის შუა წლებში აიგო მცირეგუმბათიანი ტაძარი „ღვთაება“. ანსამბლის უმთავრესი არქიტექტურული ნაგებობა კი (ღვთისმშობლის მიძინების სახელობის), ტაძრის სამხრეთი კედლის წარწერის მიხედვით, ქართლის მეფის მდივანბეგ ბარძიმის ბრძანებით აუგიათ 1689 წელს. გალავნის დასავლეთ ნაწილში აღმართულია ოთხკუთხა, შვიდსართულიანი კოშკი „შეუპოვარი“.

რატომ დაერქვა ანანურს „ანანური“ — ერთი თქმულებით, თავადის ქალს, ანას, ლეკის ბიჭი მოსწონებია, სიყვარულმა სძლია და მოტყუებულმა ლეკებს კარები გაუღო, თუმცა, როცა ნახა რა შედეგიც მოჰყვა მის საქციელს, სინანულმა სძლია, ანუ სანანური გაუხდა; მეორე ლეგენდის მიხედვით, ანანურის პირას, მდინარესთან მტრის ჯარი დაბანაკებულა. ადრიან დილას წყალი მოვარდნილა და დაბანაკებულები წყალს წაუღია, დარჩენილებს კი მთიელები დასხმიან თავს. ერთ-ერთ მთავარს უთქვამს, სანანურად დარჩათ აქ მოსვლაო...

### გველ-გველეშაპი

იმის გამო, რომ კოშკი ფარავს, ალბათ, იშვიათად ვინმეს თუ შეუმჩნევია ტაძრის კედელზე რა არის გამოსახული. შუა არეში უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარია, რომელიც ორ გველ-გველეშაპზე დგას. შეიძლება, სხვა ქრისტიანულ ძეგლებზეც არის გამოსახული გველ-გველეშაპი ერთად, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მერამდენედ ვიყავით ყველანი ანანურში, ვერ დავთვალეთ, პირველად შევნიშნეთ. მაქსიმალურად ვეცადე კოშკსა და ეკლესიას შორის დარჩენილ მცირე სივრცეში შეძვრომა, რომ ფოტო გადამეღო „გველ-გველეშაპისთვის.“ ეს სახელი შემთხვევით არ შევარქვი. თუ კარგად დააკვირდებით, ქვედა — გველეშაპია, ზედა — გველი და ასეთივე დაბოლოება აქვს, ანუ ორთავიანები არიან? (სამწუხაროდ, ხელოვნებათმცოდნეების ნაშრომებში სახელდახელოდ ვერსად მივაკვლიე ახსნას, მხოლოდ ზოგადად არის ნახსენები აღნიშნული ბარელიეფი)

ქართულ მითოლოგიიდან ღვთაების დამხმარე გველისფერს ვიცნობთ, რომელიც დაბმული გველის ან გველეშაპის სახით გვევლინება. გველისფერი გმირავს ღვთაების მტრებს, მის ერთგულებს კი გასაჭირში ეხმარება, ჯაჭვიდან აშვებული სჯის ღვთაების ურჩებს — ვითომ, ერთი მათგანი გველისფერია? მეორე? ან რატომ არიან გამოყენებულები ჯვრის სადგამად?

მიღებულია მოსაზრება, რომ გველეშაპი გველის მითოლოგიური სახის განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული მითიური პერსონაჟია. როგორც წესი, გველეშაპი ბოროტი არსებაა, წყლის სტიქიას განაგებს და კლავს გმირი — ეს არის კლასიკური



გველ-გველეშაპი

მითოლოგიური მოდელი რომელიც ინდოევროპული კულტურის წიაღში გაფორმდა.

ვინმეს უნდა თუ არ უნდა ამის აღიარება, მას წინ უძღვის განსხვავებული არქიტეპული სიუჟეტი, რომლის ფრაგმენტები შემოინახა კავკასიურმა ფოლკლორმა და მცირეაზიურმა (ხათურ-ხეთურმა) რიტუალებმა, სადაც გველეშაპი მნიშვნელოვან მითოსურ სახეს წარმოადგენს. იგი ბარაქიანობას განასახიერებდა და სამყაროს შემაკავშირებელ ფუნქციას ასრულებდა. გველეშაპი, როგორც წყლის სტიქიის განსახიერება სიცოცხლის მომნიჭებლად ითვლებოდა და თაყვანისცემის ობიექტი იყო. ჩრდილოკავკასიური და ქართველური ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა ადასტურებს, რომ კავკასიაში არსებობდა წყლის კულტი. წყალს ულოცავდნენ ახალ წელს, მიჰქონდათ ძღვენი, წარმოთქვამდნენ ლოცვებს. ასევე, რათა გამოეთხოვათ წვიმა და შედეგად მიეღოთ ნაყოფიერება, მთებთან ეწყობოდა მსვლელობები მსხვერპლშეწირვითა და მეგალითურ ძეგლებთან ლოცვით. ამ ყველაფრის ადრესატი კი იყო გველეშაპი.

გველეშაპი აღქმულია არსებად, რომელსაც ვეშაპის სხეული აქვს გველის კუდითა და ფრთებით, პირიდან კი ცეცხლს აფრქვევს, აანუ, ოთხივე სტიქიასთან აქვს კავშირი და ამ სფეროების ცოდნას ფლობს. კავკასიურ ფოლკლორში იგი მთის მწვერვალზე წევს, ნაპრალთან და სამყაროების ხილულ საზღვრად და შემაკავშირებლად განისაზღვრება.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გველეშაპის დასაჩუქრებულები არიან მექობაირი, ქალანდაური, თორღვა ძაგანის ძე; ყაბარდოელი მაშუკა და ყარაჩაელი შაუაი, ეს ხაზი შემდგომ გახმიანდა მთელ რიგ თქმულებებსა და ევროპის ხალხთა ზღაპრებში...

ასეა თუ ისე, ანანურის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ფასადზე ჯვრის სადგამად გამოსახულია უცნაური სიმბოლო, გაურკვეველ ურთიერთობაში მყოფი გველი და გველეშაპის ბარელიეფი.

### მცირეგუმბათიანი ტაძარი „ღვთაება“

მოვიარეთ ანანურის მთელი კომპლექსი, კოშკები, ტაძარი, გალავანი, „მკურნალი“, მიწისქვეშეთშიც კი ჩავძვერით (აღმოჩნდა, რომ მანამდე არც მისთვის მიგვიქცევია ყურადღება), სადაც იშვიათად რომ ტურისტმა ფეხი ჩაადგას. „მკურნალისკენ“ მიმავალ სივრცეშია ვიწროზე გაჭრილი „რაღაც ჩასასვლელი“, რომელსაც ყველა ამჩნევს, მაგრამ ერთ საფეხურზეც კი არავის ცდილობს ფეხის ჩადგმას — როცა პირადად ჩავძვერი, მერეღა მივხვდი, რომ რაღაც ამოუცნობ შიშის გრძნობას ბადებს. ოთხიოდემ გავბედეთ და ბოლომდე ჩავედით. მიწისქვეშა გზა ტაძრის შესასვლელიდან მოპირდაპირე მხარეს გადიოდა — ჩვენი აზრით, ეს იყო ჩასასვლელი მდინარეზე, რომელიც ჟინვალის დაგუბებამდე მოედინებოდა. ყველა შემთხვევაში, ციხე-კოშკიდან საცალო გასასვლელი იყო, საიდანაც ტყესაც შეეროდა ადამიანი და ხევხუვებსაც, წყალსაც ამოიტანდა მდინარიდან და მსტოვარსაც გაუშვებდა თუ მიიღებდა... ერთადერთი, რაც უნახავი გვრჩებოდა და არც არასდროს გვენახა, „ღვთაების“ მომცრო ტაძრის ინტერიერი იყო.



ტაძარი „ღვთაება“

„ღვთაების“ ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა ნაშენია ქვითა და აგურით, მაგრამ შიგნით რა იყო, როგორც ვერასდროს, ახლაც ვერ ვნახავდით ლაშა ჩხარტიშვილს პატივისცემით რომ არ გამოცნაურებოდა უცხოელების ჯგუფის ხელმძღვანელი, პატივცემული პროფესორი (ფოტოზე აღვბეჭდე, მაგრამ ვინაობა, მიზეზთა გამო, სამწუხაროდ, უცნობი დარჩა). როდესაც გაიგო პროფესორმა (რომელსაც მე „ყოვლისმცოდნე “ შევარქვი), რომ არასდროს გვენახა რა იყო „ღვთაებაში“, ლაშას უთხრა, შემომყევითო და შევყევით (სხვა ჯგუფები კვლავაც მისი უნახავები დარჩნენ).

ტაძრის შიგნით ერთი შეხედვით, არაფერია, სიბნელეა და პირველყოფილ მიწურს ჰგავს, შეიძლება ვერცკი შენიშნოს მნახველმა, რომ გუმბათქვეშა მარჯვენა მკლავში ქვით ნაგები ბალდახინია — საფლავზე აგებული ძეგლი, რომელიც ანა-ხანუმს უდროოდ გარდაცვლილი მეუღლისთვის, საქართველოს მდივანბეგ ედიშერ ერისთავისთვის აუგია.

როგორც აღმოჩნდა, უცხოელების მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც მეგზურობას ბატონი პროფესორი უწევდა, პოლონეთიდან იყვნენ, მაგრამ იმ მხარიდან, რომელიც რუსეთის მიმართ დადებითი განწყობითაა ცნობილი. პროფესორი ინგლისურად აცნობდა სტუმრებს ანანურის ისტორიას და გადმოგვილაპარაკა, ახლა ნახონ როგორ ექცევიან მათი საყვარელი რუსები ისტორიულ ძეგლებსო. პროფესორმა განკარგულება გასცა, ვისაც რა გაქვთ, შუქი გამოუშვითო და დავიწყეთ მობილურებისა და სანთებელების ჩხაკუნი. ახლა ზემოთ მიანეთ, ბალდახინის თაღსო. მივანათეთ და მტრისას! სადაც კი ადამიანის ხელი მიწვდენია, ყველა კუთხე-კუნჭულში ვანდალიზმის გამოვლინება ვიხილეთ. ათასგვარი თარიღია, 1951, 1959, 1966, 1971, 1974, 2001, 2007 და ა.შ წლები, ერთი 2009 წელიცაა გამოკვეთილად; ათასგვარი სახელები და ქალაქები, მართლმადიდებელი რუსული თუ მუსლიმანური, რაც ყველაფერს შეიძლება დავაბრალოთ, მაგრამ ზურა, მამუკა და ედიკო რომ ქართულად წერია, ის რას უნდა მიეწეროს? — ეს ის შემთხვევაა, ალბათ, როცა სირცხვილზე საუბარი სირცხვილია...

ერთი რამ მაინც ვერ გავიგეთ, რატომ არის ჩარაზული წლების „ღვთაება“? გასაგებია, რომ „ღვთაებაში“ წყალი ჩადის და შესაკეთებელია გუმბათი, დაზიანებულია ფრესკა (აზიანებენ), მაგრამ ჩაკეტილი თუ იქნება პრობლემები მოგვარდება? გუმბათი უნდა შეკეთდეს, ფრესკა(ებ)ს რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს, ხოლო, რა სურათიც დღეს არის, ქვეყანას უნდა მოედოს და იმგვარი ზომები იქნას მიღებული, მსგავსი რამ აღარ (ვეღარ) განმეორდეს.

როდესაც საკუთარ სახლში ვინმე ზურა, მამუკა, ედო და ბევრი სხვა ასე იქცევა, იერუსალიმში შოთა რუსთაველის ფრესკას რომ სახე ამოუჩორკნონ ვიღაცებმა, რაღა გასაკვირია...

(გაგრძელება იქნება)

მოგზაურობის მსურველებს შუძლიათ დაუკავშირდნენ ტელეფონზე 598 73 12 22




## მურაზ ნაგიევი:

# მე სამუდამოდ მივდივარ საქართველოდან...

## ამბავი, რომელიც მინდა მოგიყვეთ, არავინ იცის. არც ოჯახის წევრებმა და არც მეგობრებმა

**ამ მონათხრობის ავტორი მურაზ ნაგიევი 2005 წელს გავიცანი. მითხრეს, საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა მოლააო. მაშინ მურაზი 21 წლის იყო და უკვე ისე კარგად იცოდა ყურანი, ასაკოვანი მუსულმანებიც კი უსმენდნენ მის ქადაგებებს. ხშირად გვსტუმრობდა რედაქციაში და შეიძლება ითქვას, დავმეგობრდით კიდეც.**

**ნაციონალური მმართველობის უკანონობებს ვერ ეგუებოდა და რამდენიმე ინტერვიუც მოგვცა იმ კანონდარღვევების შესახებ, რაც მის ირგვლივ და კერძოდ, მის მშობლიურ მცხეთაში ხდებოდა მაშინ.**

**მას ქართული სკოლა აქვს დამთავრებული და საქართველო თავის ერთადერთ სამშობლოდ მიაჩნია.**

**სწორედ ამ პატრიოტული სულისკვეთების გამო ჩვენი საშუალებით დაუკავშირდა მას ცნობილი მსახიობი და პატრიოტი მამულიშვილი ზურაბ ქაფიანიძე, რომელიც შემდეგ, როცა მურაზი ქართველ, წარმოშობით მეგრელ გოგონაზე სოფო ჭითანავაზე დაქორწინდა, თამადაც ბრძანდებოდა ქართულ-აზერბაიჯანულ სუფრაზე.**

**მურაზ ნაგიევი ცხონებულ ზურაბ ქაფიანიძეს ახლაც მამობილად თვლის...**

**რამდენიმე წლის წინ მურაზი ჩემთან მოვიდა და მითხრა: ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის კავშირი დავაფუძნეო. იგი აქტიური ადამიანია და მისგან ეს ინიციატივა არც გამკვირვებია.**

**დღეს კი მურაზ ნაგიევი ქართველ მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად საქართველოდან სამუდამოდ წასვლას აპირებს. თუ რატომ — საუბრის ჩანაწერის წაკითხვისას მიხვდებით.**

**ირანდა კალანდაძე**

**მურაზ ნაგიევი:**

2006 წლიდან 2007 წლამდე, წელიწადი და ექვსი თვე თურქეთში ვცხოვრობდი.

იმ ხანებში სტუდენტი გახლდით, პოლიტიკურ აკადემიაში ვსწავლობდი ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ გადავედი ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. სამი თუ ოთხი თვე ვსწავლობდი იქ. ამ პერიოდში დამიკავშირდა ერთი ჩემი ძველი მეგობარი, რომელიც წლები იყო გასული, რაც არ მენახა. შევხვდით. მოვყევით იქაური ამბები, აქაური. მომიყვა თავისი ოჯახისა და სამსახურის შესახებ. ამ უკანასკნელზე მითხრა: ჩემს სამსახურში შენნაირი კაცის დახმარება გვესაჭიროებაო. იმავე დღეს წავედით მასთან სამსახურში, კეკელიძის 8 ნომერში.

**— რა დაწესებულება იყო?**

— თავიდან არ ვიცოდი, რა სამსახური იყო. რომ მივედით, იქ მითხრა: ეს არის **საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურიო**. ჩვენთვის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია რუსეთთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, როდის აპირებენ ცხინვალში განლაგებას, რა ხდება როსტოვშიო და ა.შ. და შემომთავაზა, შეგიძლია თუ არა, წახვიდე როსტოვში და იქედან ინფორმაციები გამოგვიგზავნოო. მე თანახმა ვიყავი, მაგრამ ვუთხარი, რომ კარგად ვერ ვფლობდი რუსულ ენას. იმ პერიოდში მამაჩემი როსტოვში მუშაობდა. მათ იცოდნენ ამის შესახებ და როგორც ჩანს, სპეციალურად შემომთავაზეს როსტოვში გამგზავრება. ერთი კვირის შემდეგ კვლავ შევხვდით. მანამდე ტელეფონზე დამირეკა და მკითხა, შემეძლო თუ არა ოჩამჩირეში წასვლა. ოჩამჩირეში მაშინ აფხაზეთიდან შეიძლებოდა გადასვლა. ამიტომ დავპირდი, გავარკვევ თუ შევძლებ და შეგატყობინებ-მეთქი. მოკლე დროში ვერაფერი გავარკვიე, ამიტომ კვლავ შეხვედრა მთხოვა: მოდი, აქ დავილაპარაკოთ დეტალებზეო.

მივედი ისევ მასთან, დაზვერვის სამსახურში, და ვუთხარი: რომ მოვახერხო და წავიდე ოჩამჩირეში, რა მიზნით უნდა წავიდე, ამიხსენით, მინდა ვიცოდე-მეთქი.

ოჩამჩირედან კონტრაბანდული ტვირთი კერძოდ, ნახშირი გადადის თურქეთში. გვაინტერესებს, რომელ გემს გააქვს, ეკიპაჟის რაოდენობა, წევრთა ვინაობა, ეროვნება და ა.შ. ვისაუბრეთ ამ საკითხებზე და დავგეგმეთ, რომ მე თურქეთში მოვეწყობოდი სამუშაოდ გემზე და წავყვებოდი შემდეგ ამ გემს ოჩამჩირეში.

სამ დღეში მოვემზადე და გავემგზავრე ქალაქ ტრაპიზონში. იქ არავის ვიცნობდი. ვისთან მივდიოდი, ისიც არ ვიცოდი, უბრალოდ, ადგილზე რომ ჩავიდოდი, სამუშაო უნდა მეშოვნა. ფული მქონდა, მათ მომცეს ორი თვის სამყოფი თანხა სასტუმროსთვის და სხვა აუცილებლობებისთვის. ერთი სიტყვით, პორტის სიახლოვეს, უკეთეს შემთხვევაში, თვით პორტში, სამუშაო უნდა მეშოვნა.

ტრაპიზონში გავიცანი ერთი აზერბაიჯანელი ქალი, ჩემზე ასაკით უფროსი, მოვეწონე, დამიახლოვდა და დახმარება აღმითქვა. იმ ქალმა გადამიყვანა სასტუმროში და სამსახურსაც გიშოვიო, დამპირდა, თან მკითხა: სად გინდა, რომ იმუშაოო?! პორტში მირჩევნია-მეთქი. მეორე დღესვე პორტში მუშაობა დავიწყე. მოვხვდი ბრიგადაში, რომელიც გემს ტვირთავდა ნებისმიერი საქონლით. იქვე ნახშირით დატვირთული გემებიც ჩერდებოდა. იქ იდგნენ რუსულნომრიანი, რუსული დროშით მცურავი გემებიც. გადავიღე ფოტოები, ჩავინიშნე ნომრები, გემების რაოდენობა, მოძრაობის გრაფიკი და განრიგი, ნახშირის ტვირთები რომელ გემებს მიჰქონდათ და სად ხდებოდა მისი რეალიზაცია. პორტში ხომ ვმუშაობდი, თან ნახშირის გადამამუშავებელ ქარხანაშიც დავიწყე მუშაობა. იქ გავარკვიე, რომ არა მხოლოდ აფხაზეთიდან, არამედ ციმბირიდანაც შემოდიოდა ნახშირი, მაგრამ, კონკრეტულად, რომელ რუსულ გემს შემოჰქონდა, ეს არ ვიცოდი. გახსნილი მქონდა ელექტრონული ფოსტა yahoo.com-ზე, რომელზეც შეტყობინებებს, მათი მითითებით, არ ვაგზავნიდი. შეტყობინებებს ვტოვებდი „ჩერნავიკებში“, სადაც კოდირებული სიტყვებით ვინახავდი ინფორმაციას.

პირველი დავალება ასე დასრულდა.

ჩამოვედი საქართველოში. მომცეს ლეპტოპი, სადაც უნდა ჩამეწერა ყველაფერი, რაც გადამხდა თურქეთში იქ ჩასვლის პირველივე დღიდან. ერთ კვირაში მთელი ისტორია ჩავწერე. აბსოლუტურად ყველა დეტალი. რომელ სახლში კარი საიდან იღებოდა და რამდენი კიბე იყო ასავლელი. იქ მცხოვრებლებს რა ერქვათ, რა გვარისა იყვნენ, რას საქმიანობდნენ და ა.შ.

ერთი კვირის შემდეგ სხვა დავალება მომცეს. უნდა წავსულიყავი კვლავ თურქეთში, რომელიმე ეკიპაჟში მოვხვედრილიყავი, რომ აფხაზეთში ჩავსულიყავი. დიპლომის გარეშე ეკიპაჟში არ ჩამსვეს.

კვლავ საქართველოში გამომიძახეს და მესამე, როგორც თვითონ მითხრეს, ამჯერად უფრო სერიოზული დავალება შემომთავაზეს. თან დასძინეს, შეგიძლია იფიქრო და ან თანხმობა თქვა, ან უარიო, გემის აფეთქება თუ შეგიძლიაო. გამეცინა, მეგონა, მეხუმრებოდნენ. სერიოზულად ვამბობთო, ქვეყნის მთავარსარდლის ბრძანებააო, სააკაშვილისო.

**— სააკაშვილისო?**

— კი, სააკაშვილისო. შენ იქ ყველაფერი იცი, სანამ სხვა ვინმე გაერკვევა, დრო გავა, ჩვენთვის კი რაც მალე იქნება, მით უკეთესიო. მოიფიქრე და შეგვატყობინეო.

გემი უნდა ყოფილიყო აუცილებლად რუსული, რომლითაც ნახშირი შედიოდა აფხაზეთიდან თურქეთში. რომელი გემი უნდა ყოფილიყო, ეს უკვე დადგენილი იყო, ნომერიც ცნობილი იყო. აფხაზეთი ჩვენი ტერიტორიააო და ჩვენი ტერიტორიიდან რუსეთს ნახშირი გააქვსო, — ამაზე საუბრობდნენ.

მე ვუთხარი: ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ იმ პირობით, თუ ამ აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყვება-მეთქი.

ჩემმა მაგობარმა ვიღაც უცნობთან დარეკა. ყურმილი რომ დადო, მითხრა: კარგი, ასე იყოსო.

შევუდექი საქმეს. დიდხანს

18 gv.



## თბილისის მოსახლეობას კომუნალური ვაუჩერების თანხა დღეიდან დაერიცხება

თბილისის მოსახლეობას კომუნალური ვაუჩერების თანხა დღეიდან დაერიცხება ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, თბილისის მოსახლეობას კომუნალური ვაუჩერების თანხა დღეიდან დაერიცხება. როგორც თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ ზამთრის სეზონის მზადებასთან დაკავშირებით მერიაში გამართულ თათბირზე განაცხადა, სოციალურად დაუცველი ოჯახები 250-ლარიან, დანარჩენი აბონენტები კი 100-ლარიან ვაუჩერს მიიღებენ.

“ვაუჩერი ამ წლის ნოემბერ-დეკემბერში დარიგდება იმ სქემით, რა სქემაც იყო დამტკიცებული. ცვლილება არ მომხდარა, თუმცა ჩვენ გავზარდეთ დაფინანსების მოცულობა, როცა სექტემბერში შევცვალეთ ბიუჯეტი, ვინაიდან, სოციალურად დაუცველთა ბაზაში შეტანილმა ცვლილებებმა დამატებითი დაფინანსების საჭიროება წარმოშვა”, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

17 gv.

# მე სამუდამოდ მივდივარ საქართველოდან...

ვუთვალთვალე, მაგრამ ისეთი მომენტი ვერ დავიჭირე, გემი რომ ცარიელი ყოფილიყო. მე ვატყობინებდი — გემი ეკიპაჟის გარეშე არ რჩება-მეთქი. მაშინ მითხრეს: ამხელა საქმე კეთდება, როგორც ხედავ, უმსხვერპლოდ არ გამოდის, ამიტომ თვალი უნდა დახუჭო და ააფეთქო, სხვა გზა არ არისო. მე წინააღმდეგი ვიყავი და ვუთხარი კიდეც: ნახევარ მილიონ ევროდ კი არა, ათ მილიონ ევროდ არ გავაკეთებ ამ საქმეს და ადამიანებს ვერ დავღუპავ-მეთქი.

მივხვდი, ეს საქმე რომ გამეკეთებინა, ცოცხალს აღარავინ დამტოვებდა. მეორე დღესვე წამოვედი საქართველოში. არც ელექტრონულ ფოსტაზე დამიტოვებია არავითარი შეტყობინება, ტელეფონიც გავთიშე და საქართველოში სახლშიც აღარ მივსულვარ. ხან სად ვათევდი ღამეს, ხან — სად. დავხეტიალობდი თბილისში დღისით და ღამით. სად წავსულიყავი, ვისთვის რა მეთქვა, არ ვიცოდი. ჩემი თავისაც მეშინოდა, რაიმე არ წამომცდეს-მეთქი. ერთ დღეს მეტრო „დელისთან" ინტერნეტკაფეში შევედი. ელექტრონული ფოსტა გავხსენი, მაინტერესებდა, რაიმე შეტყობინებას ხომ არ მიგზავნიდნენ. შევედი თუ არა ჩემს ფოსტაზე, ხუთ წუთში ინტერნეტკაფეში 5 თუ 7 კაცი შემოვიდა, დაზვერვის თანამშრომლები. ჩამსვეს მანქანაში და წამიყვანეს. იქ დამიწყეს საყვედურები — ეს რატომ გააკეთე, ეს რა გვიქენი?! ჩემი ძველი მეგობარი წუხდა, სამსახურიდან გამათავისუფლებენო და ა. შ. მე ვუთხარი: შენ სამსახურიდან გაგათავისუფლებენ, მე რას ვაკეთებდი, არ ვიცოდი, დავალება პრეზიდენტიდან მოდისო, მითხარით და რაში იყო საჭირო ეს ამბავი, არ მითხარით, ასე უცოდინარმა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე როგორ დავდგე, მით უფრო, რომ იქ ხალხიც იხოცებოდა, აგერ, სქემა, ყველანაირი ინფორმაცია გადმოგეცით, მოიყვანეთ ვინმე, ჩავსვამ იმ სამუშაოზე, სადაც მე ვმუშაობდი ტრაპიზონის პორტში და, მიდით, გააკეთეთ, მე თავი დამანებეთ-მეთქი. ამასობაში შემოვიდა სხვა თანამშრომელი, რომელსაც არ ვიცნობდი და თქვა: უფროსი მოდისო. ცოტა ხანში ბეჟუაშვილი შემოვიდა.

**— გელა ბეჟუაშვილი?**

— დიახ. დამიჯდა წინ და მითხრა: ჩვენთან რაინდი ხალხი მუშაობს, შენზეც მითხრეს, მაგარი ბიჭიაო, ბევრი კარგი რამ აქვს გაკეთებულიო, ბევრისთვის კიდევ მზადააო. ახლა რა ჰქენიო? — ქვეყანა შეარცხვინეო. მე ვუპასუხე: ქვეყნისთვის ახლაც გავწირავ თავს, მაგრამ უნდა ვიცოდე, რომ ეს ქვეყანას წაადგება-მეთქი. მით უფრო, რომ ჩემი ოჯახის წევრებმა არაფერი იციან, მოვკვდები თუ გავქრები, სად მეძებონ? მე თამაშიდან გავდივარ-მეთქი. სვანს გავაგებინებ და ამას ვერაფერი ვერ გავაგებინეო, თქვა ბეჟუაშვილმა და გავიდა ოთახიდან.



გამომიშვეს.

მას შემდეგ მათთან კონტაქტი აღარ მქონია და დღემდე არ ვიცი, ის ჩემი ძველი ნაცნობი სად არის და რას აკეთებს.

რაც შეეხება სასწავლებელში აღდგენის დაპირებას, ისიც არ შესრულდა და საბოლოოდ სასწავლებლიდანაც გამომიშვეს.

სამუშაოსაც ვერსად ვერ ვიწყებდი. თუ სადმე მივიდოდი, ყველას აფრთხილებდნენ: საშიში კაცია და არ მიიღოთ სამსახურშიო.

2008 წელი იყო და მე კვლავ თურქეთში გავემგზავრე. ექვსი თვე იქ ვიმუშავე. ექვსი თვის შემდეგ ჩამოვედი საქართველოში. გადავწყვიტე **ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის კავშირი** დამეფუძნებინა. ამასობაში ჩემთან კონტაქტზე ანტიტერორისტული ცენტრი გამოვიდა. ისეთ თემებთან გექნება შეხება, ჩვენთან კონტაქტის გარეშე მაინც ვერაფერს ვერ იზამო, მეუბნებოდნენ. ისე შემაწუხეს, რამდენიმე თვე, საერთოდ, ყველანაირი აქტივობა შევწყვიტე, თუმცა კონფლიქტოლოგიაზე თემა უკვე მქონდა დამუშავებული და გავაგზავნე ჩემს თანამოაზრეებთან ერთად გაეროში. როგორც შემდეგ გავიგე, გაეროს წარმომადგენლები შსს-ს დაკავშირებიან იმის გასარკვევად, იცნობდნენ თუ არა ჩვენნაირ ხალხს და კვლავ ანტიტერორისტული ცენტრი დამიკავშირდა — ჩვენთან სტუმრები არიან, რომელთაც შენთან შეხვედრა უნდათო. იქ გაეროს ორი წარმომადგენელი დამხვდა. მითხრეს: თქვენი პროექტი განვიხილეთ და თანამშრომლობის სურვილი გვაქვსო. ჩვენს შორის შუამავალი შსს იქნება, მანქანა დაგჭირდება,



ზახედანში

ხალხი, სხვა რესურსი, შსს დაგეხმარებაო, მაგრამ გვაქვს შემოთავაზებაც: ირანსა და პაკისტანს შორის ქალაქ ზახედანში სერიოზული დაპირისპირებებია შიიტურ და სუნიტურ დაჯგუფებებს შორის. ვიცით **შეიხ აბდულ ჰამიდის** შესახებ, რომელიც ქალაქ ზახედანში, მეჩეთ ალ-მექში ყოველ პარასკევს ქადაგებს, გვსურს ჩახვიდე, მოუსმინო, რას ქადაგებს და რა მიზნები აქვსო. მე ვიცოდი, ამ ქალაქში **ბინ ლადენი** იმყოფებაო, რომ ამბობდნენ. ისიც ვიცოდი, რთული იყო იქ შეღწევა. თუ შეხვიდოდი, უსაფრთხოდ 10-20 მეტრსაც ვერ გაივლიდი, ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა აფეთქება მომხდარიყო.

**— ჩახვედი ზახედანში?**

— ჩავედი, შეიხ აბდულ ჰამიდსაც შევხვდი და საქმეც გავაკეთე.

**— როგორ?**

— ხელთ ჩემი ორგანიზაციის მოწმობა მქონდა. ვიქირავე სასტუმროს ნომერი და აბდულ ჰამიდის ქადაგების მოსასმენად გავემზადე. ამასობაში სასტუმროში შემოვიდა ათამდე სამხედროფორმიანი. უკითხავთ ტურისტი ვინ არის აქაო. მიუთითებიათ ჩემზე და შემოვარდნენ ჩემს ნომერში პოლიცია, შეიარაღებული ხალხი, სამხედროები. წამოგვყევი სასწრაფოდ! — მიბრძანეს. არ ვიცოდი, სად მივყავდი, ვინ იყვნენ, რა უნდოდათ. მივყვებოდი და ვფიქრობდი: დაიწყება ახლა ჩემი წამება, ჩამომკიდებენ ფეხებით და მაწამებენ-მეთქი. ჩამსვეს მანქანაში, შემომისხდნენ აქეთ-იქიდან იარაღში ჩამჯდარი ხალხი. ვინ ხარ, ბოლო-ბოლოო? მე ამოვიღე მოწმობა, ვუთხარი: ქრისტიანული ქვეყნიდან ვარ, ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის და კავშირის ორგანიზაცია მაქვს შექმნილი და შეიხ აბდულ ჰამიდთან მინდა შეხვედრა-მეთქი. ირანის ქალაქებში დავდივარ, ქადაგებებს ვესწრები, ამ ქალაქშიც ამიტომ შემოვედი, მეტი არაფერი ვიცი-მეთქი, მოვიტყუე. აქო, ტურისტებს იტაცებენო, კლავენ, აწამებენ, ხან ცვლიან,. ხან ყიდიანო, თან ასე ჩაცმული, ვიღაცას ამერიკელი, ან გერმანელი ეგონებიო. თეთრი პერანგი და შავი შარვალი მეცვა. იქ ასე ჩაცმული არავინ დადის, კაცებს თეთრი კაბები აცვიათ. მოკლედ, ამ პოლიციელებმა მეჩეთთან მიმიყვანეს, როგორც შევატყვე, თვითონაც ეშინოდათ იმ მეჩეთთან მიახლოების, რადგან ესენი არიან ხელისუფლების სამართალდამცავები, ისინი — შეიარაღებული ხალხი. მეჩეთის დაცვას ჩემი თავი წარუდგინეს — სტუმარიაო. სტუმარიო? — გაუკვირდათ. ატეხეს ფაციფუცი, მოიყვანეს აბდულ ჰამიდის პირადი დაცვა. გაუკვირდათ. სტუმარს არავის ველოდებოდითო, თქვეს. მერე მკითხეს, საიდან ვიყავი. გურჯისტანიდან-მეთქი. იმათ გაიგეს ქურთისტანიო და იძახეს ქურთისტანი და ქურთისტანიო. თურმე იქ ქურთები ყოფილა უმრავლესობა მლოცველებს შორის. აიშალა ეს ხალხი და ყველა ჩემს სანახავად გამოეფინა. მერე აბდულ ჰამიდის დაცვის უფროსი მომიახლოვდა, მაღალი, წვერებიანი, კუშტი შესახედაობის კაცი იყო: ქურთისტანიდან ხარო? — მკითხა. გურჯისტანიდან-მეთქი, აი, 2008 წელს რუსებს რომ ეომა, იმ ქვეყნიდან-მეთქი. დარეკეს შეიხთან. იმან ბრძანა, პირდაპირ ჩემთან მოიყვანეთო. წამიძღვნენ წინ. გაოგნებული ვიყავი. დავალება მქონდა — შეიხის ქადაგებისთვის მომესმინა ათასობით მორწმუნესთან ერთად და მე უცებ თვით შეიხს უნდა შევხვედროდი პირისპირ. შემიყვანეს ოთახში, სადაც რამდენიმე სასულიერო პირთან ერთად აბდულ ჰამიდი იმყოფებოდა. ისედაც ვიცოდი, ესენი სალაფიტები, ანუ აგრესიული მუსულმანური სექტის წევრები რომ იქნებოდნენ. სალაფიტები შიიტებს ხოცავენ და ერაყში გამალებული ბრძოლები აქვთ, ტერაქტებს აწყობენ, მშვიდობიან ხალხს ხოცავენ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**(გაგრძელება იქნება)**

## თავდაცვის სამინისტროს დაკავებული თანამშრომლები დაკავების საქმეზე გრიფის მოხსნას ითხოვენ

ამის შესახებ გლდანის ციხის კარანტინის განყოფილებაში დაკავებულების მონახულების შემდეგ ადვოკატმა ლევან სამუშიამ ჟურნალისტებს განუცხადა. იგი იმედოვნებს, რომ მათ დღეს მაინც გადაიყვანენ საკნებში.



ჟურნალისტის შეკითხვაზე, დაკავებულებს ხომ არ ჰქონიათ საუბარი ფსიქოლოგიურ ან ფიზიკურ ზეწოლაზე, ადვოკატმა უპასუხა, რომ მსგავსი განცხადებით მისი დაცვის ქვეშ მყოფებს ჯერჯერობით არ მიუმართავთ. ადვოკატის თქმით, ხუთივე მათგანი წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს და ითხოვს მათი დაკავების საქმეზე გრიფი მოიხსნას.

„ვინაიდან პროკურატურამ გაკეთებული საჯარო განცხადებით, შავი პიარით გაახმაურა საიდუმლო მასალები, ამ საქმეზე გრიფის არსებობას აზრი აღარ აქვს. თუკი არ მოხდება გრიფის მოხსნა, ჩვენ ვერ განვახორციელებთ სრულფასოვან დაცვას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, ადვოკატმა ლევან სამუშიამ სააპელაციო წესით უკვე გაასაჩივრა. იგი იმედოვნებს, რომ „ოდნავ სამართლიანობის პირობებში, მისი საჩივარი დაკმაყოფილდება".

მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები 28 ოქტომბერს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მოქმედ თანამდებობის პირებს ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვა ედებათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მთავარი პროკურატურის მიერ დაკავებულნი არიან: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტების მაღალჩინოსნები: გიზო ლლონტი; ნუგზარ კაიშაური; გიორგი ლობჟანიძე; არჩილ ალავიძე და დავით წიფურია.

**interpresnews.ge**

# რენე კალანდია



**ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, პოეტი ნამდვილ სიცოცხლეს გარდაცვალების შემდეგ იწყებს, როცა მისი ლექსები მის გარეშე მარტო რჩებიან დროსთან და მკითხველთან.**

**რენე კალანდიას, როგორც პოეტის, ახალი სიცოცხლე ახლა იწყება...**

**გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში გამოცემული მისი ლექსების ერთტომეული ნათელი დასტურია იმისა, რომ რენე უნიჭიერესი პოეტია, რომლის შემოქმედება დროის გამოცდას ნამდვილად გაუძლებს.**

**არა მარტო თავისი პოეზიით, თავისი კაცობითაც გამორჩეული იყო ჩემი ძმა და მეგობარი რენე, უზნეობასთან შეურიგებელი და უკომპრომისო, ბუნტარი, უშიშარი და თავისუფალი, მაშინაც კი ფხიზელი და სმენაგამახვილებული, როცა დროდადრო ღვინოს მიეძალებოდა.**

**მარადიული სიმშვიდე მარადისობაში გადასულ მის სულს და მარადიული სიცოცხლე მის ლექსებს.**

**ვახტანგ ხარჩილავა**

## რითმიანი იკაროსი

მე წავალ, წავალ გარდუვალი სივრცეებისკენ,
როგორც ფრინველი, შეღამების ფერთა მზირალი,
და შეიცხადებს ფერფლგადაყრილ წამების მიწებს
დღე — მაცქერალი

დაბადებათა... უდღეურთა ლურჯი ყვირილი,
ზრდა და სიკვდილი — უსასრულო ფუგა —
რეფრენი;
ტყვია. ცისფერი შეკივლება. მერე ტკივილიც, —
არ ძალმიძს ფრენა

ბუდეებისკენ... არ იქნება ჩემი სხეულის
ჩრდილი თუ ფორმა, არც თვალთა სევდა...
დამრჩება მხოლოდ დაძახილი — მკერდჩამსხვრეული:
— მადლობა, გხედავთ!..

## ტვირთის ვარიანტი

*ზაურს*

აწ და განკითხვის დღემდე უნდა გაკრთობდეს ბგერა
იმ შორეული სხივის ნათელით:
რაა სიკვდილი, როს არსებობს თვით ბედისწერა?..
სვეტიცხოველი. სხვისი სანთელი.
ჩაშავდა ღამე. ფართოვდება მრუმე წერტილი
ტვინში... ქალალდის გოლგოთა — თეთრი —
აგიყირავებს დალეწილ ფრთებს, და გაკვეთილი
უძლურებაა... განწირულს ღმერთი
შეგირჩევს ლურსმნებს, ისტორიულ ეკლიან გვირგვინს
(ბრბო ძელს აღმართავს ღრიალით ოდეს),
იტყვის: ისაა! ჟამი დადგა... თქვენია რიგი...

აღარ აჩქარდეთ, უმეცარნო!.. დაე, სტკიოდეს!..

## უკანასკნელი რევერანსი

მშვიდობით, თქვენო ბრწყინვალებავ... მე გეთხოვებით,
ვით ვენეციას ეთხოვება გონდოლიერი.
დუმს ეს საღამოც: მე „მახარეს“, რომ თქვენ
თხოვდებით, —
დაბრუნებულა უფლისწული — მეფის იერით...

დუმს ეს საღამოც. წყდება სიმი ვიოლინოსი
(აღარაფერიც მითქვამს, ნეტავ რად მერიდებით?)...
მე შემაშინა აზრმა: გავხართ უფლებამოსილს,
რომ ისარგებლოთ უნაყოფო სხვისი დიდებით...

**სილის საათი**... აქ გაძარცვულ სიზმართა წყება
ასკდება თვალთა სივრცეებს და ფიქრი — წამება —
ხანჯლის ტარია... არაფერიც არ გვავიწყდება:
გქონდეთ სახსოვრად არტისტული გარდაცვალება...

## ინტელექტუალური ბარათი

ძველი რიგა. გაცვეთილი ქვაფენილი. ბაროკო,
კრამიტები — სევდა წიგნის გარეყდა —
გარდასული საუკუნის... გაგახსენდი? დარეკე!
გინახულებთ მე და ჩემი კარეტა.

ძველი რიგა. წმინდა პეტრეს მამალი და გუმბათი.
ბახის ფუგა... მერე უცებ: რა გქვიათ:
გარდასული... გაგახსენდი? გადაიღე სურათი;
**პროვინცია, ძველი მისამართია...**

ძველი რიგა. შაკსის ქუჩა. დაუგავა ბებერი.
ისტორია — ლურჯი კარიატიდა.
გარდასული... დაგავიწყდა ჩემი თხოვნა; სეტერი...
ლეკვი, ძაღლი არ მინდა.

ძველი რიგა. საღამოა... ლუდის ბარი. სიახლე?
გოგო, სენტიმენტები...
გარდასული... დაგავიწყდა? წაიკითხე ხელახლა
ვ. გოეთეს „ვერთერი“.

ძველი რიგა. გაცვეთილი ქვაფენილი. ბაროკო.
გაგახსენდი?
დარეკე...

## სიკვდილი ღამის ბარში, ანუ დილან თომასის პორტრეტი

*მე ყველაზე ლოთი კაცი ვარ მსოფლიოში...*
*დილან თომასი*

ის ეძიებდა, ის ეძიებდა, ის ეძიებდა... სიკვდილს!!!
არ მოდიოდა ოხერი, ჩუქნიდა ლოთის სახელს...
ის იკორტნიდა სიცოცხლეს, შემდეგ არწყევდა გზისპირს,
დაღმა მავალს ცხოვრებაც უტყლაშუნებდა სახრეს...

თქვენი ალაფი — დიდება, თანამდებობა ახალი!..
თქვენი ბრჭყვიალა ორდენი — სურნელოვანი დაფნა,
მის ლოთობაში რჩებოდა შთამომავლობის სამხილად
და მიფრინავდა სივრცეში ცდომილი სულის აფრა...




დაგესიზმრებათ განა? — მისი შიშველი ღამე;
ჯვარედინები, კვნესა, შებღავლება და წუთი,
როცა პოეტი იყო ცისფერი, როგორც ნამი,
და ცარიელი, როგორც ბებო პანდორას ყუთი...

და მაინც, მაინც, ოხრებო, როდესაც ჟამი დგება,
თქვენ ეტმასნებით ლოთ ლანდს, და ვით ძირდიდა
ჰყვავით...

უფსკრულთან დილან თომასი ისე სულგრძელი ხდება,
ვერას შებედავს მის ლეშს თავად სამეფო ყვავიც...

## ჰა!..

*ულდის ბერზინშს*

ჰა. დავმარხეთ კოლეგა. ის ფიჭვნარში დანებდა
უფალს... და ჰა, ტიტები საფლავს ჩუმად მოვფინეთ,
„სამი ადლი მიწაა“, როგორც ბრძენი ბრძანებდა,
კარგად ვიცით, უფალი იგივეს გვამყოფინებს...

ჰა, მივდივართ პოეტის საყვარლის ლურჯ ბინაში,
ჰა, გაშალეს სუფრა და ქელეხია ნამდვილი,
ჰა, იღვრება არაყიც და ლექსების წინაშე
ქრება ყოვლადძლიერის ცელიანი აჩრდილიც...

ჰა, დავთვერით, წავედით... ველოდებით ელმავალს...
ჰა, პატარა ქალაქის პაწაწინა სადგურში
კვნესის ჩვენი მეგობრის ვიოლინო, ელვარე
ხემი გულში გაჩრილა ხალხის აურზაურში...

ჰა, დამთავრდა ლოდინიც... და კივილით შეშლილის —
ელმავალი... ავედით და, ჰა, ჟამის მგზავრები
უცხო ქალიშვილებთან ფლირტით, ლურჯი ეშმაკით
სხვა სადგურზე ჩავდივართ — გ...ამურული აღგზნებით...

## მესამე ზარი

უკვე დრო არის, შეიფერო გიჟის ხალათიც,
უკვე დრო არის, დაინახო თავად უფალიც,
უკვე დრო არის, მიუგდო ტანჯვა — ალაფი —
დავლა... ჟამია უკვე შენი ხელისუფალი...

ჟამი, როც ღამე სტრიქონებად აგიჯანყდება,
ჟამი, როს ღამე სიზმრის მახვილს აგიტრიალებს,
ჟამი, როს ღამე შეძახილით აყირავდება,
ჟამი, როს წრეში ფრთამოჭრილის ცრემლით წრიალებ...

შემკრთალი ხელი ეფერება ვიოლინოს სიმს,
დაღლილი ხელი — შორი სივრცის სხივს ელოდება...
მიდიხარ, როცა სამოთხეში უსაშველოდ წვიმს
და ჯოჯოხეთშიც ძე კაცისა არ გელოდება...

* * *

ჩემი ნაცნობი ხეც მომკვდარა — ხე მარტოსული,
ხე — ნაღვლიანი — სანაპიროზე
რომ იდგა... იქნებ, მოგკლეს? — ახლა მისი წარსული
რვაფეხასავით აცეცებს რტოებს
გადაღლილ ტვინში... უცებ მესმის ნავმისადგომიდან
ყრუ დაძახილი:
— გვიანღა არის! — განშორტების ჟამი მოვიდა.
დადე მახვილი!

## სამეგრელო: ზამთარი

ყრუ ღამეებში ძველი ლექსები
ყმუიან — თოვლზე ბებერი მგლები...
თვით საფლავს არვის დაესესხები,
თებერვლის ფაშვში უსიტყვოდ წვები...

დუმილის ლოდი... აწ მხოლოდ წვეთის
წკარუნის რიტმი დროგამოშვებით
გაკრთობს ვით ჟამი... ტვინს ბურღავს, ერთვის
კითხვა: გაწყდება?.. როდის მორჩება?!

სევდის ჭერი და დარდის ბალიში:
გულაღმა გდიხარ — მკვდარი ფრინველი...
და უსასრულო ლოდინი გიშლის,
იხილო სხივის გზა — საკვირველი...

# მისთვის იუმორის გრძნობას სიკვდილის წუთებშიც კი არ უღალატია

ინგლისელი მოაზროვნე, მწერალი, მოგვიანებით წამებულად აღიარებული თომას მორი (1478–1535) დაიბადა შეძლებული ლონდონელი იურისტის ოჯახში.

1516 წელს გამოიცა თომას მორის „უტოპია", ასეთი სათაურით: „უთვალსაჩინოესი და ენამზეობით გამორჩეული ვაჟკაცის, ლონდონის სახელოვანი მოქალაქის თომას მორის წიგნი სახელმწიფოს საუკეთესო წყობილებისა და ახალი კუნძულის – უტოპიის თაობაზე". ამ თხზულებაში ის აღწერდა იდეალურ, მაგრამ არარსებულ კუნძულს, სახელად უტოპიას, სადაც კერძო საკუთრება არ არსებობდა და ყველა მშრომელი ადამიანი თანაბარი იყო. აქვე თომას მორი გმობდა ფულით გატაცებას, როგორც სიხარბისა და ფუფუნებისკენ სწრაფვის წყაროს. 1529 წელს კარდინალ უოლსის ჩამოგდების შემდეგ მორი ინგლისის ლორდ–კანცლერი გახდა. ამის გამო მორი სულაც არ გამოხატავდა აღფრთოვანებას და ტრადიციულ გამოსვლაში ასე-




თი სიტყვა წარმოსთქვა: "მე ვფიქრობ, რომ ეს სავარძელი აღსავსეა შრომითა და საფრთხით და არა პატივით. რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო მეტია ვარდნის სიმძიმე".

მეფე ჰენრიხმა არ აპატია თომას მორს, რომ მორმა, როგორც ადვოკატმა, მეფეს პირველ ცოლთან განქორწინების საქმეში მხარი არ დაუჭირა.

პაპთან მეფის უთანხმოების საბაბად იქცა მეფის განქორწინების ამბავი. მეფეს სურდა, გაჰყროდა თავის პირველ ცოლს, ეკატერინე არაგონელს და დედოფლის ლამაზი სეფე–ქალი ანა ბოლეინი შეერთო ცოლად. მეფეს სჭირდებოდა პოლიტიკური მხარდაჭერა თავისი კანცლერისგან, თუმცა ეს მხარდაჭერა თომას მორისგან ვერ მიიღო. მორის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო რეპრესიები. მას სახელმწიფო ღალატსა და კენტერბერის მონაზვნის, ელისაბედ ბარტონის, მხარდაჭერაში დასდეს ბრალი, რომელმაც მეფეს დაღუპვა უწინასწარმეტყველა ანა ბოლეინზე დაქორწინების შემთხვევაში. 1534 წლის 17 აპრილს მორი ჩასვეს ტაუერის ციხეში, ჩამოართვეს ნაბოძები მიწები და მისი ოჯახი უსახლკაროდ დატოვეს. დაიწყო მისი ხანგრძლივი სასამართლო პროცესი.

1535 წლის 6 ივლისს დილაადრიანად ტაუერში მივიდა მისი მეგობარი თომას პაპი, რომელმაც აუწყა, რომ დასჯიდნენ დილის 9 საათზე, ოღონდ არა იმგვარად, როგორც პირვანდელი განაჩენით გადაუწყვიტეს, არამედ მას თავს მოკვეთდნენ. თავდაპირველი განაჩენით იგი უნდა ჩამოეკიდათ სახრჩობელაზე, სანამ სანახევროდ არ მოკვდებოდა, შემდეგ გადაჭრიდნენ თოკს, გაფატრავდნენ, მის სხეულის ნაწილებს დაკიდებდნენ ქალაქის კარიბჭეზე, თავს კი – ლონდონის ხიდზე. ასეთი იყო იმდროინდელი ინგლისი. განაჩენის შეცვლით გამოწვეული "შეწყალების" გამო თომას მორმა ასე წამოიძახა: "ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი მეგობრები ასეთი შეწყალებისგან". თომას მორს აუკრძალეს სიკვდილის წინ ხალხისთვის მიმართვა, რათა არ გამჟღავნებულიყო მისი სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი.

გამოჩენილ ადამიანთა სიკვდილით დასჯის შესახებ არსებული მასალების მიხედვით, არსად გვხვდება იმდენი ხუმრობა, რამდენიც თომას მორის შემთხვევაში. როდესაც ეშაფოტზე ადიოდა, მედილეგეს უთხრა: "დამეხმარეთ ასვლაში, ჩამოსვლას კი თვითონ შევეცდები". შემდეგ წარმოთქვა მცირე ლოცვა და ჯალათი გაამხნევა: "ცოცხლად, მეგობარო! ნუ გეშინია შენი მოვალეობისა, კისერი მოკლე მაქვს, კარგად დაუმიზნე, რომ არ შერცხვე". უკანასკნელი სიტყვებით კვლავ იხუმრა, – "ცოტა დამაცადე, წვერი გადავიწიო, მას ხომ ბრალი არ მიუძღვის სახელმწიფოს ღალატში".

თომას მორის სიკვდილმა ევროპაში დიდი გამოძახილი გამოიწვია. ინგლისის მთავრობას თავის გასამართლებლად ახსნა–განმარტებების დაგზავნა მოუწია უცხოეთის სამეფო სასახლეებში. თომას მორზე ბევრი ითქვა და დაიწერა, რომელთაგან აღსანიშნავია ერაზმ როტერდამელის მოსაზრება: „თომას მორი" მისი სული იყო თოვლზე უთეთრესი და უსპეტაკესი და იყო ისეთი გენია, რომლის მსგავსს ინგლისი ვეღარ წარმოშობს, თუმცა მას შემდგომშიც ბევრი ეყოლება დიადი ადამიანები".

# ცნობილი პოლიგლოტები

ლეგენდის მიხედვით, ბუდა 150 ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო მუჰამედმა მსოფლიოს ყველა ენა იცოდა.

თანამედროვე მსოფლიოში მრავალი ენაა. კერძოდ, რამდენი, ამაზე თვით ლინგვისტებიც ვერ გაგვცემენ პასუხს. დასავლელი აკადემიკოსები კონკრეტულ ციფრს ასახელებენ და ამბობენ, რომ მსოფლიოში 2796 ენაა. რუსი მეცნიერების მტკიცებით, 3 000-მდე. როცა საუბარია სხვადასხვა დიალექტზე, მაშინ რაოდენობა გაცილებით მეტია. დღევანდელი ლინგვისტები განსაკუთრებით არიან შეშფოთებული მსოფლიოში ენების კვდომის გამო. მმოსპობის ზღვარზე დგას დღეს ამერიკელ ინდიელთა 150, 200-ზე მეტი ავსტრალიელ აბორიგენთა და ახალი გვინეის 1000 ენა.





დღემდე არ არის დადგენილი, რა ხარისხით უნდა იცოდეს პოლიგლოტმა ესა თუ ის ენა.

თვით პოლიგლოტების ბიოგრაფიები კი ისე გამოიყურება, როგორც საინტერესო რომანი. თითოეული მათგანის ცხოვრებას თვალს თუ გადავავლებთ, მივხვდებით, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა.

საინტერესოა, რომ მსოფლიოში პირველი პოლიგლოტი პონტოელი მეფე მითრიდატე VI ევპატორი იყო. იგი თავისი მრავალეროვანი არმიით დიდ ხანს და წარმატებით ებრძოდა რომის იმპერიას. ამბობენ, რომ მითრიდატემ 22 ენა იცოდა და სასამართლოებზე მოღალატეებს თავიანთ ენაზე განსჯიდა.

აქედან გამომდინარე უწოდებენ, მაგალითად, ბიბლიის პარალელურ ტექსტებს „მითრიდატებს".

ძველ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი პოლიგლოტი, ეგვიპტის უკანასკნელი ქალი მმართველი, დედოფალი კლეოპატრა იყო. (60-30 წ. ჩვ.წ.-აღ.-მდე). მ„კლეოპატრას ხმა ალერსიანი იყო და ყურთასმენას ახარებდა. მისი ენა ჟღერდა, როგორც მრავალხმიანი საკრავი. მრავალრიცხოვან ბარბაროსებს ის თავიანთ ენაზე ელაპარაკებოდა, თარჯიმნის გარეშე. ბმისთვის ენობრივი ბარიერი არ არსებობდა ეთიოპიელებთან, ტროგლოდიტებთან, ებრაელებთან, არაბებთან, სირიელებთან, მიდიელებთან, სპარსელებთან.

ამბობენ, რომ მან შეისწავლა სხვა უცხო ენებიც, მაშინ, როცა მის მმართველობამდე მყოფი ეგვიპტის მეფეები თვით ეგვიპტურსაც კი ვერ ფლობდნენ". – ამბობს პლუტარქე.

ბერძნულის და ლათინურის გარდა მან 10-ზე მეტი ენა იცოდაო.

ლევ ტოლსტოიმ თავისუფლად იცოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, პოლონური, ჩეხური და სერბული. შესანიშნავად ლაპარაკობდა ბერძნულად, ლათინურად, უკრაინულად, თათრულად, ძველ სლავურად, თურქულად, ბულგარულად. შეისწავლა ძველი ებრაული და სხვა ენებიც.

ალექსანდრ გრიბოედოვმა კარგად იცოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ლათინური და ბერძნული ენები. სიცოცხლის ბოლო წლებში აქტიურად სწავლობდა თურქულს, სპარსულს და არაბულს.

რუსი მეიგავე კრილოვი ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ ენებს ფლობდა. მოგვიანებით ძველბერძნული და ინგლისურიც შეისწავლა.

რომის პაპი იოანე პავლე II 10 ენაზე ლაპარაკობდა. ამას გარდა ესმოდა კიდევ რამდენიმე ათეული ენა.

ნატალი პორტმანმა იმის გარდა, რომ იცის, ინგლისური და ივრითი, შეიწავლა ფრანგული, გერმანული, იაპონური და არაბული ენები.



# აინშტაინმა სამამდე დათვლა არ იცოდა?

ერთხელ აინშტაიანი და კომპოზიტორი ჰანს ეისლერი შემთხვევით შეხვდნენ პატარა წვეულებაზე. მასპინძლებმა იცოდნენ, რომ ის შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე და სთხოვეს დაეკრა მას ეისლერთან ერთად. ეეისლერი თანახმა იყო, აინშტაინმაც ააწყო ვიოლინო. მაგრამ რამდენჯერაც ეისლერმა დაკვრა დაიწყო, აინშტაინი ვერაფრით ჩაჯდა კომპოზიციაში. ჰჰანსი წამოდგა, დახურა როიალი და თქვა: მე არ მესმის, რატომ თვლის მთელი მსოფლიო გამოჩენილ და დიდებულ ადამიანად კაცს, რომელსაც არ შეუძლია სამამდე დათვლა?!

## აინშტაინი და ჩარლი ჩაპლინი

აინშტაინი გიჟდებოდა ჩარლი ჩაპლინის ფილმებზე. ერთხელ მან მისწერა ჩარლი ჩაპლინს დეპეშა: „თქვენი ფილმი „ოქროს ციებ-ცხე-



ლება", ჩემი აზრით, თქვენ მსოფლიოში ცნობილი ადამიანი გახდებით. აინშტაინი".

ჩაპლინმა უპასუხა: „მე თქვენით უფრო მეტად ვარ აღფრთოვანებული. თქვენი თეორიის არაფერი ესმის ნახევარზე მეტ მსოფლიოს, მაგრამ თქვენ მანც გახდით ცნობილი ადამიანი. ჩარლი ჩაპლინი."

**Bugaga.ru**

## მუსიკოსი აინშტაინი

ერთხელ ალბერტ აინშტაინმა გერმანიაში საქველმოქმედო კონცერტში მიიღო მონაწილეობა. გერმანელი ჟურნალისტი მოიხიბლა მისი შესრულებით და გვერდით მჯდომს ჰკითხა:

— ვინ არის ეს კაცი, ასე კარგად რომ უკრავს?

— როგორ ვერ იცანით? ეს ხომ აინშტაინია?!

— აჰ, დიახ, რა თქმა უნდა, — თქვა ჟურნალისტმა.

მომდევნო დღეს გაზეთში გამოქვეყნდა ნარკვევი დიდებულ მუსიკოსზე, ვიოლინოს შეუდარებელ შემსრულებელზე ალბერტ აინშტაინზე.

„დიდებული მუსიკოსი“ აღფრთოვანებული იყო. მან ამოჭრა გაზეთში ნარკვევი და სიამაყით აჩვენებდა ნაცნობებს:

— თქვენ მეცნიერი გეგონეთ? მე სახელგანთქმული მევიოლინე ვარ. აი, ვინ გახლავართ მე, სინამდვილეში. — გახარებული ამბობდა აინშტაინი.

## ბეთჰოვენის უცნაურობანი



ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი მუდამ გაუპარსავი დადიოდა, ფიქრობდა, რომ პარსვა მის შემოქმედებით მუხტს გააქრობდა. სანამ მუსიკის შესაქმნელად დაჯდებოდა, თავზე ერთ ვედრო ცივ წყალს ისხამდა, მისი აზრით, ეს ტვინის აქტიურ მუშაობას უწყობდა ხელს.

## შუმანს მუსიკას მენდელსონი „კარნახობდა“?



მოგეხსნებათ, შუმანი იმ მუსიკალური მიმდინარეობის წარმომადგენელია, რომელიც „მომავლის მუსიკის“ სახელით არის ცნობილი. კომპოზიტორი მდიდარ ოჯახში დაიბადა და მას შეეძლო ხელოვნების ნებისმიერი დარგი კარგად შეესწავლა, ხოლო მისი მეუღლე კლარა ვიკი შუმანის ცხოვრების შესანიშნავი მეგობარი იყო. მიუხედავად ამისა, 24 წლის ასაკში დეპრესიამ დარია ხელი და უკვე 46 წლისა ლამის ჭკუიდან შეიშალა. ეჩვენებოდა მოლაპარაკე მაგიდები, რომლებიც განსაკუთრებულ ბგერებსაც გამოსცემდნენ. დასაწყისში ცალკეულ აკორდებს, მერე მთელ მუსიკალურ ფრაზებს. ბეთჰოვენი და მენდელსონი თავიანთი საფლავებიდან კარნახობდნენ შუმანს ნაირნაირ მელოდიებს. ერთხელ შუმანი მდინარეში გადახტა, მაგრამ გადაარჩინეს. იგი მოგვიანებით გარდაიცვალა ქალაქ ბონში.

## ჰოფმანის სინოპტიკა



ეერნსტ თეოდორ ამადეი ჰოფმანი ფლობდა არა მხოლოდ შესანიშნავ ნიჭს პოეზიისა, არამედ მშვენივრად ხატავდა და ქმნიდა მუსიკას. თუმცა მისი ნახატები დასრულებული სახით ყოველთვის კარიკატურის სახეს იძენდა. მუსიკალური ნაწარმოებები კი ბგერების ქაოტური კრებული უფრო იყო, ვიდრე კარგი მუსიკა, ატმოსფერული მოვლენებისადმი ჰოფმანი იმდენად მგრძნობიარე იყო, რომ საკუთარ შეგრძნებებზე დაყრდნობით, მან ცხრილი შეადგინა, რომელიც ზუსტად ემთხვეოდა ბარომეტრს და თერმომეტრს. ცხოვრების ბოლო წლებში მას სტანჯავდა დევნის მანია და ჰალუცინაციები, რაც შემდეგ პოეზიაში გადაჰქონდა, თითქოს რეალურად მომხდარი ამბები ყოფილიყოს.

# საინტერესო ამბები ცნობილი ადამიანების შესახებ



* * *

დიდი ირლანდიელი, თანამედროვეობის უბრწყინვალესი გონება ჯორჯ ბერნარდ შოუ ყველაზე ცნობილი მწერალი და მოაზროვნე იყო შექსპირის შემდეგ იმ დრამატურგებსა და მწერლებს შორის, რომლებიც ინგლისურ ენაზე წერდნენ.

„პიგმალიონის“ პირველ წარმოდგენაზე შოუმ უინსტონ ჩერჩილს მისწერა: „აი, ორი ბილეთი ჩემი ახალი პიესის პრემიერაზე. ერთი თქვენ, მეორე თქვენს მეგობარს, თუკი გყავთ ასეთი“.

ჩერჩილმა უპასუხა: „სამწუხაროდ, ვერ ვიქნები პრემიერაზე, თუმცა მოხარული ვიქნები, რომ დავესწრო მეორე წარმოდგენას, თუკი შედგება ის ოდესმე“.

* * *

თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი ბერნარდ შოუმ პატარა სოფელ ეიოტ-სენტლორენსში გაატარა. როცა მას მეგობარი შეეკითხა, რატომ ამოირჩია ინგლისის ეს მივარდნილი კუთხე, შოუმ ის ახლომდებარე სასაფლაოზე წაიყვანა. აჩვენა საფლავი, რომელსაც ეწერა: „ჯეინ ევერლი. დაიბადა 1815 წელს, გარდაიცვალა 1895 წელს. მისი სიცოცხლე ხანმოკლე იყო“. ბერნარდმა მეგობარს უთხრა: თუ ქალბატონმა, რომელმაც აქ 80 წელი გაატარა და ეს იყო სიცოცხლის მოკლე დრო, მაშინ ეს არის კლიმატი, რომელიც ზუსტად მე მჭირდებაო, — თქვა მან.

* * *

ჩარლზ დიკენსი ყოველთვის იძინებდა ჩრდილოეთის მხარეს. ის ფიქრობდა, რომ თუ ჩრდილოეთისკენ დაწვებოდა, ეს მის მწერლურ შესაძლებლობებს გააძლიერებდა.



* * *

ყველაზე ცნობილი სამი დასავლური სახელი ჩინეთში, ეს არის: იესო ქრისტე, რიჩარდ ნიქსონი და ელვის პრესლი.

* * *

იულიუს ცეზარი დაფნის გვირგვინს იმიტომ ატარებდა, რომ თავისი სიმელოტე დაეფარა.

* * *

იმ სახლში, სადაც ჯეფერსონმა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია დაწერა, ახლა ჰამბურგერებს ჰყიდიან.

* * *

ნობელის პრემია, ეს იყო ალფრედ ნობელის ანდერძი, რომ მისი სახელი არ დაეკავშირებინათ ძალადობასთან, მან ხომ დინამიტი გამოიგონა?!

* * *

იყო კაცი, რომელმაც 14000 დოლარი გადაიხადა მერლინ მონროს ბიუსჰალტერში.



* * *

მაო რსე-ტანგი ჩინეთის კომუნისტური პარტიის პირველი წარმომადგენელი დაიბადა 1893 წლის 26 დეკემბერს. ხელისუფლებაში მოსვლამდე ის ბიბლიოთეკარის თანაშემწედ მუშაობდა პეკინის უნივერსიტეტში.

* * *

პირველი მსოფლიო ომის დროს მომავალი პაპი იოანე XXIII სერჟანტი იყო იტალიის არმიაში.

* * *

ალბერტ აინშტაინს ერთხელ შესთავაზეს ისრაელის პრეზიდენტობა. მან უარი თქვა და განაცხადა: ამხელა პრობლემებს რომ მოვუარო, მაგისთვის ტვინი არ მეყოფაო.

* * *

ეკატერინე I წესად შემოიღო: არავის არ შეეძლო დაელია სასახლეში ალკოჰოლური სასმელი საღამოს 9 საათის შემდეგ.

* * *

ელისაბედ I მმართველობისას მამაკაცებს წვერის ტარების გამო აჯარიმებდნენ.

* * *

მარია კიური, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო რადიუმის გამოგონებისთვის, ვერ გახდა საფრანგეთის აკადემიის წევრი, მხოლოდ იმიტომ რომ ქალი იყო.



# კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. ქუჩა ლონდონში, სადაც შერლოკ ჰოლმსის სახლი იყო. 2. მსხვილი ბაგირი, რომლითაც გემს მიაქვს მასზე გამობმული გემი. 3. ჭკუანაკლები, ჭკუანაკლებიანი [illegible]ლი. 4. მხედართმთავარი, ხარისხით პოდპორუჩიკზე მაღალი. 5. დამარილებული, გამხმარი ხორცი. 6. უძრავი [illegible] დამუხტული ელექტრონი. 11. სპეციალური პარკი, სადაც თავმოყრილია საჩვენებლად ნაირნაირი ცხოველები და ფრინველები. 13. მრეწველობის დარგი, რომლის საქმეა მადნიდან ლითონის მიღება და მისი პირველადი დამუშავება. 14. იაპონური ტანკა. 17. [illegible] „ლეონ ქილერში" ... პორტმანი. 21. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე. 22. ტილის მსგავსი [illegible], [illegible] თეთრეულისათვის. 23. ლითონის პატარა ნიშანი, რომელსაც ატარებენ ზოგი საზოგადოების წევრები. 24. [illegible] ოლიმპიური ჩემპიონი ... როურე. 26. თარაშ ემხვარის ცხენი. 28. მატარებლის ვაგონში, რამდენიმე კაცისათვის განკუთვნილი ცალკე განყოფილება. 29. სახურავი მასალა, გაჟღენთილი მუყაო.

**ვერტიკალურად:** 3. [illegible]. 4. მზესთან ყველაზე ახლო მდებარე პლანეტა. 8. ეკლესია თბილისში, რომელიც მოხატა ლადო გუდიაშვილმა. 9. ლექსი, რომლის სტრიქონების თავკიდური ასოებისაგან შედგება სიტყვა ან წინადადება. 10. ცალკეული შემთხვევა, მომხდარი ამბავი. 12. რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურებების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხში. 15. [illegible] პატარა ძაღლი, რომელსაც ყურები [illegible] აქვს. 16. სალამანდრის მსგავსი წყალმცურავი ცხოველი. 18. ვაზის დაავადება. 19. [illegible]. 20. საშუალო ფრინველი, ლაკლაკის ჯიშისა, ბინადრობს ჭაობიან ადგილებში. 21. ხანმოკლე გაერთიანება ამა თუ იმ საქონელზე ფასის ასაწევად. 23. ცერერის [illegible]. 25. ჩინეთში პატარა საცხოვრებელი სახლი [illegible]. 27. [illegible]. 30. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი. 31. ქვეყანა [illegible]. 32. ამერიკული გაზეთი.

# იაპონური [illegible]

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 1 | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | 2 | 2 | 3 | 4 | 3 | | | | | | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | | | | |
| | | | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 6 | 4 | | | 21 | | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | | | |
| | 1 | 2 | 3 | 3 | 4 | 3 | 7 | 1 | 7 | 1 | 19 | 2 | 23 | 20 | 4 | 4 | 4 | 3 | 4 | 3 | 3 | 2 | 1 | |
| 2 | 2 | 3 | 3 | 1 | 5 | 6 | 2 | 2 | 1 | 18 | 2 | 2 | 1 | 1 | 7 | 7 | 9 | 1 | 5 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 1 |
| | | | 1 |
| | | | 3 |
| | | | 5 |
| | | | 3 |
| | | | 6 |
| | | | [illegible] |
| | | | 11 |
| | | | 5 |
| | | | 7 |
| | | | 11 |
| | | | 16 |
| | 5 | 5 | 5 |
| | | | [illegible] |
| | | | 10 |
| | | | 13 |
| | | | 19 |
| | 6 | 6 | 6 |
| | | | 7 |
| | | | 11 |
| | | | 15 |
| | | 8 | 9 |
| | | 10 | 11 |
| 4 | 3 | 6 | 4 |
| | | 4 | 8 |
| | 3 | 1 | 4 |
| | 3 | 1 | 4 |
| | | 5 | 6 |
| | 10 | 2 | 5 |
| 9 | 1 | 1 | 6 |







# საქართველოს მთავრობას, საქართველოს კულტურის ყოფილ მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას

ბატონო გურამ, ორიოდე წლის წინათ, როცა თქვენ კულტურის მინისტრი ბრძანდებოდით, მხარი დაუჭირეთ ფოთის თეატრის პროექტს და საჯაროდ განაცხადეთ, ზურაბ რატიანის პიესა „ცოტნე დადიანი“ მალე დაიდგმება ფოთის თეატრის სცენაზეო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ლიტონ სიტყვად რჩება თქვენი ნათქვამი.

ჩემთვის უცნობია, რამ შეგიშალათ ხელი მინისტრის სიტყვა საქმედ გექციათ, მაგრამ მოგახსენებთ შემდეგს:

ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში „თავაზიანად“ განმიმარტეს: რასაც მონღოლებზე წერ პიესაში, ვიცით, ყველგან რუსებს გულისხმობო და სათოფედაც არ გაიკარეს „ცოტნე დადიანი“ (სცენაზე კი არა, წიგნშიც მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შევძელი მისი შეტანა).

ე. წ. დამოუკიდებელ საქართველოში, როცა ქართველი ერის ყველა დროის ყველაზე ბოროტმა მტერმა სოხუმი მოსკოვს ჩააბარა, მოხდა „პატარა სასწაული“, — ორი დღის შემდეგ შედგა „ცოტნე დადიანის“ რადიოპრემიერა (რეჟისორი ზურაბ კანდელაკი). ორი თუ სამი თვის შემდეგ პიესის რადიოგადაცემები შეწყვიტეს, თუმცა არცთუ დიდი პაუზის მერე აღადგინეს და ათი წელიწადი, თუ მეტი არა, რეგულარულად გადასცემდნენ (სხვათა შორის, ცოტნე დადიანის წმინდანად შერაცხვაში უკანასკნელი როლი არ უთამაშია რადიოსპექტაკლს).

მოგვიანებით შევიტყვე, როცა ქართველი ერის უბოროტესი მტერი სამეგრელოს აოხრებდა და იმ უხსენებელის დაკვეთით არაკაცმა ვაი პოეტმა ე. წ. ლექსი რომ შეთითხნა ცოტნე დადიანის მოღალატედ (ღმერთო, შემინდე!) გამოსაცხადებლად, მაშინ შეუწყვეტიათ რადიოგადაცემები, მაგრამ რომ ვერაფრით გატეხეს ცოტნე დადიანის ჭეშმარიტი მემკვიდრეები ბნელეთის მოციქულებმა, ერის რისხვის შიშით, იძულებული გახდნენ აღედგინათ გადაცემები.

„ცოტნე დადიანზე“ რამდენიმე წელიწადს მუშაობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასი, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ მთავარმა რეჟისორმა შარშანწინ საზოგადოებას ტელევიზიით აუწყა, სპექტაკლი მზად გვაქვს და დღე-დღეზე გაიმართება პრემიერაო. ამის მერე იმ რეჟისორმა თეატრიდან რატომღაც გააძევა 60 (?!) მსახიობი და პრემიერაც ჩაიშალა...

მალე ისიც გააძევეს, — „ცოტნე დადიანზე“ მუშაობისას 75 000 ლარი შეგიჭამიაო.

გაძევებულის მემკვიდრემ ცოტნე დადიანის სახელის გაგონებაც არ ისურვა!

**ამ წმინდა ქართული თანამედროვე ისტორიის გადამკიდე დავრწმუნდი: საბჭოთა საქართველოდან დღემდე „ცოტნე დადიანის“ რეპრესირება არის ანტიეროვნული ვაიპოლიტიკის სავალალო შედეგი!**

და ეს ხდება იმ დროს, როცა თბილისში ყოველ ნაბიჯზე იყიდება კაცობრიობის უბოროტესი მტარვალის ჰიტლერის ნაბოდვარის, კაცმა არ იცის, მერამდენე გაშანშალებული ქართული გამოცემა...

აი, რამხელა სულიერ დაცემამდე მიიყვანა ქართველი ერი შევარდნაძე-სააკაშვილის ხროვამ!

თუ „ცოტნე დადიანის“ რეპრესირება მართლა მარტო საბჭოთა — მოქალაქეთა — ნაცების „გადმონაშთია“, ახლა ხომ ძალაუფლება „ოცნების“ ხელშია, **ვინ გიშლით ხელს ქართველი ერის უდიდესი ზნეობრივი გმირის მხატვრული სახის რეაბილიტაციაში?!**

საუკეთესო სურვილებით **ზურაბ რატიანი,**
**მწერალი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**ცხუმ-აფხაზეთის აკადემიის და**
**ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი**
**თბილისი, 05.11. 2014 წელი.**


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**



## ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი




**დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან**
**0 901 500 540**
**თიბისი ბანკი**
ა/ნ GE88TB1117236080100001


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**-როგორია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხანდაზმულობის საკითხი?**

-მუხლი 71. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან

გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

1. პირი თავისუფლდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ1) თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–3421 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

2. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

3. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

4. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

5. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

7. გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხანდაზმულობის ვადის დინება ასევე ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

8. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების საქართველოში შემდგომი სამართალწარმოების მიზნით გადმოგზავნისას საქართველოში პროცესის მწარმოებელი ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მხედველობაში უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, თუ ისინი ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლების ანალოგიურია.

მუხლი 76. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება

გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო

1. მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

2. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო.

3. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

4. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

6. გარდა ამ მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხანდაზმულობის ვადის დინება ასევე ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

7. უცხო ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავის თანახმად საქართველოში აღსასრულებლად გადმოგზავნის შემთხვევაში საქართველოს შესაბამისი ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მხედველობაში უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, თუ ისინი ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლების ანალოგიურია.


## ავეჯის გადაზიდვა



**593 20 46 87**

# „ფუდოკანი“ — „მყარ საძირკველზე აშენებული სახლი“ საქართველოში



*შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ „ფუდოკანი“ იაპონურ ენაზე - „მყარ საძირკველზე აშენებულ სახლს“ ნიშნავს.*

*„საქართველოს ფუდოკან ტრადიციული კარატე-დო ფედერაცია“, 1989 წელს შეიქმნა ზურაბ მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, რომელის გვერდშიც იდგნენ პ. ხიზანიშვილი და გ.მერაბიშვილი, ხოლო 1990 წელს საერთაშორისო ფუდოკანის ტრადიციული კარატეს ფედერაციამ, ხოლო შემდეგ კი პერუში, ქ. ლიმაში, მიმდინარე ტრადიციული კარატეს მეხუთე მსოფლიო კონგრესმა იგი სცნო თავის სრულუფლებიან და დამოუკიდებელ წევრად.*

*ეს იყო პირველი ოფიციალური დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაცია არა მარტო იმ პერიოდის საქართველოს არამედ სსრკ მაშტაბით. დღესდღეობით ფუდოკან კარატე ფედერაცია მსოფლიოს უძლიერეს კარატე ფედერაციათა ხუთეულში შედის. “ლელო”, №50, 1990, 15 მარტი.*

*ამ ფაქტმა რეალური პრეცედენტი შეუქმნა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობას სპორტული სუვერენიტეტისათვის ბრძოლის საქმეში.*

***თბილისში რამდენიმე დღის წინ კერძო ვიზიტით სწორედ ევროპის ფუდოკან-კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი, ჩვენი თანამემამულე ზურაბ მერაბიშვილი იმყოფებოდა. ჩვენ ვისარგებლეთ ფედერაციის პრეზიდენტის თბილისში ყოფნით და ვესაუბრეთ მას:***

**— ბატონო ზურაბ, ყველა ქართველისთვის დიდი პრესტიჟია უხელმძღვანელოს ევროპის ფედერაციას. თქვენ რას იტყვით?**

— ალბათ, დიდი პრესტიჟია, მაგრამ ამას ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირადად ამ სახეობაში 1979 წელს იუგოსლავიაში მოვხვდი და იქაური ოსტატის ილია იორგას ხელმძღვანელობით გავაგრძელე ვარჯიში. ძმები ილია და ვლადიმერ იორგა სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორები არიან და საკმაოდ ცნობილი მეცნიერები, ამავე დროს კარატეშიც დიდოსტატები არიან. განსაკუთრებით გამოირჩევა უმცროსი ძმა ილია. წარსულში იგი ევროპის სამგზის ჩემპიონი და მრავალი ტურნირის პრიზიორია. აქტიურ სპორტს 40 წლის ასაკში დაანება თავი, ამის შემდეგ შექმნა თავისი სტილი კარატეში, რომელსაც ფუდოკანი დაარქვა.

**— ბატონო ზურაბ, როგორი ურთიერთობა გაქვთ საქართველოს კარატეს ფედერაციასთან?**

— იცით რა, საქართველოს კარატეს ფედერაცია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მსოფლიოში. ვინც იცნობს კარატეს სპეციფიკას, დამეთანხმება, რომ იოლი არ არის იყო მოწინავე მსოფლიოში. სპორტის ბევრი სახეობაა, სადაც ფედერაციის ხელმძღვანელობა შედარებით ადვილია, რადგან სახეობა ჩამოყალიბებულია, სტრუქტუირებულია და არავის ექმნება ის აზრი, რომ მიუხედავად განსხვავებული სკოლებისა, ჩამოაყალიბონ ერთ სახეობაში ორი ფედერაცია. კარატეში კი სხვადასხვა სკოლების, სტილების, მიდგომების გამო, პრაქტიკულად, მსოფლიოში უმეტეს ქვეყნებში დიდ პრობლემას წარმოადგენს — ამიტომ საქართველო საუკეთესო მაგალითია მსოფლიოში, თუ როგორ შეძლო კარატეს ფეცერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ ერთ ფედერაციაში გააერთიანა ყველა სკოლის წარმომადგენელი, რაც დღეს მონოლითურ ფედერაციას წარმოადგენს. ეს მსოფლიოს ქვეყნებისთვის სანიმუშო მაგალითია, რადგან ბევრ ქვეყანას აღნიშნული პრობლემა ვერ გადაუჭრიათ. ჩვენთან კი გადაწყდა.

**— ბატონო ზურაბ, როგორც ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი, როგორ შეაფასებთ ჩვენი სპორტსმენების შედეგებს საერთაშორისო სარბიელზე?**

— ქართველი სპორტსმენების შედეგებს საერთაშორისო სარბიელზე დადებითად შევაფასებ, მართლაც მაღალი შედეგები აქვთ. როგორც უკვე გითხარით, მე ტრადიციული კარატეს წარმომადგენელი ვარ, სპორტული კარატეს კოლეგები და პარტნიორები ვართ, მაგრამ ჯერჯერობით სარბიელზე არ გადაკვეთილა ჩვენი გზები. საბედნიეროდ, წელს დაიწყო სერიოზული მცდელობები, რომ კარატეში არსებული პრობლემები გადაიჭრას, ანუ სპორტული, ტრადიციული და კონტაქტური კარატე, სამი ძირითადი მიმართულება ერთი ფედერაციის ქოლგის ქვეშ გაერთიანდეს. მაშინ შევძლებთ ერთ შეჯიბრებებზე ვიასპარეზოთ.

**— როგორც ვიცით, თქვენ დღესაც ვარჯიშობთ. იქნებ გაგვიზიაროთ, რა დადებითი შედეგი მოაქვს ადამიანისთვის ამ სახეობაში ვარჯიშს?**

— სამწუხაროდ, დღეს ისეთი მოქმედი კარატისტი არ ვარ, როგორი სურვილიც მაქვს, რომ ვიყო. ცხოვრებისეული პირობებისა და სამუშაოს გამო დიდი პაუზის გაკეთებაც მომიხდა. მთავარი რა მინდა გითხრათ — კარატე არის ერთ-ერთი იშვიათი სახეობა ფსიქიკური დატვირთვის და, გნებავთ, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, ცხოვრების ბოლომდე აქტიურად იცხოვროს. ამას გეუბნებით, როგორც ექიმი. კარგად ვიცნობ სპორტის ბევრ სახეობას, მაგრამ ცოტაა ისეთი, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ნებისმიერ ასაკში, ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში მას მივყვეთ. ადამიანისთვის დგება ის ასაკი და ფიზიკური მდგომარეობა, როდესაც შეიძლება მავნებელიც გამოდგეს ადამიანისთვის, აგრეთვე, ტრავმატულიც. ვიმეორებ, ძალიან ცოტაა ისეთი სახეობა, რომელსაც ცხოვრების ბოლომდე გაყვებით და მიიღებთ უნივერსალურ ფიზიკურ დატვირთვას. სასარგებლო იქნება საზოგადოებისთვის, რომ მასიურად მოხდეს ხალხის ამ სახეობით დაკავება, ერის ჯანმრთელობას წაადგება სპორტში მასობრივი ჩართვა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ კარატეში ვარჯიშის დაწყებისას, რომ ინსტრუქტორი კვალიფიცირებული იყოს. თუ მწვრთნელს არ აქვს მინიმალური ცოდნა ფიზიოლოგიური, სამედიცინო განათლება, რაც ნებისმიერ მწვრთნელს უნდა ჰქონდეს, მან შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანს. ჩვენ ყოველთვის ყურადღება უნდა გავამახვილოთ მწვრთნელის ცოდნასა და კვალიფიკაციაზე. ეს აუცილებელი პირობაა. ნორმალურ პირობებში ტრადიციული კარატე ზრდის ადამიანის ორგანიზმის პოტენციალს.

**— რამდენად ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში?**

— 90-იან წლებში მომიწია საქართველოდან წასვლა სამუშაოს საძებნელად. ამიტომ ძირითადად ახლობლების სანახავად ჩამოვდივარ, უცხოეთში ვმუშაობ. ისე ხშირად ვერ ჩამოვდივარ, როგორც



მინდა. ბევრი წელი ჩვენი ფედერაცია საქართველოში არ არსებობდა. ახლა თავიდან შევქმენით, პრეზიდენტად გელა დუმბაძე, საქართველოს დიასპორის მინისტრი აირჩიეს. მსურს, რომ ფედერაცია ძლიერი და პოპულარული გავხადოთ. მომავალში, იმედია, უფრო ხშირად მომიხდება ჩამოსვლა. გაისად, იანვრის ბოლოს გვსურს ჩვენი სკოლისა და მსოფლიოს წამყვანი კარატისტის ილია იორგას ჩამოყვანა გვინდა, რათა ჩაატაროს სემინარი. იგი უკვე ორჯერ არის აქ ნამყოფი, ბოლოს 2011 წელს. მინდა გითხრათ, რომ ილია იორგა ერთადერთი არაიაპონელი კარატისტია, რომელსაც თავად იაპონელები ცნობენ მას სტილის ფუძემდებლად და იაპონური სახელიც დაარქვეს.

**— დაბოლოს, ბატონო ზურაბ, გარედან როგორ ჩანს, რა შეიცვალა საქართველოში ბოლო წლებში, ვითარება გაუმჯობესდა თუ პირიქით?**

— ჩემთვის ძნელია რაიმე შეფასება გავაკეთო, რადგან ასე იშვიათად ჩამოვდივარ. თუმცა არის ერთი ფაქტორი, რომელიც ახლა დავინახე, ხალხი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს. ადრე შიში სუფევდა, ახლა თავისუფლად სუნთქავენ, დანარჩენს უახლოეს მომავალში ცხოვრება გვიჩვენებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — შემოსავლის ზრდა დაკავშირებული იქნება თქვენს საშუამავლო და საორგანიზატორო საქმიანობასთან. მომგებიანი აღმოჩნდება ყველა ის კავშირები, რომლებსაც უცხოეთში მოგზაურობისას დაამყარებთ.

**კურო** — შესაძლოა, უცაბედ სასიყვარულო კავშირში აღმოჩნდეთ, ის შესაძლოა, გაიცნოლთ სამსახურში, ტრანსპორტში ან კლუბში. საკუთარი გრძნობების დაფარვას ვერ შეძლებთ, რის გამოც თქვენი სასიყვარულო ურთიერთობები საჯარო გახდება.

**ტყუპები** — ორიგინალური იდეებისა და ინტუიციის წყალობით: თანამოაზრეთა წინამძღოლად იქცევით. განახლების სურვილი შეგიპყრობთ და არ არის გამორიცხული, თქვენი სახელი სამსახურში ბევრს უსიამოვნოდ მოხვდეს ყურში.

**კირჩხიბი** — წარმატების მისაღწევად სითამამე გაკლიათ. მუსიკა დაგამშვიდებთ და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

**ლომი** — ზემდგომი პირების მფარველობის განმავლობაში განმწვავდება თქვენი ურთიერთობები თანამშრომლებთან. ეცადეთ მოთმინება გამოიჩინოთ.

**ქალწული** — თქვენი პარტნიორებისთვის ახალი იდეების წყაროდ იქცევით. ბევრს იშრომებთ სამსახურში. პასცუხისმგებლობის გრძნობა დადებითად აისახება თქვენს ხელფასზე.

**სასწორი** — ეცადეთ, დაივიწყოთ წყენა და მოაგვაროთ ურთიერთობები კოლეგებთან. თავი შეიკავეთ სარისკო საფინანსო ოპერაციებისგან, აზარტული თამაშებისგან, ფულის სესხებისგან.

**მორიელი** — ეკონომიკური პრობლემები შემოსავლის წყარო ძიებისკენ გიბიძგებთ. სასიამოვნო მოულოდნელობად იქცევა ნაცნობის სტუმრობა, რომელიც დახმარებას აღმოგიჩენთ.

**მშვილდოსანი** — სერიოზული კონფლიქტი გელით, რომელიც ღალატით იქნება გამოწვეული. ამდენად, ეს პერიოდი უმჯობესია, გამაჯანსაღებელ პროცედურებს და საკუთარი წარსულის გააზრებას დაუთმოთ.

**თხის რქა** — დროის ამ მონაკვეთში არაერთი საინტერესო შეხვედრა გელით. არ არის გამორიცხული, ამავე პერიოდში სამუშაო ადგილიც შეიცვალოთ, რაც გარკვეულ ფინანსურ გართულებებთან იქნება დაკავშირებული.

**მერწყული** — სამსახურში გაგიჩნდებათ წინსვლისა და წარმატებით შემოსავლის წყაროს პოვნის პერსპექტივა.

**თევზები** — ეცადეთ, თავი ზედმეტად არ გადაიტვირთოთ. მთავარია, გჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების და ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვას მოახერხებთ.

ISSN 2233-3983
9 772233 398001